# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, № 28 (2807) გამოცემის მე-60 წელი, 1991, 12 ივლისი. ფასი 40 კაპ.


# მიმართვა

## აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი

**პატივცემულო დეპუტატებო!**

მოგმართავთ თქვენ ამ ისტორიულ მომენტში, როცა საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მხოლოდ მთელი ძალების კონსოლიდაციის პირობებში, ეთნიკური და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, არის შესაძლებელი ეფექტიანი ბრძოლა ნამდვილად აყვავებული და ღღეკეთილი საზოგადოების შექმნისათვის, რომელშიც ყველა ადამიანი იცხოვრებს ღირსეულად, ცივილიზაციისა და დემოკრატიის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად.

აფხაზი ხალხი მუდამ ქართველი ერის გვერდით იდგა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უცხოელ დამპყრობთა მრავალრიცხოვანი ურდოების წინააღმდეგ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის მანძილზე. ასევე ქართველ ერს არასოდეს არ მიუტოვებია გაჭირვებისას აფხაზი ხალხი, მაშინაც კი, როცა თვითონ გმინავდა თვითმპყრობელობის უღელქვეშ. ჩვენი ხალხების მეგობრობა არ ჩაუმწარებია ეჭვსა და ვერაგობას, რომლებიც, სამწუხაროდ, წესად იქცა 1917 წლის და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური იდეოლოგიისა და ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის გავრცელების შემდეგ.

აღარ ჩამოვთვლი ყველა იმ ჭირ-ვარამსა და ტრაგედიებს, რომლებიც გამოიარეს როგორც აფხაზებმა, ისე ქართველებმა 70 წლის მანძილზე. და დღეს კვლავ დაძაბულობაა აფხაზეთში, გამეფებულია ურთიერთუნდობლობა და ეჭვი აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის, თუმცა ამავე დროს, კიდევ უფრო მეტი ინტენსიურობით ხდება ქორწინებანი, მტკიცდება აფხაზთა და ქართველთა სისხლით ნათესაობა. ვერავინ ვერ მოსპობს ორი, ისტორიულად ერთმანეთის გვერდით მცხოვრები მონათესავე ხალხების ამ შეუკავებელ და ისტორიულად განპირობებულ ლტოლვას.

მთელი იმ სიძნელეების მიუხედავად, რომლებიც წილად ხვდა აფხაზ ხალხს მმართველობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ბატონობის პერიოდში, ამ ბოლო წლების მანძილზე უმაგალითო აყვავებას მიაღწია აფხაზთა ეროვნულ-კულტურულმა თავისთავადობამ.

ჩვენ გაგებით ვეკიდებით აფხაზი ხალხის მისწრაფებას, გააფართოოს სახელმწიფო ავტონომია, რომელიც ხანგრძლივი წლების მანძილზე სრულყოფილი არ იყო, ისევე, როგორც სსრ კავშირში კომუნისტური რეჟიმის ბატონობის წლების მანძილზე შექმნილი ყველა პოლიტიკური ინსტიტუტი.

საქართველოს რესპუბლიკაში ახალ საზოგადოებას რომ ვაშენებთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ აფხაზეთის სტატუსის განვითარების ტენდენციები, რასაც გააკეთებს კიდეც სპეციალური კომისია, რომელიც საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების წარმომადგენლებისაგან შედგება.

ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია იმის შესახებ, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შემცირებაზე, რაც დამკვიდრებულია კიდეც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში. რაც შეეხება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კომპეტენციის გაფართოებას, თანამედროვე მოთხოვნათა სულისკვეთების შესაბამისად, სწორედ ეს უნდა გახდეს მოლაპარაკების საგანი. ცალმხრივი მოქმედება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან შეუწყნარებელია და მას შეიძლება მოჰყვეს განუჭვრეტელი შედეგები, რომლის მწარე გამოცდილებას, სამწუხაროდ, დღესაც ვგრძნობთ.

გარკვეული ძალები ცენტრში უკვე დიდი ხანია ცდილობენ შეარყიონ საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის შიგნიდან, კერძოდ, დაუპირისპირონ აფხაზი ხალხი ქართველ ხალხს, ამოგლიჯონ აფხაზეთი საქართველოს ცოცხალი სხეულიდან. ყოველი ამგვარი ცდა განწირულია ჩასაფუშავად, რამეთუ ცემენტი, რომელიც ადუღაბებს აფხაზეთს მთელ საქართველოსთან, იმდენად მტკიცეა, რომ მას ვერავითარი გარეშე თუ შინაგანი ძალა ვერ დაანგრევს.

თუ პოლიტიკური ავბედობის წლებშიც კი აფხაზმა ხალხმა შეძლო მიეღწია ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური მწვერვალებისათვის, რომლებიც ვერ შეედრება ვერც ერთ ავტონომიურ, ბევრად უფრო დიდ რესპუბლიკასაც კი, თავისუფალ საქართველოში მისი მომავალი შეიძლება მხოლოდ უფრო გარანტირებული და წარმტაცი იყოს.

მხოლოდ აფხაზი და ქართველი ხალხების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა თანამეგობრობა და ურთიერთგაგება აფხაზეთის ტერიტორიაზე სამართლიანი საზოგადოების შექმნის გასაღები.

პოლიტიკური რეალიზმი ამავე დროს გვკარნახებს უწინარეს ყოვლისა აფხაზებისა და ქართველების — ამ ტერიტორიაზე ორი ისტორიულად მცხოვრები ხალხების მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას, რაც არ გამორიცხავს აფხაზი ხალხის გარკვეული უფლებების ცნობას პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნისა და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურათა სრულყოფის დროს.

ქართველ ერს, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს ესმით აფხაზი ხალხის მისწრაფებანი, მაგრამ არ დაუშვებენ საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის რეალიზაციას, რაც საქართველოს რესპუბლიკისა და თვით აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციების უხეში დარღვევის ცდაა, რომლებიც მკაცრ იურიდიულ ბარიერებს აყენებს ამგვარი მოქმედების წინაშე, რომელსაც შეიძლება უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვეს.

მხოლოდ მაშინ, თუ გამოვიჩენთ საღ გონებას, ჭეროვნად შევაფასებთ პოლიტიკურ და სამართლებრივ რეალიებს, გამოვიჩენთ ურთიერთნდობასა და ნამდვილი თანამშრომლობის სურვილს როგორც აფხაზეთში, ისე მთელ საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის კეთილდღეობისათვის, გადავჭრით საკითხს საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის შესახებ, რომლის ტერიტორიული მთლიანობა გარანტირებულია საერთაშორისო სამართლით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიას ვუსურვებ წარმატებას პოლიტიკური ძალაუფლების ახალ სტრუქტურათა შექმნის გზაზე, რომლებიც ორგანულად შეერწყმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემას.

ღრმა პატივისცემით

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 8 ივლისი.

---

## დღეს ნომერშია:

**თემურ ქორიძე:**
**მხოლოდ პროფესიონალიზმი**

მე-2 გვ.

**დავით ხასუტაიშვილი**
**რა მისცა ავტონომიამ აჭარას?**

მე-3-4 გვ.

**ალექსანდრე ბარამიძე**
**თავის თავზე და ზოგ რამე სხვაზეც**

მე-5-6 გვ.

**პოეზია**

მე-7 და მე-11 გვ.

**კონსტანტინე გამსახურდია**
**ლანდებთან ლაციცი**

მე-8-9-10 გვ.

**მიხეილ ზადორნოვი**
**დაბრუნება**

დასასრული. მე-13-14 გვ.

**იამზე გვათუა**
**ახმეტელელთა დიდი წარმატება**



მე-15 გვ.

## ქრონიკა

**ჯანსუღ ჩარკვიანი** დაინიშნა ჟურნალ „დროშის“ მთავარ რედაქტორად.

**ზურაბ პეტრიაშვილი** დაინიშნა გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორად.

**ალექსანდრე ხაშხოზია** დაინიშნა გაზეთ „აჭარის“ მთავარ რედაქტორად.

**რევაზ ხირაძე** დაინიშნა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხოლოდ პროფესიონალიზმი

**გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარესთან თემურ ქორიძესთან.**



— მისაღები გამოცდები კარს მოგვადგა. დღეს, ამ საკითხს, არამხოლოდ საზოგადოებრივი, სოციალური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება. ამიტომ, ბუნებრივია ის ინტერესი, გაზრდილი მოთხოვნები, რომლის წინაშეც თქვენ დგახართ...

— ტრადიციულად, როგორც წესი, საქართველოში ყოველთვის დიდი ინტერესით მოელოდნენ მისაღები გამოცდების დაწყებას. ეს მარტოოდენ განათლების სფეროს პრობლემა არ გახლავთ. ათეული წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა ცხოვრების წესმა ჩვენთან შექმნა ილუზია იმისა, რომ დიპლომი არის სოციალური დაცვის გარანტი. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი წარმოდგენაა. სწორედ ამიტომ, სწრაფვამ უმაღლესი სასწავლებლისაკენ ჩვენში ძალზედ ჰიპერტროფირებული მასშტაბები მიიღო. ადამიანები ისწრაფვიან, რომ ჰქონდეთ რაღაც დამატებითი არგუმენტი ცხოვრებაში ფეხმოსაკიდებლად. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა და ამიტომ, მისაღებ გამოცდებს ახლავს გარკვეული დრამატიზმი.

მისაღები გამოცდებით მთელი საზოგადოებრიობა გარკვეულწილად ამოწმებს ჩვენს მუშაობას. რაკი ამ ეტაპზე ჩვენ არა გვაქვს სხვა საშუალება უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტების მიღებისა, ისევ და ისევ საკონკურსო შერჩევის წესს ვემყარებით. სამომავლოდ ეს წესი მთლიანად შეიცვლება. და რაკი ყველაზე მარტივი ხერხით ტარდება გამოცდები (აქ გარკვეულ პარადოქსთანაც გვაქვს საქმე), უმთავრესი პრინციპი, რომლითაც განისაზღვრება ეს პროცესი, გახლავთ გამომცდელებს არამხოლოდ კვალიფიკაცია, არამედ ზნეობრიობა.

— მაგრამ დღეს , ის ადამიანები, რომლებიც მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან და სრულიადაც არ გრძნობენ თავს სოციალურად დაუცველად, მაინც ყველა საშუალებით ცდილობენ დიპლომის მოპოვებას.

— ეს გახლავთ ინერცია, როგორც კი ჩვენი ცხოვრების წესი, სოციალური ინფრასტრუქტურა შეიცვლება, ადამიანისათვის ორიენტირად იქცევა ჭეშმარიტი და არა ფსევდო ღირებულებანი. ცხადია, ეს პროცესიც სხვაგვარად წარიმართება. მოვა დრო, როცა დაფასდება ადამიანის შესაძლებლობანი, მისი ღირსებანი, პროფესიონალიზმი და ამის დამადასტურებლად არ იქნება აუცილებელი ფარატინა ქაღალდი.

— რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში, ახლახან, რექტორები შეიცვალნენ, რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ჩვენ არ მივცემთ თავს უფლებას განვაცხადოთ, რომ ყველა ეს რექტორი კორუმპირებულია, რომ მათ ულირსი საქციელი ჩაიდინეს, მაგრამ ცხოვრებამ თავად დაგვაყენა სხვა ტიპის ადამიანის აუცილებლობის წინაშე. ჩვენ გვჭირდება უკომპრომისო, პრინციპული, ბრძოლისუნარიანი პიროვნება. თუმცა ვერც იმას უარვყოფთ, რომ განვლილ წლებში, გამოცდებზე კურიოზულ, რბილად რომ ვთქვათ, „შეცდომებს" ჰქონდა ადგილი. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც დანაშაულობამდე მივიდა პროტექციონიზმი, კორუფცია, შემოწმებულმა მასალებმა დაადასტურა, რომ ხდებოდა ნაშრომების შეგნებულად არაკვალიფიციური გასწორება. სწორედ ამიტომ, ჩვენ გამოცდების წინ მოვახდინეთ რეორგანიზაცია ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში და ეს შეეხო არა მხოლოდ ხელმძღვანელობას. მთლიანად შევცვალეთ მიმღები კომისია სამედიცინო ინსტიტუტში. ჩემი აზრით, ეს აუცილებელი იყო, რადგან ის, ვინც მიისწრაფვოდა დანაშაულებრივი გზით მიეღწია მიზნისათვის, ამჯერად ხელცარიელი დარჩა.

წლევანდელი გამოცდები ბევრ რამეს წარმოაჩენს. ამ გამოცდების შედეგები საგანგებოდ იქნება შესწავლილი. გადავსინჯავთ არა მარტო ნაშრომებს, არამედ გავესაუბრებით სტუდენტებსაც. ეს, ალბათ, საინტერესო უნდა იყოს საზოგადოებრიობისათვის... და მაინც, საკონკურსო შერჩევის ახლანდელი წესი საათებს ითვლის.

— მაგრამ ამას, საშუალო სკოლის სრული რეორგანიზაცია დასჭირდება. ეს პროცესი - კი უმტკივნეულოდ არ ჩაივლის.

— რასაკვირველია ეს უწყვეტი პროცესია. დღეისათვის მისაღებია სქემა საფეხურებრივი, ეტაპობრივი სწავლებისა. სხვა შესაძლებლობანი დღეს არ გაგვაჩნია. აუცილებელი და საყოველთაო იქნება სწავლების ცხრა წელი, შემდეგ კი მოხდება სპეციალიზაცია. უმაღლეს სასწავლებლებში „მოწაფეებად აყვანა" მოხდება ინდივიდუალურად, როგორც ეს ხდება შემოქმედებითი ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში. პროფესიონალი თავად შეუდგენს სტუდენტს სასწავლო პროგრამას, დაუნიშნავს პედაგოგებს, გაგზავნის უცხოეთში სტაჟირებაზე...

ამ რეფორმის განხორციელება, უკვე წელსაც შეიძლებოდა, მაგრამ რექტორებთან არაერთგზის შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ ჯერ ამისთვის ისინი მზად არ არიან. ამიტომ გამოცდები ჩვეული სისტემით ტარდება. ჩვენ თანადგომას არ მოვაკლებთ პროფესურას, ვეცდებით ავაცილოთ მათ ყოველგვარი ზემოქმედება. და თუ რომელიმე მათგანი ამ შემთხვევაშიც გამოიჩენს უპრინციპობას, წავა დაუშვებელ კომპრომისზე, უთუოდ მხილებულ იქნება და აეკრძალება პედაგოგიური მოღვაწეობა.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ რექტორებმა საკუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა, მაგრამ ხშირად ბევრი რამ მათ ზურგს უკან ხდებოდა. და ახლაც, მდგომარეობის მთლიანი გაკონტროლება ფაქტიურად შეუძლებელია, განსაკუთრებით დიდ უმაღლეს სასწავლებელში.

— ეს ვერ გამოდგება გამამართლებელ საბუთად. რექტორი პასუხისმგებელია თავის მიერ შედგენილ კომისიაზე და საერთოდ, მთელ საგამოცდო პროცესზე. ხოლო თუ ვინმეს არ ჰყოფნის ნებისყოფა, ვერ უძლებს ცდუნებას, თავად უნდა განაცხადოს უარი რექტორობაზე.

თუკი რექტორი ობიექტურია, იგი არ შექმნის კორუფციისა და პროტექციონიზმის ატმოსფეროს; თითოოროლა გადაცდომა ყოველთვის მოსალოდნელია, მაგრამ ამას სისტემატიური ხასიათი არ უნდა მიეცეს.

— დღეს ბევრი გამომცდელი წინასწარ იზღვევს თავს, უარს ამბობს მისაღებ გამოცდებში მონაწილეობაზე... ისიც ითქვა, რომ თითქოს ყველაფერს „მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლები გააკონტროლებენ, კომისიის წევრთა ტელეფონები კი საგანგებო „ყურადღების" ქვეშ იქნება...

— ამგვარი ზომების მიღება სულაც არ არის საჭირო, ისედაც იოლად გავიგებთ რამდენად ობიექტურად ჩატარდება გამოცდები. რაც შეეხება მეთვალყურეებს, შეიძლება დეპუტატები, კომპეტენტური პირები საზოგადოებრიობის მოთხოვნით დავასწროთ გამოცდებს. მწამს, რომ საქართველოში არიან ადამიანები — პატიოსანი გამომცდელები, რომელთაც საკუთარი თავის იმედი აქვთ, გრძნობენ შექმნილი მდგომარეობის მთელ სერიოზულობას და მხოლოდ ინტელექტს მიაგებენ პატივს. რაც შეეხება პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათი მონაწილეობა გამოცდებში დაუშვებელია.

— ფასიანი სექტორის გახსნამ ბევრად შეამცირა კონკურსი ზოგიერთ სპეციალობაზე.

— ესეც ბუნებრივი პროცესია. თუმცა, ამ ეტაპზე დიდი სიფრთხილეა საჭირო. ახლა სოკოებივით მომრავლდნენ კერძო სექტორის უმაღლესი სასწავლებლები, მაგრამ დროთა განმავლობაში ცხოვრება ყველას და ყველაფერს მიუჩენს თავის ადგილს. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს დროისა. იგი ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს.

— მიმღები კომისიის შემადგენლობის სრული შეცვლა ამ ეტაპზე ალბათ ვერ მოხერხდება, არა ერთი სპეციალისტის მოწვევა მოგიწევთ...

— საქართველოში ჩამოყალიბდა გამომცდელის პროფესია. არიან ადამიანები, რომლებიც ზაფხულის თაკარა სიცხეში, ძალზედ უმნიშვნელო ჰონორარის გამო, იბრძვიან გამოცდებზე დასარჩენად. აი, ასეთი ადამიანებისგან უნდა გათავისუფლდეს საგამოცდო კომისიები და ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. ის, ვისაც თუნდაც ერთი კომპრომისი დაუშვია, თუნდაც ლიბერალური განწყობის ან პროტექციონიზმის გამო, სუბიექტივიზმი გამოუმჟღავნებია — აღარ უნდა მონაწილეობდეს გამოცდებში. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით მოვაგვაროთ საქმის ტექნიკური მხარე. მაგრამ მთავარი საძნელო ადამიანის ფსიქოლოგიის შეცვლაა. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ გარკვეული საზოგადოებრივი აზრი (თუმცა, შეიძლება მისი შექმნის პროცესი ხელოვნურად დაჩქარებული აღმოჩნდეს), მაგრამ ჩვენც ცხოვრება არ გვაცდის.

ყველამ უნდა გაიაზროს, რომ არანაირი შეღავათი არ იქნება დაშვებული. აქვე დავსძენ, რომ დღეს ჩვენში მძაფრი უნდობლობის სინდრომია გამეფებული. ახალგაზრდას არ სჯერა არც საკუთარი თავისა და არც საზოგადოებისა. ჩვენ მოვუწოდებთ საყოველთაო ნდობის აღდგენისაკენ, დაე, ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ ეროვნული ხელისუფლების სახით მათ ღირსეული მფარველი ჰყავთ. ჩვენ ბოლომდე ვაპირებთ ბრძოლას განათლების სისტემის ძირეული რეორგანიზებისათვის. მაგრამ საბოლოოდ, როგორც აღვნიშნე, სიტუაცია მხოლოდ ერთ სფეროში ვერ მოწესრიგდება. ცხოვრების წესი უნდა შეიცვალოს. აი, სწორედ მაშინ მივალთ სრულ გამარჯვებამდე.

— რას გვეტყვით ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდის ჩატარების ტესტური სისტემის შესახებ?

— გამოცდის ჩატარების ეს მეთოდი ზედგამოჭრილია არასპეციალური ფაკულტეტებისათვის. იგი მოითხოვს ლიტერატურული ინფორმაციის გამომჟღავნებას. მაგრამ სპეციალურ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის ეს სრულიად არასაკმარისია. აქ უნდა შეფასდეს აბიტურიენტის ალღო, გემოვნება, მსოფლმხედველობა, ფილოსოფიური აზროვნება.

— თქვენი აზრი პრივილეგიების თაობაზე, საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებულნი თუ ისარგებლებენ რაიმე შეღავათებით?

— ამ საკითხის გადაწყვეტა უმაღლესი სასწავლებლის პრეროგატივაა. ნიჭიერი, მცოდნე ახალგაზრდისათვის ყველა კარი ღია უნდა იყოს. აქ უნდა მოქმედებდეს ერთადერთი პრინციპი — პრივილეგია მხოლოდ ნიჭს და ცოდნას. სხვა რამ შეღავათი უნდა გამოირიცხოს.

ესაუბრა ნინო კვიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მისცა ავტონომიამ აჭარას?

დავით ხახუტაიშვილი

როგორც საგანგებო შესწავლამ გამოააშკარავა, საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა აჭარის მიმართ ყოვლად გაუმართლებელ პოლიტიკას ახორციელებდა. ამის შედეგად ამ მხარის მოსახლეობამ — მკვიდრმა თუ არამკვიდრმა — აუნაზღაურებელი მატერიალური, მორალური და სოციალური ზიანი განიცადა.

თუ გავიხსენებთ დიდი ილიას სიტყვებს: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. ვფიქრობთ, აჭარის შესახებ უნდა ვიცოდეთ ყველაფერი: რა იყო, რატომ იყო და ვისგან იყო, რათა დროულად ვუმკურნალოთ იმ წყლულებს, რაც ყაზარმულმა სოციალიზმმა ამ მხარეს დაუტოვა...

●

აჭარის ავტონომიის იდეა შეიძლებოდა ჩასახულიყო და ჩაისახა კიდეც ქართველი ხალხის, პირველ რიგში, აჭარის მკვიდრი მოსახლეობის არაკეთილმოსურნეთა თეორიულ სამზარეულოში. ამიტომაც მან გასავალი ნახა ადგილობრივი ფეოდალურ-სასულიერო ფენების მხოლოდ ელიტურ ნაწილში. ფართო მასებს, მშრომელ მოსახლეობას და პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას ავტონომიის იდეა არც გაუთავისებია და, სამწუხაროდ, არც გადაჭრით უარუყვია, რაც იმ დროის ეროვნული ცნობიერების უმწიფრობაზე მიგვანიშნებს.

ბოლშევიკური გადატრიალებისა და მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) დამთავრების შემდეგ, რასაც მძვინვარე სამოქალაქო ომიც მოჰყვა, მოვლენები მანამდე არნახული სისწრაფით განვითარდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც (1918-1921 წ.წ.), ბუნებრივია, ამ ორომტრიალში აღმოჩნდა ჩათრეული და შეეწირა კიდეც მას.

საქართველოს გარშემო შექმნილი პოლიტიკური ინტრიგების ქსელში აჭარის ავტონომიის ლოზუნგს ერთნაირი თავგამოდებით იმარჯვებდნენ რუსეთიდან გამოქცეული და აქ თავშეფარებული ჩინოვნიკებიც (ე. წ. „რუსული ეროვნული საბჭო“), ოსმალური ადმინისტრაცია და მისი სატელიტებიც (ე. წ. „მუსლიმანთა საბჭო“) და რუსული ბოლშევიზმის ადგილობრივი ორგანიზაციებიც, რომელთაც კრემლიდან მართავდნენ. ყველა ისინი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასუსტება-დანაწილებისათვის იბრძოდნენ და, ბუნებრივია, ამ მხარის მოსახლეობის კეთილდღეობაზე სრულიადაც არ ზრუნავდნენ. ერთიანი, ორგანულად გამთლიანებული საქართველო ბოლშევიკური (ისევე როგორც მისი წინამორბედი რომანოვების) იმპერიისათვის გაცილებით ძნელი მოსანელებელი ლუკმა იქნებოდა, ვიდრე დაშლილ-დანაწევრებული, დაპირისპირებულ მხარეებად დაქუცმაცებული, შინაური წინააღმდეგობებით დაუძლურებული ქვეყანა. დაპირისპირებულ ჯგუფებად დანაწილდა ადგილობრივი ელიტაც: ერთნი თურქეთისაგან ითხოვდნენ ავტონომიას და მოტივად მათგან ეთნიკური განსხვავებულობა მოჰქონდათ, მეორენი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას ატანდნენ ძალას და ავტონომიის შექმნის აუცილებლობას რელიგიური განსხვავებულობით ასაბუთებდნენ, ხოლო მესამენი (ბოლშევიკები) ნაცად იარაღს (დემაგოგიას) იმარჯვებდნენ, თავს ჩაგრულთა ქომაგად ასაღებდნენ და ცდილობდნენ ავტონომიური სეპარატიზმით მოსახლეობის ფართო ფენებიც დაესნებოვნებინათ. 1920 წლის დამდეგს ბოლშევიკების თევდაჯერებულობა იქამდეც მივიდა, რომ მათ მოინდომეს აჭარაში აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ, ეს მხარე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან მოეგლიჯათ და პირდაპირ საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შეეყვანათ. საამისოდ მათ ოსმალებიც გამოიყენეს. ამის შედეგი იყო, რომ 1920 წლის გაზაფხულზე პროთურქული „მუსლიმანური საბჭოს“ მიერ შექმნილი „დამოუკიდებელი აჭარისტანის“ შეიარაღებული რაზმები ქობულეთში ბოლშევიკებს ლოიალურად ხვდებოდნენ, ხოლო ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის ერთი ხელმძღვანელის ცნობით, ეს რაზმები „თავს ბოლშევიკებად თვლიდნენ“ და ქართული ორიენტაციის წარმომადგენლებს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომხრეებს) აპატიმრებდნენ. ფაქტიურად, ეს იყო რუსი ბოლშევიკების მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აქციების ცალკე რგოლი. როგორც ცნობილია, ბოლშევიკებმა მოახდინეს ანტიქართული აჯანყების მრავალგზისი პროვოცირება აფხაზეთში (აპრილი-მაისი 1918 წ., თებერვალი 1921 წ.), შიდა ქართლის ოსეთში (1918 წ. მარტში, 1920 წ. აპრილში, 1921 წ. თებერვალში) და სხვა რეგიონებში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და პარლამენტი შეეცადა გაეთვალისწინებინა შექმნილი ვითარება და განეხორციელებინა საპასუხო ღონისძიებები. რამდენადაც იმ დროს პრობლემის სხვა გადაწყვეტა არა ჩანდა, 1919 წლის დეკემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი იძულებული გახდა მიეღო რეზოლუცია, რომლითაც სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარას) ავტონომიის სტატუსს შეპირდა, ოღონდ მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დაუბრუნდებოდა (ამ დროს იგი ინგლისელებს ეკავათ). 1920 წლის ივლისში ინგლისელებმა ყოფილი ბათუმის ოლქი მართლაც დაუბრუნეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მაგრამ ავტონომიის შექმნა მაშინვე ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციები და მათი შეიარაღებული რაზმები ქმნიდნენ პრობლემებს, რომელთა მოგვარება პირველი რიგის ამოცანა იყო. ამასთან, მალე, 1921 წლის თებერვალში, საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის არმია შემოესია, რაც ქვეყნის ოკუპაციითა და ანექსიით დამთავრდა.

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის გარიგებით აჭარა საქართველოს შემადგენელ ნაწილად ცნეს. ამასთან, რუსეთმა საქართველოს ხარჯზე დიდი ხელგაშლილობა გამოიჩინა და ტერიტორიულ დათმობებთან ერთად (ართვინი, არტაანი, სპერი, თორთუმი), მეორე მხარეს „მტკიცედ“ აღუთქვა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ავტონომიას მისცემდა, რაც კრემლის დიდმპყრობელური გეგმებითაც იყო გათვალისწინებული. ეს იყო პოლიტიკური ცინიზმის შედევრი: ერთი მხრით, გეგმავენ თურქეთის საზღვრებში მცხოვრები მილიონობით ქართველის დაჩქარებულ ასიმილაციას, არაფერს ამბობენ მათ პოლიტიკურ უფლებებზე, ხოლო, მეორეს მხრით, ვითომცდა იცავენ აჭარელთა ინტერესებს. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქემალისტების ამგვარი პოზიცია ბოლშევიკების შორს გამიზნულ გეგმებს ემთხვეოდა. იგი ფაქტობრივად ცარიზმის რუსეთისა და სულთნის ოსმალეთის ტრადიციული პოლიტიკის ახალი, საბჭოურ-ქემალისტური გაგრძელება იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტონომიის საკითხი ხელშეკრულებაში საბჭოთა დელეგაციის ინიციატივით შეიტანეს.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით აჭარა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ოფიციალურად მიჩნეულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა ამ კუთხის სამეურნეო, სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობის დასაძლევად, მაგრამ ფაქტობრივად კრემლი მას იმისთვის ქმნიდა, რომ **აჭარის მკვიდრი მოსახლეობა დანარჩენი საქართველოსთვის დაეპირისპირებინა, რაც მომავალში გააადვილებდა ქართველთა, მათ შორის მაჰმადიან ქართველთა გარუსების საქმეს, ერთიანი „საბჭოთა ხალხის“ ფორმირებას.** უკვე გავიდა 70 წელი და უფლება გვაქვს ვიკითხოთ, თუ რა მისცა ავტონომიამ აჭარას?

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობაზე ბუდუ მდივანმა იოსებ სტალინს ტრიბუნიდან მიახალა: „თქვენ ხომ მითხარით, რომ ბათუმში აჭარლებმა არ იპარპაშონო!“, რაზედაც სტალინს ვერაფერი უპასუხნია. ჩვენ სხვა წყაროებიდანაც ვიცით ი. სტალინის პოზიცია აჭარელთა მიმართ და დარწმუნებული ვართ, რომ აჭარის ავტონომია ერთი იმათგანი იყო, რომელსაც დაყოვნებული მოქმედების ნაღმის როლი უნდა შეესრულებინა, თუ საქართველო ოდესმე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას შეეცდებოდა. ამგვარივე როლი განეკუთვნებოდა ავტონომიებს არამარტო საქართველოში, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

აჭარის ეთნიკური რეალობა განსხვავებული იყო. ამ ძირძველ ქართულ მხარეში, სადაც ქართველები მოსახლეობის 80%-ზე მეტს შეადგენს, ცენტრმა რეალურად ვერ მოახერხა ავტონომიური სტრუქტურის იმგვარად გამოყენება, როგორც დაგეგმილი ჰქონდა. თუმცა, დრო და დრო, ხდებოდა ცალკეული გზააბნეული, ბიუროკრატიული აპარატის ხრიკებით განაწყენებული მცირერიცხოვანი ჯგუფების სტიქიური აქციები. აქვე უნდა ითქვას, რომ ვითარებას რამდენადმე ართულებდა ადამიანთა ცნობიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ზოგიერთი ფსიქოლოგიური სტერეოტიპი, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო ოსმალთა ბატონობის პერიოდიდან. მისი არსებობა ობიექტურად იმპერიული კრემლის წისქვილზე ასხამდა წყალს. ისიც ხელოვნურად აღვივებდა მას და ახერხებდა ყველაფერი ეს მკვიდრი მოსახლეობისადმი ზრუნვად გაესაღებინა.

ი. სტალინის მითითებული დავალების უშუალო განხორციელებას ემსახურებოდა ისეთი შეფარული, შეურაცხმყოფელი ღონისძიებები, როგორიც იყო ქალაქ ბათუმში მკვიდრი მოსახლეობის მიღება-ჩაწერის მკაცრად შეზღუდვა, საამისოდ, თითქმის ყოველთვის ქალაქის საპასპორტო მაგიდის უფროსად არ დაინიშნებოდა ადგილობრივი მკვიდრი (აჭარელი). ამავე დროს, აჭარისწყლის ხეობა, საიდანაც ბარი ყოველთვის იღებდა მოსახლეობის ნამატს, „გადაიკეტა“ სამი სასაზღვრო-საჯარისო ხერგილით (მახუნცეთში, ქედასთან და გოდერძის უღელტეხილზე), რაც, ბუნებრივია, საზღვრების დაცვას მხოლოდ გარეგნულად თუ ემსახურებოდა.

ი. სტალინის ცნობილი დავალებით დამკვიდრდა ყოვლად გაუმართლებელი რამ, როცა აჭარელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მმართველი (ბოლშევიკური) პარტიის საოლქო, საქალაქო თუ რაიონული კომიტეტების პირველი მდივანი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მისი რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელი, ზოგჯერ თანამშრომელიც კი. ფაქტობრივად, ეს იყო უზნეო ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავდა მუდმივ დაპირისპირებაში ჰყოლოდა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, აჭარის მკვიდრი მოსახლეობა და დანარჩენი ქართველობა.

ი. სტალინი ამგვარი სიტუაციების გათვლის დიდოსტატი იყო და მის მიერ დატოვებული ტოტალიტარული, ყაზარმული სისტემა, ოდნავ სახეცვლილი, ბოლო დრომდე აკეთებდა თავის ბოროტ საქმეს. მართალია, აჭარაში ეს არ გამოუვიდა მთელი სისრულით, მაგრამ იგი წარმატებით „მუშაობს“ შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში (სამაჩაბლოში), აფხაზეთში...

1990 წ. ჩვენში ჩატარებულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა დასახა რეალური გზები ამ აღმაშფოთებელი უსამართლობისა და დაძაბულობის სრული ლიკვიდაციისათვის. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ბევრი რამ, მართალია, სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ ბევრი სტერეოტიპი, ამა თუ იმ ფორმით, კვლავაც მოქმედებს, ამღვრევს წყალს და საჭიროებს დაძლევას. ასეთი მოვლენები უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვარკვევთ საკითხს, თუ რა სიკეთე მოუტანა ავტონომიამ აჭარის მკვიდრთ. უნდა გავიხსენოთ, რომ ყველაფერი ხორციელდებოდა ისე, როგორც ეს საბჭოური ავტონომიების ავტორს ი. სტალინს ჰქონდა ჩაფიქრებული. სწორედ ავტონომიური სტრუქტურის პირობებში საბჭოური 70 წლის მანძილზე აჭარა არათუ გაუთანაბრდა საქართველოს სხვა რეგიონებს, არამედ მრავალი მაჩვენებლების მიხედვით კვლავაც ჩამორჩება მათ (ამ დროის მესამედიც არ დასჭირდა კაპიტალისტურ სამხრეთ კორეას, რომ მოწინავე ქვეყნების რიცხვში ჩამდგარიყო). ეს იყო დაგეგმილი ჩამორჩენა, მკვიდრთა წაქეზება საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ, მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნების მექანიზმი. იგი ხორციელდებოდა კრემლის კარგად შენიღბული სცენრით, სხვადასხვა რანგის მარიონეტთა ხელით.

საბოლოოდ, ავტონომიურმა სტრუქტურამ მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მართვისა და დაგეგმვის პირობებში უაღრესად უარყოფითი, დამთრგუნველი როლი შეასრულა აჭარის მთელი მოსახლეობის (ქართველისა და არაქართველის) ცხოვრებაში. ეს მხარე არა თუ გაუთანაბრდა საქართველოს სხვა რეგიონებს, როგორც უნდა მომხდარიყო, არამედ ჩამორჩენა კიდევ უფრო გაიზარდა.

ბოლოდროინდელ პრესას, საჯარო გამოსვლებსა და შეფასებებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ერთნი იცავენ და სასარგებლოდ თვლიან ავტონომიურ სტრუქტურას, მეორენი უსარგებლოდ მიიჩნევენ და გაუქმებას მოითხოვენ, ხოლო ზოგიერთს ანტიეროვნული მოძრაობა ელანდება, კერძო შემთხვევებს ზოგად ჟღერადობას აძლევს და ფაქტიურად წყალს ამღვრევს. ამგვარი მოუფიქრებელი გამოხდომები მხოლოდ ჩვენი ერთობის მტრებს ეხმარება, რადგან დაუმსახურებელი ბრალდებები ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ ნოყიერ ნიადაგს უქმნის დესტრუქციულ ძალებს გამოიყენონ შექმნილი ვითარება და მოახდინონ **შიდაეროვნული კონფლიქტის** პროვოცირება.

ის გარემოება, რომ ძირძველი ქართული მხარეების (კოლა-არტაანის, შავშეთის, კლარჯეთის, იმერხევის, ტაოს, სამცხე-ჯავახეთის, აჭარის)... მოსახლეობა იძულებული გახდა გამაჰმადიანებულიყო, მათი დანაშაული როდია, როგორც ეს ზოგიერთს, მათ შორის მაღალგანათლებულობაზე პრეტენზიის მქონეთ ჰგონიათ, არამედ ამ მხარეების მკვიდრი მოსახლეობის ტრაგედიაა. ბოლოს და ბოლოს, თუ „ბრალეულის“ ძებნაზე მიდგებოდა საქმე, მორალური პასუხისმგებლობის ტვირთი მთელ ქართველობას უნდა გვეკისრა: ეს ჩვენ ვერ დავიცავით, მტერს შევატოვეთ ხელში მხარეები, სადაც შუასაუკუნეების ქართული კულტურის აკვანი დაირწა, ხოლო ვითარებას თუ მიუკერძოებლად შევხედავთ, ვნახავთ, რომ ამისი მიზეზი გახლდათ ის მძიმე საშინაო და საგარეო სიტუაცია, რომელშიც გვიანი შუა საუკუნეების საქართველო აღმოჩნდა, ზნეობრივ ღირებულებათა ის გაუგონარი დევალვაცია, როგორიც იმდროინდელ საქართველოს დაატყდა თავს. აჭარის მკვიდრი მოსახლეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საშუალება არ მისცა კრემლის აგენტურას ეს მხარე საერთო-ქართულ საქმეებზე ზემოქმედებისათვის გამოეყენებინა.

როცა სტალინის მითითებით აჭარის მთიანეთის მკვიდრ მოსახლეობას ქალაქისაკენ (ბათუმისაკენ) კარები ჩაურაზეს, ბუნებრივია, იგი ჩამორჩენილობისათვის შეგნებულად გაწირეს, რადგან ცენტრს მხოლოდ ასეთი აჭარა სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, 1990 წლის მრავალპარტიულ არჩევნებში აჭარის სოფლის მოსახლეობამ სწორედ იმ პარტიას დაუჭირა მხარი, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე შეურაცხყოფდა მის ღირსებას ეს იმის მოწმობაა, რომ მოსახლეობის ფართო მასებს ჯერ კიდევ ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან მოკეთე და არაკეთილმოსურნე.

ამგვარად, აჭარის სოფლის ინტელექტუალური ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ იგი მოკლებული აღმოჩნდა საშუალებას ქალაქურ კულტურას დროის შესაფერისი სისრულით ზიარებოდა.

ი. სტალინის შორსგამიზნული დავალება, რომ „ბათუმში აჭარლებს არ ეპარპაშათ“, სხვა ნეგატიური სიტუაციების, მათ შორის შიდაეროვნული დაპირისპირების არასასურველი გამოვლინებების წყაროსთვალი უნდა გამხდარიყო.

ბათუმში 1921 წლის 22 აპრილიც ამის იმპულსური გამოვლინება იყო. აქაც აჭარის მთა, მოსახლეობის ფართო მასები არაფერ შუაშია. იგი ჩვენ დავანებეთ დესტრუქციულ ძალებს, რომელთაც მარჯვედ გამოიყენეს ახალგაზრდა ხელისუფლების წარმომადგენელთა ზოგიერთი არაკომპეტენტური აქცია.

●

თუმცა ბათუმი რევოლუციამდელი პერიოდის სამრეწველო ქალაქი იყო, მაგრამ 20-იან წლებში (ინდუსტრიალიზაციის ხანა) აქ მრავალი ახალი საწარმო აშენდა, ბევრი საწარმოს რეკონსტრუქცია-განახლებაც მოხდა. როგორც მშენებლობა-რეკონსტრუქციას, ისე აშენებულ-განახლებულ საწარმოებს დიდძალი მუშახელი დასჭირდა. რამდენადაც მკვიდრ მოსახლეობას ქალაქისაკენ გზა გადაკეტილი აღმოაჩნდა, ბუნებრივია, ვაკუუმის შევსება საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობის ხარჯზე განხორციელდა, რის გამოც ქალაქში ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წილი კიდევ უფრო შემცირდა. ამას დაემატა კოლექტივიზაციის პროცესი, როცა გლეხობას „ზედმეტი“ მიწა ჩამოართვეს, ვისაც ლუკმა პური ებადა გააკულაკეს ან გაასახლეს და მის ქონებასაც კონფისკაცია უყვეს. სოფელში გაჩნდა „ზედმეტი“ მოსახლეობა, რომელიც თავშესაფრის ძებნას შეუდგა. დასავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქებს შეეფარა. ამ დროს შემოემატა ბათუმს, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებს, გურიის, იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის სოფლების „ზედმეტი“ მოსახლეობა, მას დაემატა ლტოლვილები, რომლებიც შიმშილისაგან გაპარტახებული რუსეთის რეგიონებიდან საქართველოსკენ დაიძრნენ და აქ დამკვიდრდნენ.

(დასასრული მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

კრემლის მიერ დანერგილი მავნე, ანტიქართული (ანტიაჭარული) პრაქტიკის წყალობით ბათუმში ყველა კუთხის, ყველა მხარის წარმომადგენლები მკვიდრდებოდნენ, გარდა ადგილობრივი სოფლის მოსახლეობისა. არადა, აჭარისწყლის ხეობა (და საერთოდ მთის ზოლი) ყოველ 20-30 წელში ჭარბი მოსახლეობისაგან უნდა განთავისუფლებულიყო. ამ პროცესისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ ისეთი მახინჯი ფორმები მიიღო, რომ, როცა ომისშემდგომ პერიოდში მწვავედ დადგა მოსახლეობისაგან გადატვირთული აჭარისწყლის ხეობის ჭარბი მოსახლეობისაგან განტვირთვის საკითხი, მაშინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ ჩვეული ვოლუნტარული გადაწყვეტილება მიიღო და მიგრაციის ნაკადი სამხრეთ საქართველოსკენ კი არ მიმართა, სადაც ქართველობას განსაკუთრებით უჭირდა და ახალმოსახლეთათვისაც მათი ადრინდელი ადგილსაცხოვრისის შესადარი ბუნებრივი პირობები არსებობდა, არამედ იგი იძულებით გაუშვა აჭარა-გურიის ბარისკენ. სწორედ ამ დროს ხელვაჩაურისა და ქობულეთის, აგრეთვე, ნაწილობრივ, ოზურგეთის რაიონებში მთლიანად აითვისეს ე. წ. „საკარმიდამო მიწის ფონდი", რის გამოც აქ ხელოვნურად შეფერხდა მოსახლეობის შემდგომი ბუნებრივი გამრავლების პროცესი. მეორე მხრივ, არ გასულა 30 წელიც და აჭარისწყლის ხეობა მოსახლეობით კვლავ გადაიტვირთა. იმის გამო, რომ წასასვლელი არსაით იყო, დაიწყო ახალი სავარგულების ათვისება, რასაც რელიეფის ხელოვნური შეცვლა, ტყეების გაჩეხვა და ბუნებრივი ბალანსის დარღვევა მოჰყვა. 1989 წლის 19-20 აპრილის ტრაგედიაც, ალბათ, ისეთი მასშტაბების არ იქნებოდა, საქართველოს საბჭოურ ხელმძღვანელობას რომ თავის დროზე გონივრული დემოგრაფიული პოლიტიკა ეწარმოებინა და იმპერიული ცენტრის საამებლად სახელმძღვანელოდ არ გაეხადა ყბადაღებული სტერეოტიპი „მაჰმადიანი ქართველის" შესახებ. ასე რომ, ჩვენმა „ნაცადმა" პარტოკრატიამ ვერც მთის პრობლემა გადაჭრა და ბარსაც ახალი პრობლემა გაუჩინა.

ამგვარად, ი. სტალინის მიერ დარგულ-გახარებული ანჩარი დროდადრო მისი გარდაცვალების შემდეგაც იძლეოდა შხამიან ნაყოფს; ამისი მოწმობაა ყბადაღებული „აჭარის ხსნის კომიტეტი", რომელიც რამდენიმე გზაკვალაბნეულს აერთიანებდა. მათი მკვებავი გარემო და საყრდენი იყო აქა-იქ შემორჩენილი ძველი სტერეოტიპები და შეურაცხყოფილი ადამიანური ღირსება, რომლის წყაროსთვალია რკპ (ბ) XII ყრილობაზე 1923 წ. გამჟღავნებული საიდუმლოება: აი, ყრილობაზე ბუდუ მდივნის გამოსვლის ფრაგმენტი:

„...შემდეგ აჭარლებზე. მე აქ ამხ. სტალინს უნდა გავახსენო: როცა თქვენ იქ იყავით, ხოლო მე რევკომის თავმჯდომარე გახლდით, თქვენ მე მეუბნებოდით: ამ ხალხის (აჭარლების — დ. ხ.) მიმართ ძალიან ფრთხილად უნდა იყოთო.

აი მიზეზი, თუ რატომ ხდება გადახრები ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას. როცა ეს ხდება ამხ. სტალინის დავალებით, მე უნდა ვთქვა: მესმის, ამხ. სტალინ! მე მითითება მქონდა — ისე გამეკეთებინა, რომ ბათუმში აჭარლები არ მბრძანებლობდნენ. აქედან დაიწყო მათი უკმაყოფილება, ხოლო რასაც ლაპარაკობენ ენის შესახებ და ა. შ. ყველაფერი ეს ზღაპრებია, წმინდა წყლის მონაჩმახია. ავტონომია კი აჭარლებს ჩვენ მივეცით".

ჩვენ ვნახეთ, თუ პრაქტიკულად როგორ ხორციელდებოდა ი. სტალინის ეს იდეა და რა ნაყოფი გამოიღო მან. სტალინის მიერ შექმნილ „ბოროტების იმპერიას" დღეს საკმაოდ ცბიერი მეურვე გაუჩნდა საბჭოთა პრეზიდენტის სახით. იმპერიის შესანარჩუნებლად მან საბჭოთა „ავტონომიები" კავშირისა და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების სუბიექტად აქცია.

ასე, ჩვენს თვალწინ, ჩვენივე მდუმარე თანხმობით ლენინურ-სტალინური „ანგელოზური" ავტონომიები გადაიქცნენ გორბაჩოვისეულ სატანურ ავტონომიებად. მათ სათავე დაუდეს ეთნოკონფლიქტებს და სისხლისღვრას, რაც უშუალოდ შედის ღლევანდელი საკავშირო ლიდერების ვერაგულ, დიდმპყრობელურ გეგმებში, რომელიც მათ ცარიზმისაგან მემკვიდრეობით მიიღეს, სრულქმნეს და „ბოროტების იმპერიის" შენარჩუნების გარანტიად აქციეს. ამისი გამოვლინებებია სისხლიანი ბანდიტური გამოხდომები აფხაზეთში, შიდა ქართლში (ყოფილ სამხრეთ ოსეთში), მთიან ყარაბაღში და ა. შ.

მაინც როგორ მოხდა, რომ ასეთი გულმოდგინებით, მე ვიტყოდი, ცინიკური კმაყოფილებით სრულდებოდა სტალინის სატანური დავალებები აჭარლების მიმართ? როგორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ სამომავლოდ?

ჩვენი აზრით, ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო ბოლშევიკური პარტია და მის მიერ შექმნილი ავტორიტარული, ყაზარმული სოციალიზმი თავისი ყოვლისშემძლე პარტოკრატიით, რომელიც ფართო მასას მოხერხებულად უმალავდა რეალურ ვითარებას, აბრუებდა მას ლამაზი სიტყვებით ყველაზე დემოკრატიული სოციალისტური ცხოვრების, წინათ ჩამორჩენილ მხარის აღმავლობისა და ხალხთა დაუშრეტელი მეგობრობის შესახებ. პერსონალურად ბრალეულია ყველა — სატანური განკარგულების ავტორებიც და მისი მარიონეტი შემსრულებლებიც, ყველა დონის პარტიული დიქტატორები, ის უჯილავონი და უთვისტომონი, უსამშობლო და უზნეონი, რომლებიც დინამიტით აფეთქებდნენ ქართული კულტურის ძეგლებს, ბულდოზერებით ხრამში ჰყრიდნენ ეკლესიების ნაშთებს, „დაკეტეს" ან გაანადგურეს ეკლესიები და მეჩეთები, უნამუსოდ ჰყიდდნენ თანამდებობებს, ციხეებში ალპობდნენ, გოლგოთაზე გზავნიდნენ უდანაშაულო ადამიანებს და ყველაფერ ამას სოციალიზმის მშენებლობად ასაღებდნენ. ასეთ როლებზე პრეტენდენტები დღესაც შეიძლება მოიძებნოს. ცენტრის მიერ მოხერხებულად მოტყუებული და წაქეზებული ზოგიერთი ჩვენი „თავკაცი" მიტინგებსა თუ კრებებზე სულ ახლახან ავტონომიის მკვიდრი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას იმათ აბრალებდა, ვინც თვითონ არის ამ სისტემის მსხვერპლი, იძულებული გახდა ტოტალურ კოლექტივიზაციას გაქცეოდა და თავი ბათუმისათვის შეეფარებინა. სიმართლის დაუნახაობა უზნეობაა, მაგრამ როცა ასეთი რამ იმპერიული ცენტრის საამებლად და საკუთარი ხალხის საზიანოდ კეთდება — ორმაგი უზნეობაა. ეს კარგად უნდა ახსოვდეთ „ხსნის კომიტეტის" აქტივსტებს და მათ ფარულ წამქეზებლებს. ბრმა უნდა იყოს კაცი, ვერ დაინახოს, რომ ეს ათასგვარი ჩვენი „დამცველები" სსრკ პრეზიდენტიდან მოკიდებული ჩვენი „ხსნის კომიტეტის" თუ „გარდაქმნის ხელშემწყობი კომიტეტის" წევრებით დამთავრებული, ფაქტობრივად, ქართველი ხალხის მუდმივ მონობაში დატოვებისა და დრომოჭმული, უზნეო, ჯავშანსატანკო იმპერიის შენარჩუნების საქმეს ემსახურებიან, ზოგჯერ შეგნებულად, ხშირად კი სავსებით შეუგნებლად ისინი ალიანსში არიან „კრემლის დიდმპყრობელური შოვინიზმის ყველაზე რეაქციულ ძალებთან, მთელი ქართველობის, პირველ რიგში, აჭარის მოსახლეობის დაუძინებელ მტრებთან.

მეორე მხრით, საქმეს ნამდვილად წაადგება, თუ ვაღიარებთ, რომ პარტიულ-ბიუროკრატიული ცენტრების მიერ ხშირად ძალისმიერი მეთოდებით ბათუმსა და აჭარაში გამოგზავნილი ზოგიერთი ფუნქციონერი აქ თავისი „გამაბედნიერებელი" როლისთვის განსაკუთრებული წონადობის მისაცემად „ცენტრს" გამუქებულ, მრუდე ინფორმაციას აწვდიდა და, ფაქტობრივად, ამით მკვიდრი მოსახლეობის გაუცხოების წისქვილზე ასხამდა წყალს. მაგალითების მოთიობა სადღეისო სინამდვილიდანაც შეიძლება. საბედნიეროდ, ქართული ერთობის გენი, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ქართველთა გამთლიანების, მათი სულიერი კონსოლიდაციის საქმე ბუნებრივი გზით წარიმართა. მეორე მხრით, სამწუხაროდ, თბილისსა თუ საქართველოს სხვა რეგიონებში აჭარის შესახებ, აჭარელთა რწმენის შესახებ დამახინჯებული, გაუცნობიერებელი, ბოროტი ინფორმაციის ჩატანის მთხალისეები ჯერ კიდევ არ გამოლეულან, რადგან იქ ისინი ოფიციალურად თუ არა, დერეფნებსა და ოროლობეებში მაინც, „დაინტერესებულ" (ზოგჯერ გაკვირვებულ) მსმენელებს პოულობენ.

საბედნიეროდ, სულიერი ერთობის ძაფები ჯერ კიდევ მთელია. რომელთა დაწყვეტის მცდელობა უდიდესი ბოროტებაა, გაუგონარი უზნეობა იქნებოდა არა მარტო საქართველოს მომავლის, არამედ საერთოდ ადამიანურის წინაშე... ბევრი ჩვენთაგანი ყოფილა სამშობლოს ძალად მოწყვეტილი ქართველი მუჰაჯირების ოჯახებში.. გაიხსენეთ მათი სულიერი მდგომარეობა, სინანული, მათი დაუფარავი ცრემლისღვრა.

ჩვენი საქმე გაცილებით უკეთ წავა თუ ყველანი გავიცნობიერებთ და არ დავივიწყებთ, რომ სამშობლო არა მარტო ზეგარდმო ჯილდოა, არამედ უდიდესი ვალდებულებაა... მოდით, უაზრო და უზნეო საყვედურებით, დაუსაბუთებელი ბრალდებებით, ნუ შეურაცხვყოფთ ერთმანეთს, ნუ დაგვავიწყდება, რომ გურულს, იმერელს, რაჭველს, ინგილოს, აჭარელს, შავშსა თუ კლარჯს, ლაზსა თუ სვანს, ხევსურსა თუ კახელს... ერთი სამშობლო გააჩნიათ, რომ მათ ქართველობა ვინმესაგან კი არა აქვთ ნაწყალობები, არამედ უზენაესისგან აქვთ ნაბოძები... გვახსოვდეს: ჩვენი ხსნა მხოლოდ ჩვენს ერთობაშია, ხოლო ჩვენი ერთობის მტერი, ჩვენი გადაშენების მოსურნეთა მოკავშირეა...

●

ეს წერილი არც ვისიმე გასანაწყენებლად დაწერილა და არც საამებლად მისი მიზანია, თვალი აუხილოს საქმეში ჩაუხედავ მკითხველს და აჩვენოს მას, თუ რა მისცა ავტონომიამ აჭარას და რისი იმედი უნდა ჰქონდეს სამომავლოდ. მე კვლავ ვიმეორებ: ისედაც პატარა საქართველოში ორი ქართული სახელმწიფოს არსებობა უხერხულიცაა და არანორმალურიც, საწყენიცაა და სახიფათოც. გერმანელები ყოველგვარ დათმობებზე წავიდნენ ოღონდაც ორ სახელმწიფოდ გაგლეჯილი მათი სამშობლო გაემთლიანებინათ. არ მესმის ზოგიერთ ჩვენგანს რა ღმერთი გაგვიწყრა...

ამას წინათ ზოგიერთებმა ააფორიაქეს აჭარის მთიანეთის პატიოსანი მშრომელები („აჭარას აუქმებენო"), ისინი ჭორებით გაალიზიანეს („ძალად უნდა გაგვაქრისტიანონო"), სამუშაოსგან მოწყვიტეს ბათუმში ჩამოიტყუეს და ზოგიერთი სამართლიანი მოთხოვნის ფონზე მათი პროვოცირება სცადეს.

ამ „საქმის" ერთ-ერთი ორგანიზატორი ზოგიერთ ეგზალტირებულ და ალკოჰოლით გაბრუებულ მონაწილს აგულიანებდა, დაერბიათ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. მე არ მესმის ვის უნდა მოსვლოდა თავში ინსტიტუტის დარბევის ველური აზრი, ან როგორ აპირებდნენ დაერბიათ დაწესებულება, რომლის კოლექტივი 30 წელზე მეტია წარმატებით სწავლობს აჭარისა და მეზობელი მხარეების ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, დიალექტოლოგიას, ეკონომიკასა და სოციოლოგიას, შექმნა და გამოაქვეყნა ათასობით სამეცნიერო ნაშრომი, აღზარდა ათეულობით მკვლევარი, მათ შორის მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები, პროფესორები, შეაგროვა წყაროების უზარმაზარი ფონდი, შექმნა უნიკალური ბიბლიოთეკა და ძეგლთა დათარიღების სპეციალური ლაბორატორია, რომლის მსგავსი ჯერჯერობით არსადაა საქართველო-კავკასიაში.

მიტინგის მონაწილეებმა გამოიჩინეს გონიერება, არ აყვნენ არამკითხე „ბელადებს" და ამით მრავალტანჯული აჭარის მოსახლეობას საშვილიშვილო თავლაფდასხმა ააცილეს.

# საქველმოქმედო კონცერტი სოხუმში

24 ივნისს — სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართულ დრამატულ თეატრში გაიმართა სიმღერის ნამდვილი ზეიმი: მაყურებლის წინაშე (დარბაზში, როგორც იტყვიან, ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იყო) წარსდგნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები, მხატვრული სიტყვის ოსტატები. საესტრადო ჟანრის მსახიობები — საქართველოს სახალხო არტისტები: მედეა ძიძიგური, ვაჟა აზარაშვილი, საქართველოს დამსახურებული არტისტები — თამარ გვერდწითელი, თათია ხაინდრავა, კოტე მახარაძე, მერაბ დონაძე, სატირისა და იუმორის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები ირინე ირემაშვილი, მომღერალი მაია ჯაბუა, ტრიო „თბილისი" და ანსამბლი „მუსიკა".

სამი საათის განმავლობაში დარბაზში ილვრებოდა ქართული სიმღერის ტკბილი „იმედიანი ჰანგები, ჟღერდა მხატვრული სიტყვა, ხალასი იუმორი.

ამ შესანიშნავი საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზატორი და სპონსორი იყო ახლადშექმნილი კომერციული ფირმა „ეროლი". მიზანიც კეთილშობილური იყო — დაეხმარებოდნენ საქართველოში მიწისძვრით დაზარალებულებს. კონცერტის მთელი შემოსავალი 16 ათასი მანეთი — გადაერიცხა დაზარალებულთა ფონდს.

ჩვენთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, კომპოზიტორმა ბორის თბილელმა თქვა: „ამას წინათ მოლაპარაკება გვქონდა აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის ხელმძღვანელებთან და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ წლის დასასრულამდე სოხუმელებს მრავალი საინტერესო შეხვედრა ელით ჩვენთან".

ნანა ჩხენკელი,
თენგიზ კაკორია.

ქ. სოხუმი.



სალომე ზღვაზე.

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ეროვნული

# თავის თავზე და ზოგ რამე სხვაზე

## ალექსანდრე ბარამიძე

„გარდაქმნისა და საჯაროობის" ხანამ, განსაკუთრებით კი 1990 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩატარებული დემოკრატიული, თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნების შედეგად შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ შესაძლებელი გახადა სუკ-ის* ცხრაკლიტულში ჩამარხული და საიდუმლოდ დაცული პირველხარისხოვანი საისტორიო საარქივო მასალების ნაწილობრივ მაინც გამოვლინება და მზის სინათლეზე გამოტანა. ამ მხრივ უთუოდ მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს გიორგი ციციშვილის ღვაწლი. მან პატივი დამდო და მომაწოდა ჩემს შესახებ მასალების შემოწმებული სანდო პირები (ზოგი რამ ბეჭდურადაც გამოაქვეყნა). აქ მომყავს ჯერჯერობით ჩემთვის ცნობილი დოკუმენტები.

1. იქსის* დაკითხვის ოქმის ამონაწერი (ტექსტი შედგენილია რუსულ ენაზე, ქართული თარგმანი ჩემია):

ბარამიძე ალექსანდრე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩაბმული იყო (был завербован) ჩემს მიერ 1933 წლის გაზაფხულზე. კონტრრევოლუციურ საუბრებს მასთან ვეწეოდი სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში. ძირითად ამოცანად მას დავუსახე ახალი კადრების ჩაბმა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, რადგანაც ის, ბარამიძე, წარსულში სწავლობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში და მჭიდრო კავშირი ჰქონდა უნივერსიტეტის ახალგაზრდობასთან. ბარამიძემ ხალისით მიიღო ჩემი წინადადება და აქტიურად მუშაობდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მის მიერ ჩაბმულ პირთაგან ჩემთვის ცნობილია ქსენია სიხარულიძე. (შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, საქმე №12361, П — 5922, ფ. 31).

2) (ნაკრები) სია კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის მონაწილე დასაპატიმრებელი პირებისა. სიაში შეტანილია 121 პირი, მე-15 ნომერია ალექსანდრე ბარამიძე:

საქართველოს მუზეუმის თანამშრომელი, კ/რ ფაშისტური ორგანიზაციის წევრი. ჩაბმული იქნა იქსის მიერ, რის შესახებაც უკანასკნელმა მისცა გაშლილი ჩვენება. გარდა ამისა, ბარამიძეს ფაშისტური ორგანიზაციისადმი კუთვნილება მტკიცდება იგრეკისა და ზეტის არაპირდაპირი (косвенными) ჩვენებებით. (შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ПР 31221, № 15. ეს დოკუმენტი გ. ციციშვილმა უკვე გამოაქვეყნა ბეჭდურად: გაზ. „ერი", 27. 2. 91, გვ. 6–7).

3. სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლ. პ. ბერიას

იგრეკის ვრცელი წერილი 45 გვ. (საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი). ამ წერილის 37-ე გვერდზე საუბარია იმის შესახებ, რომ თბილისის უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესორები თითქოს აღტაცებით შეხვდნენ გერმანელი ფაშისტების წარმატებებს. იმ დროს, უნივერსიტეტიდან მოხსნეს და საქართველოს მუზეუმში გადაიყვანეს სამუშაოდ პროფესორები ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი. იგრეკი წერს:

„სახელმწიფო მუზეუმში ისხდა ამ განწყობილებების (ე. ი. ფაშისტური განწყობილებების, ა. ბ.) (გამომხატველ) პირთა მუდმივი შტაბი იქ მომუშავე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, ინგოროყვას, ბარამიძისა და სხვათა სახით. მათთან მუდმივი კავშირი ჰქონდათ ს. ყაუხჩიშვილს, ს. ჯანაშიას, ვ. ბერიძეს და სხვ. მეც, როგორც უკვე ვთქვი, ერთი-ორჯერ ვიყავი იქ და ვმონაწილეობდი ფაშისტურ საუბრებში, თანავუგრძნობდი ყოველივე ამას. შს სახალხო კომისარიატის შინაგანი საპატიმრო, საკანი 81, (1939 წლის 3-5 თებერვალი).

4. Пр 31221, ფ. 153.

(ზეტის დაკითხვის ახლიდან)

...ეს ყველაფერი მე ვიცი თვითონ ივანე ჯავახიშვილისაგან. მან (— უკანასკნელმა) აგრეთვე მითხრა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტის, ამჟამად უნივერსიტეტის დოცენტის, ბარამიძის დაკავშირებულობაზე (о причастности) კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტურ ორგანიზაციასთან. იგი ჩვენს ორგანიზაციაში ჩაბმული იყო პავლე ინგოროყვას მიერ. 1. IX. 38.

5. გაზეთ „სახალხო განათლების" 1990 წლის 17 იანვრის ნომერში გიორგი ციციშვილმა დაბეჭდა წერილი სათაურით „დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები". ამ წერილში ჩართულია თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობიდან პოლიტიკურად საეჭვო პირთა ერთი ჯგუფის სია მოკლე-მოკლე საცნობარო დახასიათებით. სია შედგენილია 1936 წელს უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, წითელი პროფესორის კარლო ორაგველიძის მიერ (შესაძლებელია „ორგანოს" დაკვეთით). სიაში ფიგურირებს ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძე. მასზე ნათქვამია: „სასულიერო წოდებიდან, ყოფილი მენშევიკი... უნივერსიტეტში საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას არ ღებულობს. საქართველოს სახკომსაბჭო საჭიროდ სთვლის მთლიანად გადაიყვანოს ქუთაისის პედინსტიტუტში..." გ. ციციშვილის პუბლიკაცია შემოკლებულია, რაც მრავალწერტილებითაა გამოხატული. სხვა წყაროებით ვიცი, რომ რექტორი აღნიშნავდა, თითქოს მე ვიყავი „უკვე დახვრეტილი ხალხის მტრის კოლია ბარამიძის უახლოესი (ближайший) ნათესავი".

### საერთო ხასიათის მცირე კომენტარი

ყველაფრიდან ჩანს, რომ პოლიტიკურად საეჭვო და დასაპატიმრებელ პირთა სიებს სუკში ადგენდნენ სხვადასხვა წყაროების მიხედვით. ძირითადი მამხილებელი ხასიათის ცნობების მიმწოდებელი ყოფილან საგანგებოდ დასაიდუმლოებული დაქირავებული აგენტები თუ ნებისმიერი ჯურის ჯაშუშები, დამსმენნი და ინფორმატორები. ბევრ ბრალდებულს ასახელებდა ჯოჯოხეთური წამების შედეგად ფიზიკურ და მორალურ ძალ-ღონე გამოლეული თვითონ უდანაშაულო პატიოსანი პატიმარი. ამისათვის შემუშავებულა სპეციალური ტერმინი — „ჩამშვები", „დამსახელებელი" („დამსახელებელ-ჩამშვები"). როგორც წესი, სუკის საკანში გამომწყვდეულ პატიმარს ძალდატანების უკიდურესი ხერხების გამოყენებით ხელს აწერინებდნენ გამომძიებელთა მიერ დაკითხვის შეთითხნილ ოქმებს და შესარისხავ პირთა სიებს. როგორც კი ასეთ პატიმარს ორგანოსთვის საჭირო ხელმოწერას დატყუებდნენ, უმალვე ხვრეტდნენ (ვაითუ შემდეგ ნაყალბევი გადათქვასო). სუკის პატიმართა დაკითხვის ოქმები და შერისხულ პირთა სიები ამ შემზარავი ორგანოს კაბინეტებში შეთხზული ყალბი დოკუმენტებია. ეს ოქმები და სიები უფრო სუკის დანაშაულებრივი ქმედების საბუთებია, მისი ბნელი საქმიანობის მამხილებელი და არა უბედურ პატიმართა გულისთქმის ნაყოფი აღსარება. ამიტომაც პუბლიკატორი ჩვეულებრივ არ ასახელებს „ჩამშვები" პირის ვინაობას. ასე ვიქცევი მეც. ზემოთმოყვანილი საბუთებიდან ერთი უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს ეკუთვნის და დასაშიფრავი არაფერია. დანარჩენი სამი „მამხილებელი" („ჩამშვები") დაშიფრულია — იქსის, იგრეკისა და ზეტის სახით. სამივე ჩემგან დიდად პატივსაცემი, ქართული კულტურის ღვაწლმოსილი მოამაგე, ჩემდამი კეთილად განწყობილი ადამიანები. მათ მიმართ არაფერი სასაყვედურო არ მაქვს. გულწრფელად ვარ დარწმუნებული, რომ მათი „მხილება" მხოლოდ საშინელმა ძალადობამ ან შემთხვევით გულუბრყვილოდ ნათქვამმა სიტყვებმა შეაპირობა. ღმერთმა შეუნდოს მათ და აცხონოს ისინი.



მოყვანილ დოკუმენტებში საერთოდ სწორადაა ფიქსირებული ჩემი ბიოგრაფიის ზოგიერთი ფაქტობრივი მხარე. სოციალური წარმოშობით მე მართლაც ვეკუთვნოდი სასულიერო წოდებას (ნუთუ ეს საძრახისი იყო?). ვიყავი სოფლის მღვდლის შვილი. 1930–1938 წლების განმავლობაში ნამდვილად ვმსახურობდი საქართველოს მუზეუმში, ვასრულებდი ხელნაწერი ფონდების მეცნიერი მცველის მოვალეობას. იმავდროულად მეკავა თბილისის უნივერსიტეტის ჯერ დოცენტის, შემდეგ პროფესორის თანამდებობა. 1933 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტის წიაღში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ეწოდებოდა ელხი (ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორიის ინსტიტუტი). რეალურად იმთავითვე მუშაობას შეუდგა ამ ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის სექცია, ამიტომაც იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი „ელხის" ნაცვლოდ აღინიშნებოდა ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი. ჩემი „ჩამშვები" პირები უნივერსიტეტშიც მოღვაწეობდნენ და საქართველოს მუზეუმშიც. ასე რომ, ერთმანეთს კარგად ვიცნობდით და შეხვედრების საერთო ასპარეზიც გვქონდა.

ყოფილი მენშევიკიო, წერს ჩემზე რექტორი კ. ორაგველიძე. არა. მენშევიკი (სოციალ-დემოკრატი) აროდეს ვყოფილვარ. ახალგაზრდობისას აქტიურად ვმუშაობდი სოციალისტ-ფედერალისტების მოწაფეთა ორგანიზაციაში.

მონაწილეობას არ იღებდა საზოგადოებრივ მუშაობაშიო (დოკუმენტი 5). საქმე ისაა, როგორ გვესმის საზოგადოებრივი მუშაობის ხასიათი. კი, პროფკომის წევრი არ ვყოფილვარ. მაგრამ დიდი მონაწილეობა მივიღე ფირდოუსისა (1934 წ.) და რუსთაველის (1937 წ.) იუბილეების შემზადება-ჩატარებაში (გამოფენების მოწყობა, სპეციალური საღამოებისა და სამეცნიერო სესია-კონფერენციების ორგანიზაცია, პოპულარული ხასიათის ლექციების კითხვა წარმოება-დაწესებულებებში და ა. შ.). მონაწილეობა მივიღე იმ მოხსენების მომზადებაში, რომელიც მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე წაიკითხა მალაქია ტოროშელიძემ (1934 წ.).

აქტიურად ვიღწვოდი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. ცხოველი კონტაქტები მქონდა მწერალთა კავშირთან. ნუთუ ყოველივე ეს არ არის საზოგადოებრივი მუშაობა?

„საქართველოს სახკომსაბჭო საჭიროდ სთვლის მთლიანად გადაიყვანოს (ალ. ბარამიძე) ქუთაისის პედინსტიტუტშიო", ნათქვამია კ. ორაგველიძის ბარათში. კარგად მახსოვს, რომ 1936 წლის აპრილსა თუ მაისში, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ (დაცვა შედგა 5 მარტს), კ. ორაგველიძემ მიმიხმო, მომილოცა დოქტორობა, პირფერულად შემაქო და თითქო დაწინაურების მიზნით შემომთავაზა ქუთაისში გადასვლა იქაური პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად, რექტორის წინადადება ნამდვილად ნიშნავდა თბილისიდან ჩემს გასახლებას და უნივერსიტეტიდან ფეხის ამოკვეთას. ჩემი „დაწინაურებისათვის" ზრუნვის გამო ბატონ რექტორს მადლობა მოვახსენე, მაგრამ გადაჭრილი უარი ვუთხარი მის წინადადებაზე. ჩემს „კეთილისმყოფელს" განვუმარტე, რომ ყველაფერთან ერთად წვრილშვილიანი ოჯახის პატრონი ვიყავი (მყავდა სამი შვილი, ორი უკვე სწავლობდა). ოჯახს ვერ მოვშლი-მეთქი, განვუცხადე რექტორს, ვერც საქართველოს მუზეუმს დავტოვებ, იქაა ჩემი სამუშაო ბაზა, ვერც უნივერსიტეტიდან წასვლას შევეელევი-მეთქი ნებაყოფლობით. ისიც დავძინე, რომ ქუთაისის პედინსტიტუტის ლექტორობას ჩემთვის დიდ პატივად ჩავთვლიდი. კ. ორაგველიძე ჩემი პასუხით აშკარად უკმაყოფილო დარჩა, ვნახოთო, ჩაილაპარაკა და ჩვენი საუბარიც დამთავრდა. ისე მოხდა, რომ მალე ორაგველიძე დააპატიმრეს და ჩემი გასახლების მისეული (ვითომ მხოლოდ მისეული?) გეგმა აღარ განხორციელებულა, თუმცა ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული მწერლობის კათედრის ხელმძღვანელობა კი დამევალა.

კოლია ბარამიძეს კარგად ვიცნობდი. ჩემი სოფლელი და მოგვარე იყო. ნათესავი არ ყოფილა.

სუკის ყველა ცნობილი დოკუმენტით, ვითომც საქართველოში, კერძოდ, უნივერსიტეტში არსებული ყოველგვარი ანტისაბჭოური, რეაქციული, კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური, ფაშისტური და მისი მსგავსი ორგანიზაციების სულის ჩამდგმელად და უშუალო ხელმძღვანელი იყო — ივანე ჯავახიშვილი, რომლის გარშემო თავს იყრიდნენო პროფესორ-მასწავლებელთა ანტისაბჭოთა წრეები. ასე იქმნებოდა კონტრრევოლუციონერთა კონსპირატიული ქსელი. უნივერსიტეტის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას ცოცხალი კავშირი ჰქონდაო გაბმული ქართულ ემიგრაციასთან და საზღვარგარეთის, განსაკუთრებით გერმანიის სპეცსამსახურებთან. ასე მზადდებოდაო ნიადაგი ანტისაბჭოური აჯანყებისათვის საბჭოთა წყობილების დასამხობად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. როგორც შინაური, ისე უცხოეთის ანტისაბჭოური ძალები თითქო ძალზე გააქტიურდნენ გერმანიაში ნაცისტების გამარჯვების შემდეგ.

ივანე ჯავახიშვილი რომ უნივერსიტეტიდან გააძევეს (1931 წელს კონდრატიევშჩინის კამპანიასთან დაკავშირებით), სამუშაოდ მას მიუჩინეს საქართველოს მუზეუმი. იქვე „გაამწესეს" კონტრრევოლუციის თავკაცი გრიგოლ წერეთელიცო. კონტრრევოლუციაზე რა მოგახსენოთ და ისე კი სწორია, რომ ივანე ჯავახიშვილსა და გრიგოლ წერეთელს მართლაც ჰქონდათ სამუშაოდ ერთი ნახევრად ბნელი ოთახი ხელნაწერთა განყოფილების გვერდით.

უკვე მისრულდება დაბადების 90-ე წელი. რამდენადმე მოვესწარი ცარიზმის დროს. ჩემთან ერთად მთელმა ჩემმა თაობამ გაიხარა 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით და 26 მაისის ეროვნული დღესასწაულის დაწესებით. ვცადე კიდევაც წერილობით აღმებეჭდა ამ დღესასწაულით გამოწვეული განცდები. იმდროინდელი პოლიტიკური პარტიებიდან თანავუგრძნობდი სოციალისტ-ფედერალისტებს. აქტიურად ვმუშაობდი იმ პარტიის მოწაფეთა ორგანიზაციაში. ადრე დავიწყე კორესპონდენციებისა და წერილების ბეჭდვა პარტიულ პრესაში („მებრძოლთა ხმაში", „სახალხო საქმეში", ქუთაისის „მეგობარში" და სხვ.). საუბედუროდ, ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა ეროვნული თავისუფლების ხანა. თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ჩვენს ქვეყანას ვერაგულად თავს დაესხა წითელი რუსეთი და ძალმომრეობით თავს მოახვია საბჭოთა წყობილება. მე დავესწარი 1921 წლის 12 თებერვალს უნივერსიტეტის ეზოში გამართულ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიტინგს. მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლომთათიძემ (დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა), უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა და სტუდენტმა გიორგი ნაკაშიძემ წარმოთქვეს ამაღელვებელი სიტყვები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ცრემლმორეული რექტორის გაბზარული ხმა, რომ სამშობლოს დაუდგა უკიდურესი განსაცდელის ჟამი, რომ დედაქალაქის კარიბჭეს მოადგა ძლიერი და მუხანათი მტერი, რომ ჩვენ გვაკლია იარაღი, გვაკლია სურსათ-სანოვაგე, ბევრი რამ სხვაც გვაკლია, მაგრამ ჩვენ ბრძენ ხალხს უთქვამს — ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო. ბატონმა რექტორმა მოუწოდა სტუდენტობას, დახმარებოდნენ განსაცდელში მყოფ სამშობლოს, ვისაც რით შეეძლო. მე გზას დავულოცავო სამშობლოს დასაცავად გაშურებულ ყველა ჩემს საყვარელ სტუდენტს, ბრძანა ბატონმა რექტორმა. მეორე დღესვე მოხალისეთა უზარმაზარი რიგები გაჩნდა ოლღას (ან კოსტავას) ქუჩის შესაკრები პუნქტის ფართო ეზოში. ვინც იარაღის ხმარება იცოდა, პირდაპირ ფრონტზე გაგზავნას ითხოვდა, რიგი თავდაცვითი ნაგებობების გასამაგრებელ სამუშაოზე წასასვლელად ჩაეწერა, მე სანიტარულ რაზმში განმაწესეს. ჩვენი რაზმი იმ დღესვე გაგზავნეს სოღანლუღის (ცენტრალურ) ფრონტზე და სადგომ ბაზად მიუჩინეს სადგური ვაზიანი. უნდა აღვნიშნო, რომ ქვეყნის დასაცავად ფეხზე დადგა დედაქალაქის მთელი მოსახლეობა. მათ შორის არაქართველი მოსახლეობაც (ჩვენ ათკაციან რაზმში, მაგალითად, იყო ორი რუსი, ერთი მოწყალების და, ერთიც მამაკაცი სანიტარი). ჩემი თანაკურსელი იყო მარო მაყაშვილი, რომელიც მოწყალების დად ჩაირიცხა და დაიღუპა კოჯორ-ტაბახმელის ფრონტზე.

დედაქალაქის დატოვების შემდეგ ჩვენი რამდენიმე შეთხელებული სანიტარული რაზმი გაჰყვა უკან დახეული ჯარის ნაწილებს. ასე ჩავაღწიეთ ბათუმში. ჩემს თვალწინ გაიელვა ქართული ჯარის ბოლო მამაცურმა ქმედებამ (მხედველობაში მაქვს გენერალ მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით განდევნა აჭარაში შემოჭრილი თურქი ასკერებისა). 18 მარტს ბათუმშიც „დამყარდა" საბჭოთა წყობილება. ის იყო ნამდვილი გლოვის საშინელი დღე...

მალე დავბრუნდი თბილისში. განვაახლე სწავლა და სამსახური. ერთხანს ვმსახურობდი უმცროს მოხელედ რკინიგზის სამმართველოში. 1921 წლის ოქტომბრიდან ჩემი ხაშურელი მასწავლებლის ალექსანდრე გარდაფხაძის წყალობით გადმომიყვანეს მასწავლებელთა (განათლების მუშაკთა) პროფკავშირის გამგეობის საქმეთა მმართველად. საქმე ბევრი მქონდა. ლექციებს ვისმენდი მხოლოდ საღამოობით. ჩემთან ცხოვრობდა ჯარიდან დემობილიზებული ჩემი უფროსი ძმა ბენო, ისტორიკოსი სტუდენტი. ბინად გვქონდა პატარა, 12 კვ. მეტრიანი, მა-

(დასასრული მე-6 გვ.).

---

* აქ და ქვემოთაც „დამსახელებელი" პირების ვინაობა დაშიფრული მაქვს. დედანში, რასაკვირველია, ისინი პირდაპირ არიან დამოწმებული.

(დასასრული)

გრამ მყუდრო ოთახი. ის იყო ჩემი და ბენოს ამხანაგების თავშესაფერი პუნქტი. ბენო არ მსახურობდა, დღის პირველ ნახევარში ჩვენი ოთახი ბენოსა და მისი ამხანაგების განკარგულებაში იყო. საღამოობით ძმის ფილოლოგი სტუდენტები ეუფლებოდნენ. კვირა-უქმე დღეებში კი ყველანი ერთად ვატარებდით დროს. ვიწროდ ვიყავით, საჭმელ-სასმელიც გვაკლდა (განსაკუთრებით გასაბჭოების პირველ ხანებში), მაგრამ როგორღაც თავი გაგვქონდა. რაღა თქმა უნდა, ბევრს ვსაუბრობდით პოლიტიკური ვითარების საკითხებზე, ყველანი, უკლებლივ ყველანი, მტრულად ვიყავით განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ჩვენი წრის ზოგი წევრი არალეგალურ მუშაობასაც ეწეოდა და 1924 წელს დაიღუპა. სწავლამ და სამსახურმა ისე ჩამითრია, რომ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას თავი მივანებე, თუმცა 1922 წლის 26 მაისის დღესასწაულის აკრძალვის საპროტესტო გაფიცვის მონაწილე გავხდი. 1924 წლიდან პოლიტიკური ვითარება უფრო დაიძაბა და საბჭოური რეჟიმი გამკაცრდა. 1925 წელს წარჩინებით დავამთავრე უნივერსიტეტი. ამ წლის შემოდგომიდან პროფესორმა კორნელი კეკელიძემ თავის კათედრასთან დამტოვა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ძველ ქართულ საერო მწერლობაში (ასეთი იყო ჩემი მაშინდელი ოფიციალური სტატუსი). საქმე საპატიო იყო, მაგრამ საკმაოდ მძიმე. სამუშაო გეგმა შემიდგინა ჩემმა უშუალო ხელმძღვანელმა ბატონმა კორნელი კეკელიძემ. მიმიხმო, ბევრი მესაუბრა და დამმოძღვრა უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა. ვრცელი საუბარი გამიბა ბატონმა აკაკი შანიძემ, იმას ძველ ქართულ ენასა და პალეოგრაფიაში უნდა გავეწაფე, ჩემი სპეციალობისათვის საჭირო იყო სპარსული ენისა და ლიტერატურის დაუფლება. ბატონმა აკაკი შანიძემ მითხრა, რომ სპარსულისათვის აუცილებელია არაბულის ცოდნა. თვითონ შემომთავაზა, არაბულსაც გასწავლიო. ახლა ძველი და ახალი ევროპული ენები (ლათინური, გერმანული და ფრანგული), ძირითადი საპროფილო საგანი... უკან დასახევი გზა აღარ მქონდა. დღე და ღამეს ვასწორებდი. ნამდვილად კი ვიჯერე გული ხელნაწერების ქექვით. 1927 წელს გარდაიცვალა უკვე უნივერსიტეტის მფლობელობაში გადმოსული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდის მცველი დავით კარიჭაშვილი. მისი შენაცვლება მე დამავალა (სად მქონდა საამისო გამოცდილება).

პოლიტიკისათვის სადღა მეცალა? ასეთი დაძაბული მუშაობის დროს მარტის (1927 წელს) ერთ სუსხიან ღამეს დამიბარეს ჩეკაში, ამ წყეული ორგანოს ბოლოლა ფუნქციონერ დეკანოზოვთან „სასაუბროდ". მან დამიწყო გრძელი, მომქანცველი, მიკიბულ-მოკიბული ხასიათის დაკითხვა. ხან პირფერულად მაქებდა და მელაქუცებოდა, ხან მიბღვერდა, ბრაზობდა და მაშინებდა. ბოლოსა და ბოლოს უტიფრად და ურცხვად, თითქოს არაფერიაო, მის უწყებასთან თანამშრომლობა მომთხოვა. ჩემს უყოყმანო გადაჭრით უარის გამო აღშფოთდა, აყვირდა, მუშტებს იქნევდა (ფიზიკური შეურაცხყოფა არ მოუყენებია), უნივერსიტეტიდან გაძევებით და ათასგვარი სასჯელით მემუქრებოდა. ბოლოს თავის კაბინეტიდან დამითხოვა და ლანძღვა-გინებით გამომისტუმრა გვიან ნაშუაღამევს, აბა, რა გუნებაზე ვიქნებოდი. შეურაცხყოფილი, დამცირებული, მორალურად გალახული წავლასლასდი შინ. ნინომ (მეუღლემ) შემატყო აფორიაქება, შეეცადა დავემშვიდებინე და გავემხნევებინე. ის ღამე თეთრად გავათენე, დილით დღიურები მოვნახე და მოვსპე (სტუდენტობის დროიდან სისტემატურად ვადგენდი), რეპრესიებს ველოდებოდი. კალაპოტიდან ამოვვარდი, შრომის აწყობილი რიტმი დამერღვა.

ამასობაში შეიცვალა უმაღლესი განათლების სისტემა. მთელ საბჭოთა კავშირში გაუქმდა უნივერსიტეტები და იმათ სანაცვლოდ შეიქმნა სხვადასხვა პროფილის ინსტიტუტები. უნივერსიტეტის უშუალო მემკვიდრე გახდა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელმაც დაიკავა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე და მესამე სართულები. პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს წითელი პროფესორი ივანე ვაშაყმაძე, რომელსაც თურმე დავალებული ჰქონდა მისდამი რწმუნებული ინსტიტუტის „გასაბჭოურება". მაშინ უნივერსიტეტის შენობის მესამე სართულის ერთი ფრთა მთლიანად დაკავებული ჰქონდა უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს, სადაც თავმოყრილი იყო ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის უმდიდრესი განძი. ვაშაყმაძემ მოგვთხოვა დაუყოვნებლივ გაგვენთავისუფლებინა ინსტიტუტი სამუზეუმო ხარახურისაგან.

გაჭირვებით გადავზიდეთ ქონება და დავაბინავეთ საქართველოს მუზეუმის შენობაში. ხელნაწერი ფონდებიდან მაშინ შეიქმნა ამ მუზეუმში ხელნაწერთა განყოფილება, რომლის გამგედაც დაინიშნა პავლე ინგოროყვა. განყოფილების პირველი მეცნიერი თანამშრომლები ვიყავით მოსე ჯანაშვილი, გიორგი წერეთელი, ნიკო ბერძენიშვილი და მე. მერმე შემოგვემატნენ გიორგი ჯაკობია, კოტე გრიგოლია და გიორგი ბოჭორიძე.

უნივერსიტეტის გაუქმებას მოჰყვა „კონდრატიევშჩინის" კამპანია და ინტელიგენციის რბევა. ივანე ჯავახიშვილი მოხსნეს ინსტიტუტიდან და მასაც სამუშაოდ მიუჩინეს საქართველოს მუზეუმი. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, გამოუყვეს ერთი სანახევროდ ბნელი ოთახი ხელნაწერთა განყოფილების გვერდით, მალე მას ჩაუსახლეს პროფესორი გრიგოლ წერეთელი. მაშინ საქართველოს მუზეუმში მუშაობდნენ აგრეთვე გიორგი ჩუბინაშვილი და ვახტანგ კოტეტიშვილი. ალბათ, ეს გარემოება აქვს მხედველობაში მესამე დოკუმენტის შემდგენელს, როდესაც წერს, რომ მაშინ შეიქმნა საქართველოს მუზეუმში კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის შტაბი, „იქ მომუშავე ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, ინგოროყვას, ბარამიძისა და სხვათა (გიორგი წერეთლისა და ნიკო ბერძენიშვილის?) სახით". ამ შტაბთან კავშირი ჰქონდათო სიმონ ყაუხჩიშვილს, სიმონ ჯანაშიას, ვუკოლ ბერიძეს და სხვ. „ერთი-ორჯერ მეც ვიყავი იქ და ვმონაწილეობდი ფაშისტურ საუბრებშიო" ურთავს დოკუმენტის „შემდგენელი".

მე არ უარვყოფ, რომ უახლოესი ამხანაგების წრეში აქაც (საქართველოს მუზეუმში), თუ უნივერსიტეტში, ან ელხში ჩვენ გვქონდა ერთმანეთში საუბარი პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე, არ ვმალავდით ჩვენს საერთო უკმაყოფილებას და ანტისაბჭოურ განწყობილებას, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არავითარი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ჩვენ არ გვქონია, ყოველ შემთხვევაში მე ასეთი ორგანიზაციის არსებობის შესახებ არაფერი ვიცი, მე არავითარი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი არ ვყოფილვარ. საბჭოური რეჟიმით კმაყოფილი როგორ ვიქნებოდი, როდესაც 1932 წელს თავს დამესხნენ „სალიტერატურო გაზეთის" რედაქტორი დავით დემეტრაძე, კრიტიკოსი კარლო მელაძე და სხვები. რეაქციული, წვრილბურჟუაზიული კრიტიკის წარმომადგენელი მიწოდეს და ჩემი დახამარება მოითხოვეს („მკვდრები მისთვის გაცოცხლდნენ, რომ ისინი ხელმეორედ დავასაფლავოთო"). კონდრატიევშჩინის განკითხვის ჟამს ამ მელაძემ, ჩემმა სტუდენტმა, მაღალი ტრიბუნიდან მე და ზოგიერთ მის სხვა მასწავლებელს (ვახტანგ კოტეტიშვილს, მიხეილ ზანდუკელს, ვარლამ თოფურიას) კლასობრივი ზიზღი გამოგვიცხადა.

ახლა მიმდინარე მოვლენებს წავუსწრებ და ვიტყვი, რომ მე არ ვყოფილვარ განზე დგომის პრინციპული მომხრე. მე ვფიქრობდი, რომ, მაგალითებრ, ქართველ მეცნიერებს ერთგვარად უნდა ეთანამშრომლათ ხელისუფლებასთან, რომ ძლიერ შემზღუდავი იდეოლოგიური მარწუხების მიუხედავად, ისინი უნდა ცდილიყვნენ, რასაკვირველია, ადამიანური ღირსების შეულახავად, თავისი წვლილი შეეტანათ ქართული ეროვნული კულტურის შესწავლისა და ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ სფეროში, რომ სამოღვაწეო სარბიელი სათარეშოდ არ დარჩენოდათ მხოლოდ ანგარებიან, კორუმპირებულ და უმეცარ პარტიულ ფუნქციონერებს. სწორედ ამგვარმა თვალსაზრისმა მაიძულა თავის დროზე დავთანხმებულიყავი დამეკავებინა უნივერსიტეტის პრორექტორის, თუ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობანი (თუმცა გულწრფელად ვაღიარებ, რომ ადმინისტრაციული პოსტისადმი მიდრეკილება აროდეს მქონია). დეე, სხვებმა განსაჯონ, რამდენად სახარგებლო გამოდგა ჩემი ღვაწლი სამეცნიერო-ადმინისტრაციულ სარბიელზე. იმას კი ვიტყვი, რომ სადირექტივო ორგანო ნამდვილად მიწევდა ერთგვარ ანგარიშს და უხეშად არ ერეოდა ჩემს საქმიანობაში. ჩემთან ცოცხალი საქმიანი კონტაქტები ჰქონდათ უცხოელ ქართველოლოგებს. უფრო საშიფათო იყო კონტაქტები ემიგრანტ ქართველ მეცნიერებთან. ქართველ მეცნიერებთაგან ერთმა პირველმა ვიკისრე პარიზული ქართველოლოგიური ჟურნალის „ბედი ქართლისას" თანამშრომლობა. მეცნიერული კონტაქტების დამყარება მთხოვა ვიქტორ ნოზაძემაც. იგი ნაყოფიერი მკვლევარი იყო, მაგრამ უკიდურეს ანტისაბჭოთა მოღვაწედ ითვლებოდა, რომლის სახელის ხსენებაც კი გარკვეული დროიდან ჩვენში აკრძალული იყო. პროფესიულმა ინტერესებმა გადამალახვინა შიშის გრძნობა, წავედი რისკზე და გავაბი მიმოწერა ამ „საშიშ" ემიგრანტთან (ერთხანს მაცალეს, მაგრამ შემდეგ ამიკრძალეს ეს კონტაქტები)... დიდი უსიამოვნება შემხვდა შვეიცარიელ ქართველოლოგ ქალბატონებთან ურთიერთობის გამო. ვერ დავფარე და დიდად მოვიწონე ვეფხისტყაოსნის ნოიკომისეული გერმანული თარგმანი, რომელიც 1974 წელს ციურიხში გამოაქვეყნა შვეიცარიის ერთ-ერთმა მსოფლიოში ცნობილმა გამომცემლობამ, ნოიკომის თარგმანს მივუძღვენი აღფრთოვანებული პატარა ანოტაცია-რეცენზია (დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში"), თუმცა თავის წინასიტყვაობაში ქალბატონი რუთ ნოიკომი მკაცრად ამხილებდა როგორც რუსეთის ცარიზმის, ისე წითელი, საბჭოური, რუსეთის მუხანათობას საქართველოს მიმართ. ამ პატარა პუბლიკაციამ თავს დამატეხა სუკის საშინელი რისხვა. თუ როგორ გადავურჩი ამ რისხვას, მოთხრობილი მაქვს წერილში „ვეფხისტყაოსნის ნოიკომისეული თარგმანის გამო (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 17. VI. 88, გვ. 14-15).

ქართული ემიგრაციის მხრივ ბევრი რამ სასიკეთო კეთდებოდა მეცნიერების, კერძოდ, ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში. მაგრამ ტაბუირებული იყო იქაური ლიტერატურა. ისეთი შედარებით ლოიალური ქართველოლოგიური ჟურნალი, როგორიც იყო სალიების (ნინო და კალე სალიების) „ბედი ქართლისა — რევიუ დე ქართველოლოჟი" მხოლოდ ე. წ. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებიდან (ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან და პოლონეთიდან) მოგვდიოდა. (გვიგზავნიდნენ იარომირ იედლიჩკა, ლაიოშ ტარდი, მიხეილ კვალიაშვილი. ეს კვალიაშვილი იყო კოჯრის ბრძოლის მონაწილე იუნკერი, რომელიც ევროპაში გაიხიზნა, დამკვიდრა პოლონეთში, ქალაქ პოზნანში, და იქიდან გვამარაგებდა ზოგიერთი ლიტერატურით). ვ. ნოზაძის წიგნები მხოლოდ არალეგალური გზით ვრცელდებოდა. ერთხანს ვახერხებდი მისი რედაქციით გამომავალი „კავკასიონის" მიღებას. შემიტყვეს, დამტუქსეს, ამიკრძალეს, მიღებული ნომრები ჩამომართვეს.

დიდად აფასებს ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეს ცნობილი ემიგრანტი მეცნიერი ალექსანდრე მანველიშვილი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. 1987 წელს მან სან-ფრანცისკოში გამოსცა მოზრდილი ნაშრომი — „ძველი ქართული მწერლობა". ამ ნაშრომის წინასიტყვაში ავტორი ამბობს: „ძველ მწერლობაზე საქართველოში ბევრი იწერება, მრავალ ტომებად, და ისიც გამოჩენილი სპეციალისტების მიერ". ამ წიგნის დაწერისას, განაგრძობს ავტორი, „უმთავრესად ვსარგებლობ კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის და პავლე ინგოროყვას გამოკვლევებითო". უნდა შევნიშნო, რომ ალ. მანველიშვილისათვის მართლაც ძირითადი წყარო ყოფილა ჩვენი (კეკელიძისა და ჩემი) ზემოთ დამოწმებული კურსი.

თქმა არ უნდა, საბჭოთა ხელისუფლებასთან რომ თანამშრომლობა ვიკისრე, მიხდებოდა გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა. თეორიულად მაინც ვაღიარებდი მარქსისტულ მეთოდოლოგიას, თუმცა პრაქტიკულად მას ნაკლებად ვიყენებდი. ძალზე იშვიათად და გამონაკლისის სახით თუ ნახავს კაცი ჩემს შრომებში „მარქსიზმის კლასიკოსების" ციტირებას. ზოგჯერ ვახერხებდი ოფიციალური აზრის გაკრიტიკებას (მაგალითად, პაექრობა მქონდა კანდიდ ჩარკვიანთან ვეფხისტყაოსნის 1987 წლის გამოცემასთან დაკავშირებით, თუმცა ეს გამოცემა სანქციონირებული იყო უმაღლესი სფეროდან). არ შევუშინდი პარტიული ხელმძღვანელობის მუქარას, და არ გავაკრიტიკე პრესაში ჩემი მასწავლებლის, ბატონ კორნელი კეკელიძის პოზიცია. კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ავადსახსენებელ დროს (მემუქრებოდნენ სამსახურიდან მოხსნით). ვერც ვაჟაფშაველას წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ფერხულში ჩამითრიეს არ დამიგმია კვლევის არც ისტორიულ-კულტურული და არც კომპარატივისტული მეთოდი (რასაც გვაძალებდნენ). მთელი ჩემი შესაძლებლობით ვებრძოდი უარისმყოფლობასა და ნიჰილიზმს ქართული სულიერი კულტურის შეფასების საკითხებში. წერითა და სიტყვით (ლექციებით) გატაცებით ვცდილობდი ჩვენი დიდებული ძველი მწერლობის ღირსების წარმოჩენას და მისდამი სიყვარულის გაღვივებას მკითხველისა თუ მსმენელის გულში. მოვამზადე ჩემი პროფილის ოცდაათზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი (მათ შორის რამდენიმე არაქართველი). აქტიურად თანავუგრძნობდი ახალგაზრდობის (ძირითადად უნივერსიტეტის სტუდენტობის) ეროვნულ მოძრაობას. დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ შევძელი ეროვნული მოძრაობის აღიარებული მეთაურის ბატონ ზვიად გამსახურდიას მოწვევა მეცნიერ თანამშრომლად ლიტერატურის ინსტიტუტში. ვცდილობდი მისთვის შემექმნა მუშაობის კარგი პირობები. მიხდებოდა ზვიად გამსახურდიას დაცვა ხელისუფლების ორგანოთა რისხვისაგან (ყველაფერ ამაზე ვაპირებ ვრცლად მოვუთხრო მკითხველს ცალკე ნარკვევით). თემურ ქორიძესაც ვუთავდებე და ვიხსენი უნივერსიტეტიდან გაძევებისგან. შემდეგ ის ავიყვანე ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლად და მიხდებოდა მისი აქტიური მფარველობა.

9 აპრილის ამბებმა შემძრა და შემაძრწუნა. 11 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ედუარდ შევარდნაძე, გიორგი რაზუმოვსკი და ჯუმბერ პატიაშვილი, რუსეთის არმიის საქციელი შაჰ-აბასის ყიზილბაშების მოქმედების დარად მივიჩნიე, მოვითხოვე ამ საშინელი ტრაგედიის პირუთვნელი გამოძიება და დამნაშავე პირთა სამაგალითოდ დასჯა. არ მოვერიდე და გავაკრიტიკე ბატონ ედუარდ შევარდნაძის პოზიცია აფხაზეთის საკითხების გამო.

მეკითხებიან, როგორია ჩემი პარტიულობის საკითხი. ჭაბუკობის დროს რომ სოციალისტ-ფედერალისტი ვიყავი, ამაზე უკვე ვთქვი. ეს იყო 1921 წლამდე. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთგვარი გამოდარების სიომ რომ დაბერა სამოცდაათიან წლებში, მაშინ გარკვეულად მაგრძნობინეს, რომ სასურველი იყო ჩემი შესვლა კომუნისტურ პარტიაში. უარი არ მითქვამს. 75 წლის ასაკში გავხდი პარტიული. რაღა თქმა უნდა, ჩემი ნაბიჯი საპროპაგანდოდ გამოიყენეს. საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობაზე ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების წლებში ბევრი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი გახდა კომუნისტური პარტიის წევრი. ცნობილმა მეცნიერმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძემ 74 წლისამ გადაწყვიტა პარტიაში შესვლა" (გაზ. „სახალხო განათლება", 7. 4. 82). ფორმალურად სწორედ ასე იყო. ღმერთი, რჯული, კომუნისტური პარტია თავისი იდეოლოგიით არ მიზიდავდა, მაგრამ როგორც ინსტიტუტის დირექტორი პირველადი პარტიული ორგანიზაციის სხდომებს (მათ შორის დახურულ სხდომებსაც) მანამდეც სისტემატურად ვესწრებოდი. არსებითად არაფერი შეცვლილა. ახალი მხოლოდ ის იყო, რომ საწევროს გადახდა დამეკისრა, რასაც დროულად და კეთილსინდისიერად ვასრულებდი.

9 აპრილის ტრაგედიამ და ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ დამარწმუნა, რომ დანაშაული იქნებოდა პარტიაში ჩემი დარჩენა. 1990 წლის 12 თებერვალს პარტიის რიგები დავტოვე, ახლა უპარტიო ვარ. „ჩემი ხატია სამშობლო". ყველას გავუწევ თანადგომას, ვინც ერთგულად ემსახურება საქვეყნო საქმეს. ორგანიზაციულად მხოლოდ რუსთაველის საზოგადოების წევრად ვითვლები. მთელი გულით მივესალმე და გამარჯვება მივულოცე საქართველოს უზენაეს საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

**P.S.** წერილი დავასრულე და წერტილი დავუსვი 1991 წლის 26 მარტს.

დღეს 27 მარტია, ჩემი დაბადების დღე. შემისრულდა 89 წელი. წერილი გადავიკითხე და ტანში ჟამაჟრჟოლა, რა ბეწვის ხიდი გამივლია, რასაკვირველია, დეკანოზოვთან კონფლიქტის შემდეგ ყოველგვარ უბედურებას მოველოდი. სხვა საგანგაშო სიგნალებიც მქონდა. დამსმენი და ბოროტი ცილისმწამებელი საკუთარ სამეცნიერო ოჯახშიც რომ საკმაოდ გვყავდა, ვიცოდი, არ გამიკვირდებოდა, რომ ჩემთვის დაეწამებინათ ნაციონალისტობა და პოლიტიკური აპათია, მაგრამ კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის აქტიური წევრობის დაბრალება ხომ სასიკვდილო განაჩენს უდრიდა. ან როგორ იკადრა უნივერსიტეტის რექტორმა ისეთი აშკარა სიცრუე, თითქო ერთი სიკვდილით დასჯილი „სალხის მტრის" უახლოესი ნათესავი ვიყავი და, მაშასადამე, იმდროინდელობის კვალობაზე თვითონაც მკაცრი სასჯელის ღირსი.

აქ ძალიან მოკლედ მოთხრობილი ჩემი ამბავი საბჭოური ინტელიგენტის ცხოვრების ტიპური სურათია. მოგონების წერა ახლა აღარაა ძნელი, მაგრამ ძნელია და შეუძლებელიც იმ წყეული დროების დავიწყება.

მიუხედავად წელთა დაზიდულობისა, იმედს არ ვკარგავ, რომ მოვესწრები ჩემი სათაყვანებელი სამშობლოს ხელმეორედ განთავისუფლების დღეს, ახალ 26 მაისს. ოღონდ თავისუფლება თავისით არ მოდის. მას შრომითა და ბრძოლით უნდა მოპოვება. სამოცდაათწლიანმა საბჭოურმა კირთებამ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ზნეობა და რწმენა შეურყია, პატიოსან შრომას გადააჩვია და წყალწყალა დაპირებებით ცთუნება ასწავლა. ქართველობას მოეთხოვება განუხრელად იხელმძღვანელოს სულხან-საბა ორბელიანის ბრძნული შეგონებით — სიტყვისა და საქმის ერთიანობის შესახებ („სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი"). იგივე დიდი ბრძენი წინაპარი გვასწავლის, რომ ძალას ჰქმნის ერთობა, რომ მკვიდრი სოფლის აშენება შეიძლება მხოლოდ ინტერესთა ერთიანობის ნიადაგზე და საერთო ძალ-ღონის მობილიზებით, რომ დაქსაქსულობა, გათიშულობა და ურთიერთ შუღლი ქვეყანას აუძლურებს და აძაბუნებს, მტერს კი ახარებს. მივუპყროთ ყური ჩვენი დიდებული მოაზროვნის სწავლა-მოძღვრებას!

*ჰონორარი გადაირიცხა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## მდუმარე გვალვა

რა ამივსებს კოკას? —
ძლივღა ფეთქავს ღელე.
არც ფოთოლი ტოკავს,
არც ბალახის ღერი.
არც მტრედის ფრთის სიო,
არც ჰაზჰახი შაშვის...
თეთრი ეკლესია
გარინდულა ცაში.
ქანგი მიღრღნის ძვალ-რბილს,
სულში ბინდი წვება...
ღმერთო, გახსენ წარბი,
ღმერთო, მომეც შვება!
ამარიდე გვალვის
შხამიანი ჰანგი,
შემომხსენი ყელში
წაჭერილი თოკი...
და სიმები სულის
და სიმები ჩანგის —
არწივების ფრთათა
ქარით შემიტოკე!

## ისე ვბერდები

ისე ვბერდები,
ვერ შევძელ, —
მზე ხელისგულზე დამესვა,
სულში ხორშაკი ჩამენთო,
გულზე ხანჯალი დამესვა.
მაინც რა მოგვდის!
ვაი ჩვენს
სიყრუე-სიელამესა —
უსინდისო და უჯიშო
ღმერთად დაგვიჯდეს ლამისა,
ერთს ფიქრობს,
ამბობს მეორეს,
აკეთებს სულ სხვა რამესა!
ქაჯების ღრეობა არი,
რის ლიტანია, რა მესა.
...ისე ვბერდები, ვერ შევძელ
მზე ხელისგულზე დამესვა.

1976

●

მზიან სოხუმს აწვიმს,
აწვიმს ცისფერ შავ ზღვას,
ნისლში ძლივსღა ვხედავ
დღის და ღამის საზღვარს.

იმ საზღვარზე ჰკორტნის
ჩემს ოცნებას სვავი,
ხეს ჩამოსტყდა ტოტი,
მთას ჩამოსწყდა ზვავი.

შენ კი სად ხარ... მკერდში
ჩაგიკრავდი ასჯერ...
ამ ცარიელ დღეებს
ვიხდი, როგორც სასჯელს.

ვინ გამითბოს სული,
უღვთოდ გაძარცული....
ვინ გამიღოს კარი
მზის და გაზაფხულის...

დამიმძიმდა ფრთები,
ჩემივ ცრემლით სველი.
მოდი, გელოდები,
და თუ ვერ მიშველი,
სხივთა ჩხები შენთვის,
შენთვის მაინც ასჯერ!
მე სიცოცხლეს ჩემსას
ვიხდი, როგორც სასჯელს.

●

ვინ დარგავს ყვავილებს
ჩემი იმედების სასაფლაოზე?
ვინ მორწყავს ყვავილებს
ჩემი იმედების სასაფლაოზე?
ცრემლით ვინ დაალბობს
ტკივილის ნახნავებს —
ჩემს შუბლზე გავლებულ ნაოჭებს?
...ჩრდილი იძინებს ხავსის ხაოზე
და სადღაც ხვადი
მგელი ქარულად მისდევს ხარირემს...
ღმერთო, აშორე თოში და ხვატი
ჩემი იმედების სასაფლაოზე
ამოსულ ყვავილებს,
იმ იმედების სიცოცხლეში
მონატრებული
მაისის წვიმა მომაყვანინე!

## მესამე ათასწლეულის კართან

შეგვიშვერია მზისთვის წყლულები,
დაგვიმსხვრევია ძველი ხატები,
შველას დავეძებთ
მოწამლულები
იდეით, ეჭვით და ნიტრატებით.
სოროში ფხიზლად თვლემენ ტურები,
ჩასაფრებიან ჩიტებს კატები...
ხსნას და გზას ვეძებთ
დაშხამულები —
ამბიციებით და ნიტრატებით.

●

სი-ესი...
შიდსი...
რეკეტი...
კიდევ,
რა სიტყვას დამცემ თავში კეტივით...
ვინ გაამრთელებს ჩატეხილ ხიდებს,
რომ გაარღვიოს წრე ჩაკეტილი?
მწვავს ნელი ცეცხლი სულის ობლობის,
გულს ირგვლივ ეჭვის ლობე არტყია.
გაუტანლობის,
დაუნდობლობის •
და უნდობლობის ფესვს უბარტყია.

## ჰუმანიზმი

სიკვდილმისჯილს დახვრეტის წინ
უსინჯავენ სისხლის წნევას.
თუ წნევა გაქვს, არ მოგკლავენ,
დაიწყებენ თავის ქნევას, —
გასახვრეტად ცოდვაათ
წნევიანი თავის ქალა...
კაცთმოყვარე რჯულმდებელნო,
თქვენს ჰუმანიზმს ბარაქალა.

## ბედნიერება

შეირგე შუქი მზით ჩამტკბარი ცის,
შეიტკბე მიწის უბე დედური,
ბედნიერი ხარ, როცა არ იცი,
რომ შენ ნამდვილად ხარ უბედური.

# შაქრო სამადაშვილი

## შერისხვა

სული — ბინძური,
ხელი — ცოდვიანი,
გული — ბოროტი,
გონება — ბნელი, —
მეზობლის, მეგობრის, ქართველის
მკვლელი —
აი, —
როგორი ხარ შენ,
აი, —
ვინა ხარ შენ!
ვაი შენ,
ვაი შენს გაჩენას,
მტერო
მართლისავ,
სიცოცხლე გსურს?!
სისხლი, რომელიც
დაღვარე, — აჩნდება —
მიწას კი არა, სულს —
მკვლელის უწმინდურ სულს...
კაცი კი არა, ხე ხარ, რომელიც —
ბალღამს,
სულ ბალღამს ისხამს...
შენ შხამიანი ხარ ქვემძრომელო,
ვერ გადაურჩები რისხვას!
ქველი გაიმეტე წყლის ერთი წვეთივით,
ბარემაც აგაწყდეს სიცოცხლის ფესვი,
მზეს ჩამოაშორე ალალი, კეთილი —
ქართველმა ქართველი... გესმის?!
უღირსო, არავინ, არავინ დაგინდობს
ბნელს — ლამაზ სიცოცხლეზე მისეულს.
მკვლელს გინდა კაშკაში დაბინდო
და სპობდე ამ ქვეყნად ღირსეულს!
სული — ბინძური,
ხელი — ცოდვიანი,
გული — ბოროტი,
გონება — ბნელი —
მეზობლის, მეგობრის, ქართველის
მკვლელი. —
აი, —
როგორი ხარ შენ,
აი, —
ვინა ხარ შენ!
წყეულიმც იყავ
აწ და მარადის!

# იაკობ მელია

## და კრძალვით ვკითხე...

მდინარის პირად ჩამოფრინდა
ცით ანგელოსი
და მწვანე მოლზე
დაფნის ჩრდილქვეშ დამკვიდრდა
ოდეს...
მე გამეხარდა:
უცნაური სტუმრობა მისი
და კრძალვით ვკითხე:
ნეტავ, ვისი იმედი მქონდეს?
მან გადიყარა კულულები
ოქროსფრად მშვენი
და მიპასუხა:
გარე-გარე ნუ ეძებ ვისმეს,
ისევ შენს სულში
მოიძიე იმედი შენი,
ის ყველას ახლავს,
მაგრამ მის ხმას
ყველა ვერ ისმენს.

## „ჰეუ რადა, სი ვარადა“

აქეთ ზღვისპირ ცხუმი არის,
იქეთ დიოსკურია,
ყველგან ჩემი უკვდავების;
უძლეველი სულია.
ვინ ეშმაკი მეცილება:
ოქროს საწმისს, მედეას?
ნაღვლიანად მეცინება,
შენ რას იტყვი, ბედია?
თვითონ ღმერთი მხარში მიდგას,
მწედ და ჭირში ფარადა: —
„ჰეუ რადა, სი ვარადა“,
ვმღერი კარის-კარადა.

## სიზმარი

მემედ აბაშიძეს

სიზმრად ვისმენდი წუხელ
ოშკის სამრეკლოს ზარებს,
როგორც მე გამეხარდა,
აგრემც თქვენ გაიხარეთ.
ჩემს თვალწინ სჩანდა ბანა,
პარხლი თუ ფანასკერტი,
ხახულის ხატი ვლოცე,
ვით საქართველოს ბედი.
მაღლა ფრინავდა დროშა —
შემკული ოქრო-მკედით...
იდგნენ მხედრები მწყობრად,
თვალთ აჩნდათ ცრემლის ცვარი,
რად მჭირდებოდა კითხვა,
მე ჩემი ძმები ვცანი.
ჰაუ, რამდენი იყვნენ,
რა სითამამის მქონნი,
თამარის ღიმილივით
მზეც გამობრწყინდა მგონი,
რად არ მერწმუნა ვითომ,
რასაც ამბობდა გული?
ვინა თქვა, სამშობლოში
სამშობლო დაკარგული?
მკერდში ჩამიდგა თითქოს,
რაღაც ღვთიური ძალი,
შენ ამისრულე, ღმერთო —
ეს ჩემი ნასიზმრალი.



სოფლის სანახები.

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე გამსახურდია

## 1917-1924 დღიურიდან



იმ ღამეს, როგორც ზემოთ ვთქვი, მე გადავწყვიტილი მქონდა მენშევიკური მთავრობის დაპატიმრება, გენერალ მაზნიაშვილს ეროვნულ მთავრობას შევადგენინებდით. ხუთასი ხიშტიანი არტილერისტი ვიხმე სასწრაფოდ და აწინდელ რუსთაველის მოედანთან არტილერისტების კორდონი დავაყენე. ტელეფონი გამუდმებით წკრიალებდა, მაგრამ არავინ იღებდა ყურმილს.

გათენებისას შეშფოთებულნი მოვარდნენ ჩემთან ქრისტეფორე რაჭველიშვილი და ჭყებე იოსელიანი, რომელთაც ყაზარმებში გაეგოთ მოსალოდნელი პუჩის ამბავი. ორივენი თვალცრემლიანი მეცნენ, ყვრიმალებში მკოცნიდნენ, მევედრებოდნენ: ძმათა სისხლის ღვრა მოჰყვებაო ამ ამბავს. მე დღესაც ვნანობ ამ რბილკანიან მეგობრებს რომ დავუთმე და ჟორდანიას მთავრობა არ დავხვრიტე. ეს რომ გამეკეთებინა, ქართველ ხალხს ასცდებოდა ის სისხლის წვიმები, რომელნიც შემდგომ წლებში თავს დაატყდა ჩვენს უბედურ ხალხს, მეტ წილად ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერების მეოხებით.

დადგა სანატრელი დღე.

საქონლის ვაგონები დავტვირთეთ ზარბაზნებითა და საომარი საჭურველით და მხიარული სიმღერითა და ყიჟინით გავემართეთ ნატანებისაკენ.

სამტრედიაში მენშევიკებმა მიტინგი გამართეს, ნოე ჟორდანია აბლუკუნდა და ჭკუა დაგვარიგა — მედგრად შეუტიეთო მტერს.

თურქები მდინარე ნატანებს გაღმა დაბანაკებულიყვნენ, ხოლო ჩვენ მახლობელ ტყეში დავდგით ჩვენი კარვები.

ერთ ღამეს მე და გენერალი მაზნიაშვილი ძველმანებში გადაცმულნი ჩავიპარეთ ქობულეთში, აჭარლების თავკაცებს თავი მოვუყარეთ და ვკითხეთ: „ძმები ხართ თუ მტრები?"

გრძელწვერა მოხუცებმა დარბაისლურად ხელი დაისვეს წვერზე და შემოგვფიცეს, თქვენი ძმები ვართო. მესამე დღესვე აჭარლები თავს დაესხნენ ჩვენს პოსტებს, მდინარის პირად რამდენიმე არტილერისტი დაგვიხოცეს. ახლა მე და პოლკოვნიკი კარგარეთელი შვიდიოდე მეომრის ამარა ჩავედით ქობულეთს, ისევ მოვუყარეთ თავი ქობულეთელებს, ჩემი საზღვაო მაუზერის კონდახით ცხვირპირი დავუსისხლიანე მოღალატეებს, გომურებში დავამწყვდიეთ გვემულნი და იმავე ღამეს მივბრუნდით ბანაკში. მეორე დღეს ოსმალებმა საშინელი კანონადა აგვიტეხეს. მთლად ბედნიერი დღე გაგვითენდა. ახლა ჩვენმა ქვემეხებმა და ტყვიამფრქვევებმა შექმნეს გრიალი. გუშინდელ დღესავით მახსოვს რკინიგზის ხიდი. თავს ვუწიეთ მე და გენერალმა მაზნიაშვილმა, ამ მამაც ვაჟკაცს მხოლოდ წკეპლა ეჭირა ხელში, მე კი ჩემი მაუზერი.

— „აბა, ბიჭებო, მისცხეთ", — ყვიროდა მაზნიაშვილი, ხიდის ყურში მდგარი ჩვენი ბატარეა შეუპოვრად უტევდა მტერს, [illegible] ჩვენი ტყვიამფრქვევების ცეცხლი როგორ ცელავდა ოსმალოს ასკერებს ხიდის გადაღმა. ზოგთა ხელფეხი და ტყვიამფრქვევების ნამსხვრევები ჰაერში ტრიალებდნენ დაუცხრომლად. მე იმ ხიდზე ვიგემე უდიდესი ბედნიერება და ახლაც ვხედავ, რა ძლიერია თურმე მამულისადმი სიყვარული. ნაყარ ფუტკარსავით ბზუოდნენ ჩემს ყურებთან ოსმალოს ტყვიები, მე მივსდევდი ჩვენს გენერალს, საოცრად ვყიჟინებდი და ვესროდი მტრებს. ახლაც მიკვირს, არც ერთი ტყვია არ მომხვედრია იმ დღეს. ფრონტიდან მშვიდობით მობრუნებულს დედაჩემმა მაკოცა და მითხრა: „ეს ჩემმა ლოცვებმა [illegible] შვილო".

ოსმალები შეკრთნენ, ისინი ასეთ ძლიერ შემოტევას არ მოელოდნენ ჩვენგან. ბოლოს, მდინარე ნატანების გადაღმა მხარე დასთმეს და ქობულეთისაკენ უკუიქცნენ. მეორე დღესვე ჩვენ მოვჩხრიკეთ ტყეები და ბარე ორიოდე ათასი ცხედარი დავითვალეთ. სავსებით შემზარავი სურათი დაგვიხვდა: ტურები და ფოცხვერები დასეოდნენ თურქი ასკერების ცხედრებს, ადამიანის თავებს, ნაწლავებს და ხელ-ფეხს დაათრევდნენ. ათიოდე ქვემეხი, ორმოცი ტყვიამფრქვევი და უამრავი საარტილერიო საჭურველით სავსე ყუთები ვიპოვეთ. ამასობაში მარტვილსა და საჩხერეში აჯანყება დაიწყეს უგუნურებმა, მარტვილში საექსპედიციო რაზმი წარვგზავნეთ, მე საჩხერეს ჩავედი და მეამბოხეთა თავკაცი ტალახაძე დავაპატიმრე (ბოლშევიკი).

თურქებთან ზავი უკვე შეკრული იყო, ახლა ბორჩალოში ატყდა ამბოხი, პოლკოვნიკი ილიკო მახარაძე წარვგზავნეთ ბორჩალოს. გენერალმა, კრეზ ფონ კრეზენშტაინმა ორიოდე რაზმეული თან გაატანა მას. ომებში მრავალნაცადი გერმანელი ოფიცრები ფრიად გააოცა პოლკოვნიკის ილიკო მახარაძის მიერ წარმოებულმა კანონადამ. ისინი ერთხმად აღიარებდნენ: ასეთი ზუსტი მსროლელი არტილერისტი არასოდეს გვინახავსო. ილიკო მახარაძე ჩემი მეგობარი იყო, შესანიშნავი ვაჟკაცი და შეუდრეკელი მამულიშვილი. იგი ხშირად აგრე მეტყოდა ხოლმე: შენთან ერთად თუნდაც ჯოჯოხეთში წამოვალო საქართველოსთვის საომრად, კონსტანტინევ!

1924 წელს იგი ჩემთან ერთად იჯდა მეტეხის ციხეში, გვიან გავიგე: როცა იგი ხალხის მტრებმა დაახვრეტინეს, სიკვდილის წინ მან ორივე ხელი ზეასწია თურმე და წამოიძახა: „საქართველოს გაუმარჯოს!".

როგორც გვიან გავიგე მეც დასახვრეტთა სიაში ვიყავი, მაგრამ ვიდრე ჩემი ჯერი დადგებოდა, განკარგულება მოვიდა და ხვრეტა შეწყდა.

ჩემი მტრები დღემდის გაოცებულნი არიან: ამ კაცს არც ტყვია ეკარება, არც ჯირითის დროს ცხენი წაექცევა, არც ავტომობილების ავარიები, არც დუელების დროს მოქნეული რაპირები ვნებს, ათასცხრაას ოცდაოთხ წელს გადაურჩა, ოცდაჩვიდმეტში ვერ დახვრიტეს, ჭეშმარიტად ეშმაკთან წილნაყარიაო, ამბობენ თურმე ისინი.

უკეთესი დღე არ დადგომია ქართული საარტილერიო ბრიგადის დანარჩენ მეომრებსა და ორგანიზაციებს, რამდენიმე წლის შემდეგ უმართებულოდ დახვრიტეს: გენერალი გიორგი ქუთათელაძე, პოლკოვნიკები: კოტე იმხნელი და ჯავრიშვილი, პოლკოვნიკი კარგარეთელი, პოლკოვნიკი გოგი მესხი, მხოლოდ გენერალ მაზნიაშვილს წილად ხვდა ბუნებრივი სიკვდილი. ხალხის მტრების მსხვერპლი გახდა ჩემი სიყრმის მეგობარი, ქრისტეფორე რაჭველიშვილიც.

ასეთი ბედი ეწვია ქართველი ხალხისადმი თავდადებულ ვაჟკაცებს ჩვენს თვალწინ.

ამგვარ რაინდებს სხვა ერი უკვდავ გვარდიელებად შერაცხავდა უთუოდ.

●

1918 წლის მიწურულში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მე წარმგზავნა ბერლინს, იქაურ ქართულ საელჩოს ატაშედ. ჩემთან ერთად მოდიოდა ცნობილი პროფესორი ზურაბ ავალიშვილი. ჩვენ ფოთიდან გავყევით გერმანულ სამხედრო გემს. ვარნიდან ბალკანეთი გადავიარეთ და ჩეხოსლოვაკიას ვუწიეთ. გერმანიის საზღვართან ჩასულთ გერმანელი ჟანდარმთა შეფი გვეახლა, სამხედრო სალამი მოგვცა და გვითხრა:

— „ახლა თქვენ ჩამობრძანდით საერთაშორისო ვაგონიდან, მე წაგიყვანთ კარგ სასტუმროში, ამაღამ იქ დაისვენეთ, ამასობაში მე პირდაპირი მავთულით შევეკითხები გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ხვალ მოგახსენებთ შედეგს".

ჩვენც დავტოვეთ ჩვენი კუპე, ჟანდარმთა შეფმა ლანდოში ჩაგვსვა და მეეტლეს უბრძანა: საუკეთესო სასტუმროში წაიყვანეო ეს ბატონები. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ აღმოვჩნდით ფეშენებლურად მორთულ ჰოტელში, რომლის სადარბაზო კარებზე ორიოდე, ჩვენთვის გაუგებარი ჩეხური სიტყვა ეწერა. როცა შიგ შევედით, უცნაური სანახაობა წარმოგვიდგა თვალწინ: ნახევრად შიშველი დიაცები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ზოგიც ფორტეპიანოზე აბრახუნებდა. როცა ჩვენთვის განკუთვნილ ოთახში მიგვიყვანეს, აქ გამოგვეცხადნენ მთლად გატიტვლებული ქალები, შამპანური მოგვართვეს და მუხლებზე წამოჯდომა დაგვიპირეს. ზურაბი აიმრიზა და ქართულად მითხრა:

„ახლა კი დავიღუპეთ. კონსტანტინე ბატონო, როგორც ირკვევა, მაგ გაოხრებულ მეეტლეს საროსკიპოში მოვუყვანივართ".

მე გამეღიმა და მივუგე:

— „რა მოხდა მერმე, ზურაბ ბატონო, ჩვენ თუ არ ვინდომეთ, ეს დედაკაცები ხომ ვერ გაგვაუპატიურებენ?"

ზურაბმა გაიცინა: ეს რომ ვინმემ გაიგოს, თავი მოგვეჭრებაო.

კახპებმა რა დაინახეს, რომ ჩვენგან არავითარი ხეირი არ იყო მოსალოდნელი, შამპანურის ბოთლები წაიღეს და გაგვეცალნენ.

ბოლოს გვეახლა საბოზეთის ფაშფაშა დიასახლისი, რომელსაც ფორტეპიანოს ფეხების დარი ქვედაკიდურები ჰქონდა და მოგვახსენა:

„მე როგორც ვატყობ, ეს დიაცები არ მოგეწონათ, ბატონო პროფესორებო. ეს მაპატიეთ და მე ახლავე გაახლებთ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გათქვირულ გოგონებს, ისინი გუშინ ჩამოიყვანე ბოჰემიიდან. ღვთისმშობელ მარიამს გეფიცებით, ესენი სავსებით უბიწონი არიან და მე იმედს არა ვკარგავ, თქვენს ვნებებს უთუოდ დააკმაყოფილებენ".

ღვთის წინაშე მე მაინც და მაინც წინააღმდეგი არ ვიყავი ამ წინადადებისა. საქმე არაფერი მქონდა და ურიგო არ იქნებოდა მათთან ლაქციში დრო მომეკლა, მაგრამ ზურაბი ისე აღშფოთებული ჩანდა, მოვერიდე ხნით უფროს მეგობარს.

დიასახლისი შემოვიდა და მართლაც ისეთი პირმშვენიერი გოგონები მოიყვანა, მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, ბატონ ზურაბსაც თვალი დარჩა მათზე, მაგრამ, როგორც ჩანდა, ახლა მას ერიდებოდა ჩემი.

მეორე დღეს ჟანდარმთა შეფი გვეახლა, მხედრული სალამი მოგვცა, მისი აღმატებულება გამოგვეჭიმა და მოგვახსენა: გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი გრაფი ბროკდორფ რანცაუ ბერლინში უცდისო თქვენს მობრძანებას. ჩვენ დაუყოვნებლივ გადავუხადეთ საროსკიპოს დიასახლისს ღამის გათევის ფული და გავემართეთ სასტუმროსაკენ, ჟანდარმთა შეფის მიერ მორთმეული ლანდოთი. გზაში ზურაბ ავალიშვილმა შეიცნო მეეტლე და საყვედური უთხრა: სასტუმროს ნაცვლად საროსკიპოში რად მიგვიყვანეთო? მეეტლემ კეფაზე მოიფხანა და სთქვა:

— „რა ვიცი, ბატონო, რაც კარგი აზნაურები და დოქტორები ჩამოდიან ამ ქალაქში, იქ წაყვანასა მთხოვენ და რა ვიცი, ბატონო..." ჟანდარმმა დაუმოწმა მეეტლეს:

— რაც მდიდრები და დოქტორები აქ ჩამოდიან, სასტუმროებს არ ეკარებიან, იმ საროსკიპოს ეტანებიანო.

ბერლინში ჩვენ დაგვიხვდა მენშევიკური მთავრობის მიერ წარმოგზავნილი ელჩი ლ. ახ...ელი, ახოვანი ვაჟკაცი, მაგრამ, როგორც შემდეგ დავაკვირდით, დიდი ბედოვლათი ვინმე, რომელიც შიშველი ხელით იწმენდდა ცხვირს, პარკეტის იატაკზე ადუჟებდა, ტელეფონით ლაპარაკს ვერ ახერხებდა, მრავალ წელს გერმანიაში ნამყოფი ორიოდე წინადადებას გერმანულად თავს ვერ მოუყრიდა.

ზურაბ ავალიშვილი პარიზს წარგზავნა მან, ბოლო მე, როგორც საელჩოს ატაშეს, მომანდო სამხედრო ტყვეების რეგისტრაცია, კულტურული სამუშაო, ევროპული პრესისათვის თვალის დევნება და საქართველოდან ჩამოსულ სტუდენტების უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობის საქმე.

ცხადია, მენშევიკები სახელმწიფოს ვერ შეჰქმნიდნენ, რადგან მეტწილად ასეთი შლეგები მეთაურობდნენ ქვეყანას. ჩვენ, უპარტიონი მტრებად მივაჩნდით, თავად არაფერი ესმოდათ და ჩვენს მიერ მოწოდებულ რჩევებს არად აგდებდნენ. ბერლინში და სხვა სახელმწიფოებში ამ „ელჩის" მაგივრად მე მიხდებოდა ხოლმე სირბილი, რადგან იგი სავსებით უმეცარი და უმწეო კაცი იყო. არცთუ გულბოროტი, მაგრამ აბსოლუტურად რეგვენი. უნდა გამოვტყდე, ასეთი ტიპი ქართველთაგან შინ და გარეთ აროდეს შემხვედრია. პირად ცხოვრებაშიც გზააბნეული იყო, ცოლი არ შეერთო და ხანდახან უსახკო ყმაწვილივით აცუნდრუკდებოდა ხოლმე. ვიღაც თავაწყვეტილი ყმაწვილები გარს შემოირტყა, ერთმა მათგანმა ჰანოვერში რომანი გამართა ერთი გრაფის ცოლთან, როცა თავის ტურფას საავარაკოდ აცილებდა, მისი ბაგაჟის ქვითრები პორტმონედან ამოართვა ძილის დროს, მრავალ ათას მარკად ღირებული ნივთები მიითვისა და შვეიცარიას გაიქცა. გაზეთებმა ხმაური ასტეხეს: ქართული საელჩოს ერთმა ატაშემ (იქვე ეწერა მისი გვარი) თავისი სატრფო ყოფილი გაძარცვა და გაუჩინარდაო.

ჩვენი საელჩო მოთავსებული იყო ერთი ცნობილი გრაფის ქვრივის ვილლაში, ტირგარტენის შემოგარენში. ელჩი ახ...ლი და მისი არიფები ბანკეტს გამართავდნენ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბროკდორფ რანცაუს მიიწვევდნენ, ღვინის სმას მიეძალებოდნენ, მერმე მოდგებოდნენ და მარმარილოს კიბეებზე არწყევდნენ. ეს გაპრანჭული გრაფი ცხვირაზუებული შესცქეროდა ამ შემთვრალი „დიპლომატების" უწესობას.

ერთ დღეს ჩვენი საელჩოს მემანქანე ქალები შემევედრნენ:

—„გვიშუამდგომლეთ მისი ბრწყინვალების, უფალი ელჩის წინაშე: შიშველ მკლავებზე ნუ გვჩქმეტს. სხვა დაფარულ ადგილებზე ინებოსო ჩქმეტა, თორემ ჩვენმა ქმრებმა დალურჯებული მკლავები რა შენიშნეს, სხვა ადგილები უარესად დაგვილურჯესო". მე ბევრი ვუჩიჩინე ამ გამოჩერჩეტებულ „ელჩს". წესიერი დედაკაცი აიჩინეთ ვინმე და ამ უბედური მემანქანეების ჩქმეტას მოეშვით მეთქი. ამ შეგონებამ უარესი შედეგი გამოიღო. ახლა ფრიდრის შტრასსეს კახპებს დაერია ეს აცუნდრუკებული ეროტომანი, საელჩოში მოათრევდა მათ, თავის არიფებთან, ერთად გამართავდა ქეიფს, ბოლოს უარესად წაბილწავდნენ ხოლმე მარმარილოს კიბეებს. ახლა უფრო ენერგიული ტონით გავაფრთხილე ახ...ლი:

— „ნუთუ თქვენ გგონიათ საგარეო საქმეთა სამინისტროს აგენტები, ან ზნეობის ბერლინური პოლიცია ჩვენ ყველას თვალს არ გვადევნებენ? თუ ასეთ რამეებს არ დაიშლით, პერსონა ნონ გრატად შეგრაცხავენ უთუოდ".

ელჩი გაოცებული შემეკითხა: ეს პერსონა გრატა ვინა ბრძანდებაო? მე განვუმარტე: როცა რომელიმე ელჩი უწესოდ მოიქცევა, პერსონა ნონ გრატად, ესე იგი, არა სასურველ პირად შერაცხენ და გააძევებენ-მეთქი.

სიმართლე რომ ითქვას, როგორც ჩანს, ამ ამბავმა იგი დააფიქრა და კახპების საელჩოში მოყვანაზე ხელი აიღო.

ერთ საღამოს კარლ კაუცკი მოვიდა საელჩოში. ლ. ახ...მა თავის კაბინეტში დაიმარტოხელა სტუმარი, ბარე ორ საათს ჩურჩულებდნენ. მესამე დღეს კვლავ გვეწვია კაუცკი, თანაც ვიღაც გრძელწვერა ებრაელები მოიყვანა. ისევ დაკეტა უფალმა ელჩმა თავის კაბინეტის კარები, ამჯერად სამ საათს გაგრძელდა კონფიდენციალი ჩურჩული.

ერთ მშვენიერ დღეს ელჩმა თავის მრჩევლებს თავი მოგვიყარა და გვახარა: საქართველოში ევროპის სოციალისტური პარტიების ლიდერები უნდა წარვგზავნოთო, კარლ კაუცკის მეთაურობით. მე სიტყვა ავიღე და განვაცხადე: „ეს ღონისძიება დიდ ზიანს მოგვაყენებს, რადგან ამ დელეგაციის საქართველოში ჩასვლა ლენინსა და საერთოდ „სოვდეპიის" მთავრობას გააბრაზებს. ამ საქმეს დიდძალი ვალიუტა დასჭირდება. მე გირჩევდით მოვეშვათ ამ საქმეს და ეს ფული საქართველოდან ჩამოსულ სტუდენტებს დავურიგოთ სტიპენდიების სახით". ეს ჩემი თათბირიც დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. სოციალისტების დელეგაციის საქართველოში წარგზავნის საკითხი პარიზულ საელჩოშიაც მდგარა. ამ საქმეს ეძალებოდა თურმე ჩვენი ხალხის ბოროტი სული კაკი წერეთელი. პროფესორები: ზურაბ ავალიშვილი და მ. წერეთელი წინააღმდეგ წასულან, მაგრამ როგორც ვიცით, ეს დელეგაცია საქართველოში ჩავიდა. ბოლოს მათ მიერ გამართული მიტინგები და ქეიფები დიდად საზიანო გახდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკისათვის. მერმე ის იყო მენშევიკებმა ლენინთან ვერ გამოსძებნეს საერთო ენა და გენერალ დენიკინთან დაიწყეს ჩურჩული.

მე დიდ დროს ვახმარდი საელჩოს საქმეებს, თანაც ბერლინის უნივერსიტეტში მეცადინეობასაც ენერგიულად განვაგრძობდი.

ჩემი მთავარი მოვალეობა იყო ქართველი სამხედრო ტყვეებისათვის ზრუნვა, დღეში რამდენიმე ასეული წერილი უნდა გადამეკითხა, პასუხი მიმეცა იმ უბედურებისათვის, რომელნიც კონცლაგერებსა, საგიჟეთებში, ციხეებსა და საავადმყოფოებში იტანჯებოდნენ. თანაც დავდიოდი მთელს გერმანიაში, დავეძებდი მათ და აღრიცხვაზე ავყავდა. სხვა მოვალეობაცა მქონდა — საქართველოდან ჩამოსული სტუდენტები უნდა მომეწყო უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. წარამარა ჩავდიოდი საუნივერსიტეტო ქალაქებში, რექტორებს, დეკანებს წარვუდგებოდი და რესპუბლიკის მთავრობის სახელით ვთხოვდი მათ მოწყობას. ამ გზით ბარე ორას ორმოცდაათი სტუდენტი მოვაწყვე.

ეს საქმე გაცილებით უფრო იოლი იყო ჩემთვის, ვიდრე ტყვეების მოვლის საქმე. მე ვამტკიცებ: პირველი მსოფლიო ომის შედეგები ჯერ არვის გამოუსახავს ლიტერატურაში. მე არა მგონია ამ კონცლაგერებში უფრო ნაკლები საშინელებანი არ დატრიალებულიყო, ვიდრე ჰიტლერის მიერ მოწყობილ საზარელ კონცლაგერებში. მე დავათვალიერე გერმანიაში ბარე ოცდაათი კონცლაგერი და უნდა მოგახსენოთ, ეს ყოველივე წარმოადგენდა უფრო საზარელ სანახაობას, ვიდრე ალიგიერი დანტეს მიერ გამოსახული ჯოჯოხეთი. ეკლიან მავთულებს გადაღმა დამწყვდეული, ნახევრად შიშველი და მშიერი ადამიანები ღნაოდნენ, იხვეწებოდნენ: დაგვიხსენითო შიმშილისაგან. შიმშილი კიდევ არაფერი, მათ მათრახებით სცემდნენ ვახტერები და ფელდფებელები, კარცერებში აშიმშილებდნენ უკმაყოფილოების გამომთქმელებს. როცა მე რომელიმე კონცლაგერში შევდიოდი, ისინი გარს შემომეხვეოდნენ და დასაკლავ [illegible]ბსავით ბღაოდნენ. თუ ქრისტიანი ხარ და ქართველი, დაგვიხსენი ამ სატანჯველისაგან, ისიც შევნიშნე: მე მათ ყოვლისშემძლე ვეგონე.

მე მათ ვაშოშმინებდი, ვამხნევებდი, როგორც კი შემეძლო, ჩვენი საელჩოს მისამართს ვაძლევდი და მერმე უამრავი ბარათი მომდიოდა ბერლინურ საელჩოში. გვიშველეთ, გვიშველეთ, მევედრებოდნენ ეს საცოდავები. ისევ შევუდგებოდი საპასუხო ბარათების წერას და ვამხნევებდი მათ. რუსთაველის შეგონებას ვაწვდიდი: ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირსა.

ბოლოს დადგა ამ უბედურების შვების ჟამი. სექტემბრის პირველს ბერლინურმა საელჩომ მიმავლინა კოპენჰაგენს. იქ ვიქირავე ორმოციოდე ათასი წყალწყვის გემი „ქრისტიანია" და ჰამბურგში დავიბარე. რამდენიმე დღის განმავლობაში ჰამბურგში მოვაგროვე სამი ათასამდე სამხედრო ტყვედ ყოფილი. ახლა საკითხი დადგა: ვინ წაიყვანდა ამ გემს საქართველოში? ყველამ იცოდა, რომ ზღვები ჯერაც გაწმენდილი არ იყო მცურავი ნაღმებისა და ბომბებისაგან. საელჩოს არც ერთმა წევრმა ასეთი რამ არ იკისრა. ბოლოს მე ვიკისრე ეს ფრიად სახიფათო საქმე. ჰამბურგს ჩავედი. ორი დღე მოვუნდი ამ უბედურების გემზე მოთავსებას. დღედაღამ მათთან ვიყავი. მესამე ღამეს სასტუმროში შვეიცარმა გამომაღვიძა და ფრიად შეშფოთებული მეუბნება: „ბატონო ჩემო, ვიღაც ბანდიტების დარი კაცები მოვიდნენ. მათ ცხვრის ტყავები ახურავთ თავზე, არ მომეშვნენ, თქვენს გაღვიძებას მოითხოვენ დაბეჯითებით". შემოუშვით-მეთქი, ვუბრძანე შვეიცარს, მე არ ვიცოდი, თუ ვინ იყვნენ ისინი, მაინც მოვემზადე მათ შესახვედრად. ესენი აღმოჩნდნენ ტფილისელი სომხები, რუსები და ოსები. ამ დაკონკილ ძველმანებში გამოწყობილმა ადამიანებმა ატირებული ხმით შემომჩივლეს: სამასიოდე კაცი ვართ აქ ჩამოსული, შიმშილისაგან გაოგნებულნი ვართ, ძლივს მოგაგენით. მენშევიკების ელჩს მოციქულები გავუგზავნეთ ბერლინში და თქვენი გემით შინ წასვლის ნება ვთხოვეთ და მტკიცე უარი გვითხრა, თქვენ ქართველები არა ხართ და საქართველოში ვერ გაგაგზავნითო. მე შევეკითხე: ქართული თუ იცით, ან საქართველოში თუ ხართ-მეთქი დაბადებულნი? ყველანი საქართველოში ვართ დაბადებულნი და ქართულიც კარგად ვიცითო, მიპასუხეს. მე ვუთხარი: რაკი ქართული გცოდნიათ და საქართველოში დაბადებულხართ, ჩვენი მოქალაქენი ყოფილხართ. მე როგორმე რისკს გავწევ და წაგიყვანთ, მე ამის უფლება არა მაქვს, ამიტომაც ჩემი სათხოვარი იქნება, ეს საქმე ჩვენს შორის უნდა დარჩეს. თვით ქართველ ტყვეებსაც ნუ ეტყვით, თუ ვინა ხართ, ოღონდ პირობა უნდა მომცეთ, რომ გზაში წესრიგს დაიცავთ-მეთქი. ერთხმად მომიგეს: გუგულებივით ვიქნებითო. მალე ქვემოთ ნათხრობით გამცნობთ, თუ რა დღეში ჩამაგდეს ამ „გუგულებმა". გათენებისას ავდექი, პოლიციელების კორდონში გავატარე ეს უბედურები და გემში ჩავტენე, რადგან იქ იმდენი ადგილი არ იყო, ოსები გემბანზე მოვათავსე სამარქაფო ნავებში. ისინი ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ ამ სათავსოებით. ერთხელ ფრიად სევდიანი სიმღერა შემომესმა. გავიხედე, ჩემი ოსები დამსხდარან და ტკბილად ღიღინებენ. მე და კაჭარავამ მოვაგროვეთ სხვადასხვა ტომის მომღერლები და „კონცერტებს" ვამართვინებდით მათ. გემი გუგუნებს, ოკეანის ტალღებს მიაპობს და ომგადახდილი მეომრები ტკბილად მიიმღერიან შინ მიმავალნი. განსაკუთრებით ტკბილი იყო მათი სიმღერა, როცა ოქროს გავალაკიანი მზე ოკეანეში ჩაეშვებოდა, პოსეიდონი რისხდებოდა ნელ-ნელა, ახლა ომახიან ლაშქრულს შემოსძახებდნენ ბიჭები.

იმ დღეს, გემის გამგზავრებისას მოხდა მთლად კომიური ამბავი: ჰამბურგის პორტს მოაწყდა ბარე სამი ათასი გერმანელი დედაკაცი. ტყვეყოფილები მევედრნენ. ეს დიაცები ჩვენი სასძოებია, როგორმე წამოიყვანეთ ისინიც, ჩვენ მათ ჩვენს სოფლებში წავიყვანთ და რიგიანად ვამუშავებთო. მე გამეცინა და ვუთხარი: „თქვენ, როგორც ჩანს, მოძრავი საროსკიპოს მოწყობას მოითხოვთ ჩემგან. უნდა იცოდეთ, რომ მე არც ერთი ზედმეტი ადამიანის წაყვანის ნება არა მაქვს, ეგეც რომ არ იყოს, ამდენ დედაკაცებს კიდევ ერთი გემი „დასჭირდება". ბოლოს ჩამოვიდა გერმანიის გენშტაბის წარმომადგენელი, ერთი გაფხორილი პოლკოვნიკი და ტყვეებმა ხმა ჩაიკმინდეს. მეორე დღეს უთენია დაიძრა გემი. მე აგრე მოვაწყვე საქმე: ორმოცდაათი მსროლელი შევარჩიე. ას კაცს ტყვიამფრქვევები დავურიგე. ისინი გემის ქვინტზე დავსვი. პროჟექტორები დავადგმევინე იქვე. მათ დაუცხრომლად უნდა დაეზვერათ ოკეანე და როგორც კი მცურავი ნაღმი, ან ბომბი გამოჩნდებოდა, ტყვია დაეშინათ, დანარჩენები პისტოლეტებითა და კარაბინებით აღვჭურვე. მათ უნდა დაეცვათ უზარმაზარი ცაიგჰაუზი[1] და შინაგანი წესრიგი გემზე. მე ამ გემით მიმქონდა ორმოციოდე ვაგონი საქონელი და რაც უმთავრესია, ორი ვაგონი სავსებით იშვიათი მედიკამენტები. სხვათა შორის, პირველი რადიო დანადგარი საქართველოსათვის განკუთვნილი. ცოიგჰაუზშივე მქონდა შენახული ორას ათასზე მეტი ინგლისური გირვანქა სტერლინგი და რამდენიმე ათასი გერმანული მარკა, რომელიც ჯერ კიდევ ჰამბურგში ჩამოვართვი ტყვეყოფილებს იმ პირობით, რომ ეს ყოველივე საქართველოში ჩასვლის უმალ დამებრუნებინა მათთვის. ჯერაც შორს ვიყავით ინგლისის ნაპირებიდან, ტყვეებმა მოციქულები გამომიგზავნეს და მთხოვეს: ნება მიმეცა მათთვის ბარათები მიეწერათ ჰამბურგში დარჩენილი ტურფებისათვის. მე გუნებაში გამეღიმა, ნება დავრთე, ხოლო ისინი წერად დასხდნენ. გამოირკვა: მათ გერმანელი დედაკაცებისათვის უსწავლებიათ ქართული ასოებით გერმანული სიტყვების წერა. ბოლოს ამ „შეყვარებულებმა" ორი ათას ხუთასამდე ბარათი ჩამაბარეს ამგვარი „კრიპტოგრაფით" დაწერილი. იმავე ღამეს შევაგროვე ეს ყოველივე, გემის ლუკი გავაღე და ჰამბურგისაკენ გავატანე ზღვის ტალღებს.

ახლა მოგითხრობთ, თუ რა მიყვეს ჩემს მიერ შეხიზნულმა „გუგულებმა".

ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც უნამუსომ ხმა დააგდო: გამსახურდია ჟორდანიას აგენტია, საქართველოში იმისთვის მივყევართ, რომ იქ ბოლშევიკების წინააღმდეგ გვაბრძოლოსო. ჩვენც ბოლშევიკები ვართ, ამ გემს დავლეწავთო. კაპიტანს ვუბრძანე შუაგულ ზღვაზე გაეჩერებინა გემი. საბოლე მილის ზეთავზე ტრაპი გავამართვინე, ზედ ავედი და განვაცხადე: „მე მენშევიკი არ გახლავართ, არც ჟორდანიას აგენტობა მიკადრებია ოდესმე. არც მეტი და არც ნაკლები, ვარ საქართველოს პატრიოტი, არც თუ ვიზიარებ ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას. თუ ჭკუით იქნებით, მე ფოთს ჩაგიყვანთ. თქვენს ანაბარებს დაგიბრუნებთ და შინ წადით. თუ ჩემს ამხანაგურ რჩევას არ გაიზიარებთ, და არ დამშვიდდებით, სამი დღის შემდეგ გემს მივაყენებ აფრიკის რომელიმე პორტს და იქ გადაგსხამთ. ეგეც იცოდეთ, იქ საფრანგეთის მთავრობის ხელში მოხვდებით, როგორმე მისდექით და ებრძოლეთ რიფებსა და აფრიკულ მოდიელებს". „გუგულები" შეკრთნენ. ათიოდე გონიერი კაცი ამოვიდა ტრიბუნაზე და მოუწოდეს: გამსახურდიას დავუჯეროთ, თორემ აფრიკაში დავიღუპებითო ყველანი. ამ სიტყვებმა გასჭრეს და ჩვენც მშვიდობით ვუწიეთ სოუსჰემპტონს. პორტამდის ორიოდე კილომეტრი გვიკლდა. მე გემბანზე ვიდექი და ბინოკლით ვუჭვრეტდი რეიდზე მდგარ დრედნოუტებს. უცებ შევნიშნე რაღაც უცნაური, შავი არსებების მასსა ნაპირს მოსწყდა, და ჩვენსკენ გამოემართა. თავდაპირველად ეს ყოველივე გარეული იხვები მეგონა, მაგრამ როგორც კი მოგვიახლოვდნენ, გარკვევით შევნიშნე აურაცხელი ვირთხა გამალებული მოაპობდა ტალღებს. ეს მასსა სამკუთხედის დარად მოდიოდა. მეწინავეებს ბელადი მოუძღოდა წინ. მე უკვე კარგად. ვამჩნევდი მის დაცქვეტილ ყურებს. სწორედ ამ ბელადს ვესროლე პარაბელლუმი და ჩემს რაზმს ვუბრძანე, ცეცხლი დაეშინათ ვირთხებისათვის. ბოლოს რუპორით ვამცნე დარაჯებს: გემის ლუკები დაეგმანათ სასწრაფოდ. უცნაური სანახაობა გადაიშალა ჩვენს თვალწინ: ჩვენი სნაიპერები ზუსტი სროლით მუსრავდნენ ვირთხების მასსას, დახოცილების ლეშებს, რომელნიც ზღვის ზედაპირს უზარმაზარ ნაბადსავით მოსდებოდნენ. მოლივლივე ვირთხები კვლავ უბრუნდებოდნენ პორტის ნაპირებს. ამის შემდეგაც არაერთხელ დაგვჭირდა ჩვენ ამ აბეზარი ვირთხების წინააღმდეგ ბრძოლა. გზადაგზა ჩვენ მივადგებოდით ხოლმე ესპანეთის, აფრიკის და საფრანგეთის ნაპირებს, რათა ზოგ-ზოგი საჭირო პროვიანტი შეგვესყიდა. ყოველგან ვირთხების ლაშქართან გვიხდებოდა „ომი". გემის მმართველობის ოპერატიულად წარსამართავად ჯერ კიდევ ჰამბურგშივე მე შევარჩიე სამი კაცი, კომისიის წევრებად, ერთი მათგანი, ზუგდიდელი გლეხი ერასტი კაჭარავა ჩემ თანაშემწედ ავიყვანე. იგი ფრიად წესიერი და მამაცი ვაჟკაცი აღმოჩნდა და ჩემს დავალებებს ზუსტად ასრულებდა. სოუსჰემპტონში გემი ჩავაბარე ჩემს ნაცვალს, კაჭარავას და ლონდონს გავემგზავრე. აქ ვინახულე ინგლისური გენშტაბის უფროსი, არმიის გენერალი სტივენსონი და ვთხოვე სამხედრო ტყვეების გამოსაკვებად პროვიანტი მოეცა. გენერალმა ფრიად თავაზიანად მიმიღო, იგი დამპირდა: გიბრალტარში დაგვახვედრებენო ბისკვიტებისა და კონსერვების რამდენიმე ასეულ ყუთს. ლონდონშივე ვეწვიე ინგლისური წითელი ჯვრის თავმჯდომარეს, ლედი სესილ ჰორსტს. იგი აღმოჩნდა ცნობილი ბანკირის, მულტი მილიონერის ჰარი ჰორსტის ასული. სესილი ჰორსტ უცნაურად მიაგავდა ჩემს „ჰორფლიან ბარონესსას". გამოხურვებული ოქროსფერი კულულები ჰქონდა მასაც, ოღონდ უფრო მუქლურჯი თვალები. სესილსაც ჰორფლი აჩნდა სახეზე ოდნავ, ხოლო დეკოლტედან მოუჩანდა ნუშისგულივით თეთრი სხეული. სესილი ლილისავით ტანკენარი იყო, მკვრივი ძუძუები და მილოსელის დარი თეძოები ამშვენებდა მას. ლედიმ დიდი პატივი დამდო, ოთხი ათასი ინგლისური ახალი კოსტიუმი მაჩუქა ტყვეებისათვის. სესილ ჰორსტმა ახლა საუზმე გამიმართა, ვისკი მასვა და მთხოვა, თუნდაც რამდენსამე დღეს ლონდონში დავრჩენილიყავი, ხოლო სამხედრო ტყვეების ეშელონი ჩემი ნაცვალისათვის გადამებარებინა. აგრე ამბობდა: მე დღეიდან შვებულება მეკუთვნის, ხვალვე ჩემს ვილლაში წავიდეთ, შოტლანდიაში და დრო ვატაროთო. მე ფრიად მიმძიმდა ამ მომხიბვლელი ლედის დატოვება, მაგრამ ჩემს მიერ ნაკისრ მოვალეობას ვერ გავექეცი. ამის შემდეგ სამ წელს მქონდა მიწერ-მოწერა სესილ ჰორსტთან, მისი ბარათები სავსე იყო სინაზით, კეთილშობილებითა და გონებამახვილობით. ყოველი ენა განსაკუთრებით საამურია ლამაზი ქალის ბაგიდან მოსმენილი, ამას მე დავაკვირდი ადელმაიდე ლენციასა და სესილ ჰორსტის მეტყველებაში. ამ მშვენიერ ლედის მე შევარქვი „მეტაფიზიკური საყვარელი", ორი თვის შემდეგ სესილ ჰორსტ გაზარებული მწერდა: ძლიერ მომეწონაო ეს კომპლიმენტი.

გიბრალტარში მეახლა ინგლისის საზღვაო ემისარი და მაუწყა: ბისკვიტები და კონსერვები დაგახვედრეთო. მე დაუყოვნებლივ გავეცი ბრძანება: ასიოდე კაცი პარაპეტზე გასულიყო და ეს ხორაგი გემში შემოეზიდათ. ჩვენი გემის პასსაჟირები აყაყანდნენ: ბისკვიტები რა ჭირად გვინდა, თეთრი პური მოგვცესო ინგლისის მთავრობამ, თორემ გემს დავლეწავთო და ცოიგჰაუზს დავარბევთო. ხელახლა ავედი საკვამლე მილზე გამართულ ტრაპზე და განვაცხადე: დაუყოვნებლივ შემოზიდეთ ხორაგი, თორემ დღესვე აფრიკაში გადაგსხამთ-მეთქი. რაც შეეხება ცოიგჰაუზს, მე მის კარებთან დაგიხვდებით და ჩემი პარაბელლუმის ტყვიები არ აგცდებათ. რაიც შეეხება თეთრ პურს, უნდა იცოდეთ პური მეორე დღესვე დაობდება და მშიერი ამოწყდებით-მეთქი. ამ შეგონებამ გასჭრა. კაჭარავამ ასიოდე მარჯვე კაცი შეარჩია და მთელი პროვიანტი გემში შემოზიდეს. მე მთელი ღამე ვფიქრობდი იმის გამო, თუ რა ყოვლად შემძლე ყოფილა მამულისადმი სიყვარული. ეს ოდისეა საფრთხის თვალსაზრისით ოსმალებთან შებრძოლებაზე უარესი მეჩვენა. მართლაც და ნატანების ხიდზე რომ მოვეკალი მტერს, ჩემი ამხანაგები ქართულ მიწაში მაინც დამმარხავდნენ. აქ კი, ამ უსასრულო ოკეანეში, რომელიმე მცურავი ნაღმი რომ დაგვტაკებოდა, გემი აფეთქდებოდა და ბოლოს ვეშაპების საძიძგნი გავხდებოდით. ბოლოს ამაოდ ჩაივლიდა ამდენი სწავლა და შრომა, რომელიც გაწეული მქონდა ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. ხშირად ვფიქრობდი დედის, სამშობლოს, ჩემთვის საყვარელი ქალებისა და მეგობრებისათვის. შორს ჩემგან სულმოკლეობა, ვეუბნები ჩემს თავს, ხომ გენატრებოდა საქართველოსათვის სიკვდილი და იგი ყოველ წუთს შეიძლება გზად შეგეყაროს. კოკა წყალზე უნდა გატყდეს, აგრე ვუთხარი ბოლოს ჩემს თავს, ხომ გეუბნებოდა ერთი მკითხავი, ჯერ კიდევ ქუთაისში: შენ საკუთარ ლოგინზე არ შეგხვდებაო სიკვდილი. ოკეანე ბდღუდა და ქუხდა, გემი „ქრისტიანია" მედგრად უტევდა აზვავებულ ტალღებს. ერთბაშად სროლა შემომესმა, მყისვე გემის ქვინტზე გავჩნდი. ათიოდე მცურავი ბომბა დაელანდათ ბიჭებს. ისევ ატყდა გრიალ-გრიალი. გათენებისას ღელვა შესწყდა. ოკეანე გაილურსა. მესამე დღეს ისევ უცნაური ღელვა ატყდა, ასე რომ საცოდავ ტყვეებს არ შეერგოთ არც ბისკვიტები, არც კონსერვები. ზღვის ავადმყოფობა განსაკუთრებით დაერია აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთ. განსაკუთრებით იტანჯებოდნენ ოსები: გვიშველეთ რამე, სნი ჭირიმე, შევედრებოდნენ. გემზე მოგვიკვდა ორი ჭლექიანი ტყვე. იმ დღეს მე დავაკვირდი უცნაურ ამბავს: თითქოს ნამკვდრევის სუნი მისვლიაო. გემის ანძაზე ჩამოსხდნენ უამრავი ყორნები და ბედითი ყრანტალი შექმნეს. ჩემი პარაბელლუმი დავუშინე მყივარებს, ორიოდე მოვკალი, ხოლო დანარჩენნი ჩრდილოეთისკენ გაუჩინარდნენ. მიმწუხრისას მე გავაჩერებინე გემი, შესუდრული მიცვალებულები ზღვის ტალღებს მივანებეთ და ორიოდე წუთის შემდეგ სალუტი გამართეს მსროლელებმა. სამი ათას ხუთასი კაცი დაჩოქილი ისმენდა ამ სალუტს. ამ მწუხარების მიუხედავად ახლა ამიტყდნენ პასსაჟირები: დანარჩენი შვიდასი კოსტიუმიც დაგვირიგეთ, ჩვენ მათ წვივსაზვევებად დავჭრითო. ისევ დამჭირდა ტრაპზე გასვლა და მუქარის განმეორება. თანაც დავძინე: დანარჩენ კოსტიუმებს მთავრობას ჩავაბარებ ტფილისში. თქვენ თითო კოსტიუმი გარგეთ, მე და კაჭარავას არც ერთი არ აგვიღია-მეთქი. მეხუთე დღის მიმწუხარზე მზვერავებმა შენიშნეს: ზღვაზე უამრავი ბომბები დასცურავდნენ. პროჟექტორები მივაშვირეთ და ტყვიამფრქვევები დავუშინეთ იმ ბომბებს. მე ღამღამობით არ მეძინა, მზვერავებს ვაკონტროლებდი. პროჟექტორები აბრიალებდნენ ცეცხლოვან თვალებს, როგორც კი ახალი ბომბები გამოჩნდებოდნენ, გაისმოდა ერთობლივი ბათქი. მე და ჩემი თანაშემწენი საშინელ გასაჭირში ჩავარდით. ტყვეები ტრიუმში გაშენილ თივაზე იწვნენ, აკრძალვის მიუხედავად ჩუმჩუმად სწევდნენ პაპიროსს. ჩვენ უნდა გვეზრუნა — ცეცხლი არ გამჩნდარიყო. ამ გემით მომყავდა ასიოდე ჭლექიანი, ოციოდე გიჟი და ამდენივე ლუესით დაავადებული. ამ უბედურების გასამხნევებლად მე ყოველ დილას ჩამოვუვლიდი მათ, როგორც ცნობილია, ჭლექიანები ეგოისტები არიან მეტწილად, ჩემს დანახვაზე ისინი მომცვივდებოდნენ და უცილოდ შემომაჩერებდნენ თავიანთ ოფლიან ხელებს. ჯერ კიდევ ჰამბურგში ბერლინურმა საელჩომ გამომიგზავნა ერთი მეტიჩარა გერმანელი ქალი, ვიღაც ტფილისელის ცოლი, მის მანჭვა-გრეხას საზღვარი არა ჰქონდა. თავისი გამომწვევი გარეგნობით იგი ნიადაგ აზელებდა ისედაც გახელებულ მამაკაცებს. ერთი-ორჯერ კაჭარავამ გადაარჩინა გაუპატიურებას ეს პრანჭია დიაცი.

აფრიკის ნაპირებთან კვლავ გამოჩნდნენ მცურავი ნაღმები და ბომბები, დაუცხრომელი გრიალი ისმოდა, ბრძოლითა და სროლით მივიკვლევდით სამშობლოსაკენ გზას.

მალტის მახლობლად ინგლისურმა ტორპედო ნავმა ამოჰყო ზღვიდან თავი. რადიოთი შეგვეკითხა: ვინ ხართ და სად მიდიხართო? საქართველოს რესპუბლიკის გემია და შინ მივდივართ-მეთქი, ვუპასუხებდი. ბოლოს აღარ დაგვიჯერეს, ჩვენს გემზე ამოვიდა ტორპედო ნავის კაპიტანი და დოკუმენტები გაგვისინჯა. მალტას გავცილდით თუ არა, რადიოთი ვამცნე ინგლისის სტამბოლურ შტაბს: კონსტანტინეპოლში შეგვიშვით-მეთქი.

კონსტანტინეპოლში შესულიც არ ვიყავით, ინგლისური წყალქვეშა ნავი წამოგვეწია. ტორპედონავის კაპიტანი, ერთი უცხვირპირო ვინმე, ჩვენს გემზე ამოვიდა და თითქმის ბრძანებითი კილოთი მითხრა: სტამბოლში ჭირია და უკან გაბრუნდითო. მე მწარედ გამეღიმა და მივუგე: თუ სტამბოლში მართლაც ჭირი ატეხილა, ჩვენ როგორ გამოგვიშვა ინგლისიდან გენერალ სტივენსონმა, ან თქვენ როგორ სძლებთ-მეთქი ჭირიან ქალაქში? კაპიტანი გაჯიქდა. ახლა გემის პასპორტი მოგვთხოვა. ეგეც არ იკმარა კაპიტანმა. „ჩვენს „კონტრდაზვერვას ცნობა აქვს, რომ თქვენ ამ გემით მიგყავთ რადისტი, ტომით გერმანელი. ეს რადისტი ახლავე მომეცით. მე იგი უნდა დავატყვევო და ინგლისს წარვგზავნო". მე მტკიცედ განვუცხადე: „ეგ რადისტი შვეიცარიელია და არა გერმანელი, მაგრამ იგი თუნდაც გერმანელი იყვეს, ეს გემი საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, მე ამ გემის კომისარი გახლავართ და მე თქვენ ვერ გაგატანთ რადისტს". ბოლოს იმდენი იჯაჯღანა ამ კაპიტანმა, მე მოთმინებიდან გამოვედი, მკლავზე ხელი წავავლე და ვუთხარი: ეს გემი საქართველოს რესპუბლიკის ექსტერიტორიალურ სივრცედ ითვლება. დაუყოვნებლივ გაბრძანდი აქედან, თორემ ამ წუთში განკარგულებას გავცემ და დაგხვრეტენ-მეთქი. კაპიტანი შეკრთა და გემიდან ძირს ჩამოვიდა. კონსტანტინეპოლში შესულიც არ ვიყავით, ტყვეყოფილებმა მომიგზავნეს ჩემი მეზობელი აბაშელები და შემომითვალეს: შენ ჩვენი კაცი ხარ, ეს უამრავი სიმდიდრე გავიყოთ, დიდი ნაწილი თქვენ მიირთვით. დანარჩენს ჩვენ წავიღებთ და გავიყოფთო. მე იგივე ვუპასუხე: ცოიგჰაუზის სიახლოვეს არ დაგინახოთ, თორემ ჩემი პარაბელლუმის ტყვიები არ აგცდებათ-მეთქი.

ერთ დღეს საოცარი რამ ვნახე: ჩვენი გემით მიმავალ დამფუძნებელი კრების დეპუტატს, ბერნშტაინს ცოიგჰაუზის ერთ-ერთი ბოქსის კლიტენი დაემსხვრია, სათავსოში შესულიყო და ძვირფას მედიკამენტებს აწყობდა თავის ჩემოდანში. როცა იგი შევრისხე ასეთი უწესრიგობისათვის, ბოდიშის ნაცვლად აიფხორა და მითხრა: „თქვენ ვიღაც უპარტიო კაცი ხართ, მე დეპუტატი, როგორ მიბედავთ დაკონტროლებას. ეს ყოველივე სახელმწიფო ქონებაა, ხოლო მე მენშევიკური მთავრობის წევრი გახლავართ". ამ კუზიან კაცს სავსე ჩემოდანი წავართვი, ბოლოს მკლავზე წავავლე ხელი, პანღური ამოვკარი და ვუთხარი: „გემის კომისსარი მე ვარ, ამ წუთში დასტოვეთ ცოიგჰაუზი, თორემ იცოდეთ, ძაღლების კუნძულზე[1] გადაგსვამ-მეთქი."

ბერნშტაინი გახელდა, მარჯვენა მომიქნია, მაგრამ მე მას მაგრად ვუთავაზე სილაქი. ბოლოს ჩემმა ნაცვალმა კაჭარავამ ძლივს გაათრია გემბანზე იგი.

საქმე, საზრუნავი და საბრძოლო იმდენი იყო, მე ჭამისათვისაც ვეღარ ვიცლიდი. წვერის გაპარსვა დავთმე და ებრაელების რაბინს დავემსგავსე. დღე და ღამ-გემის ტრიუმში ძრომისაგან მჭვარტლით ამოიგანგლა მოლალურისფერი ჩემი ფრენჩი. ჩემი თანაშემწეები კონცლაგერებში მიღებულ წამებისაგან ისე ქანცმილეულნი იყვნენ, შეღამდებოდა თუ არა ბაღლებივით ეძინებოდათ. მათი საცოდავობით შეძრული, ნიადაგ ვასრულებდი მათ საქმეს, მე მთელი თვისა და ხუთი თვის მანძილზე არ მეძინა. მზვერავებს, გუშაგებს, მსროლელებს, სანიტრებს თავზე ვადექი ნიადაგ. ტყვეყოფილებს ხან ვუწყრებოდი, ვემუქრებოდი, ხანაც ვეფერებოდი და ასეთი წვალებით მიმყავდა ეს უბედური ადამიანები შინისაკენ. გამუდმებულად ვებრძოდი ხან ინგლისურ საზღვაო ადმინისტრაციას, ხან დამშეულ ვირთხებს, ხანაც ჩვენს გემზე „გამაგრებულ" პოტენციურ მტაცებლებსა და ქურდებს. ყველაზე მეტად მძიმე აღმოჩნდა გიჟების მოვლა და მათთან ბრძოლა. ახლა მათ აიხირეს: გამსახურდიას ომში მივყავართო. ბევრი ვუჩიჩინეთ მათ მე და ჩემმა თანაშემწეებმა, მაგრამ ვერაფერი შევასმინეთ. ბოლოს ისე გართულდა საქმე, განკარგულება გავეცი და თოკებით შეკრეს ეს უბედურები, რადგან ისინი გემის ადმინისტრაციას დაერიენ და ცემა დაუპირეს. დღე და ღამ ღრიალებდნენ სულით ავადმყოფები: არ გვინდა ომი, არ გვინდა სამშობლო, ზღვაში გვაბანავეთ, ეს გვირჩევნიაო. გემზე აღმოჩნდა ერთი აბაშელი ექიმბაში, რომელმაც გვირჩია: გააშიშვლეთ და ზღვის წყალი ასხითო. ამ ღონისძიებამ გასჭრა, გათოკილ გიჟებს მისდგებოდნენ და ზღვის წყალს ასხამდნენ თავზე. ოცდათხუთმეტი დღის შემდეგ ვუწიეთ საქართველოს სანაპიროებს. ფოთის ქალაქის გამგეობის თავმჯდომარეს რადიოთი შევატყობინე: სამხედრო ტყვეები მომყავს, ვაგონები დაგვახვედრეთ-თქო. პასუხიც არავინ გამცა. ახლა ნაყაჩაღარმა მეგრელებმა და გურულებმა, ულტიმატუმი შემომითვალეს. ჩვენი კაცი ხარ და ეს ორმოცი ვაგონი საქონელი ძმურად გავიყოთო. მათ იგივე პასუხი და მუქარა შევუთვალე და როგორც იქნა, დავადუმე. გათენებისას ბიჭები გავგზავნე ფოთს და ფოთის ქალაქისთავი გავაღვიძებინე. როგორც იქნა მობარბაცდა ეს დამთხვეული კაცი და მისალმების უმალვე პურმარილი შემომთავაზა. მე მივუგე: „მე დალოცვილო, რა დროს პურმარილია, ვაგონები გვაშოვნინე-მეთქი". სამი დღის შემდეგ ძლივს ვეღირსეთ ვაგო-

---

[1] დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო", 1963, № 35; „მნათობი", 1963, №№ 8, 9, „ლიტერატურული საქართველო", 1991 წ. № 27.

[1] ცაიგჰაუზი — საკუჭნაო, ნივთების, საქონლის შესანახი სათავსო.

1. ძაღლების კუნძულს ბიზანტიელების დროს ერქვა პრინცების კუნძული. იქ აგზავნიდნენ მეამბოხეებსა და ბანდიტებს. ისინი მდებარეობენ სტამბოლის მახლობლად.

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(გაგრძელება)

ნებს. სამხედრო ტყვეები ვაგონებში ჩავსხი და როგორც იქნა გავისტუმრე. თავიანთი ანაბარები დავურიგე და სოფლებში დავგზავნე. ფოთში „გუგულები" გარს შემომეხვივნენ, ჯერ ბოდიში იხადეს, მერე დიდი მადლობა მითხრეს საქართველოში ჩამოყვანისათვის. ბერნშტაინმა ტფილისში ჩასვლის უმალვე დამაბეზღა ჟორდანიასთან: გამსახურდიამ უმართებულოდ მცემა და ძაღლების კუნძულზე მიპირებდაო გადასმას. ბერნშტაინმა ურცხვად იცრუა კვლავ: მე მუცლის გვრემამ მომიარა, ცოიგმაუზში შევედი და ხათაბალა წამალს ვეძებდიო. მე შევახსენე ბერნშტაინს მის მიერ კლიტეების დამსხვრევისა და მედიკამენტებით სავსე ჩემოდნის ამბავი. ჟორდანიამ მწარედ გაიღიმა და უთხრა ბრალდებულს: გამსახურდია კანონიერად მოგქცევია, სახელმწიფო ქონების მიტაცებისათვის რომ უცემიხართო. ახლა მე მომმართა და ღიმილით მითხრა: ეს ძაღლების კუნძული რა ეშმაკიაო? მე განვუმარტე მას ამ კუნძულის ამბავი, თანაც დავძინე, ამ რამდენიმე წლის წინათ ძაღლები მეტად მომრავლდნენ სტამბოლის ქუჩებზე. ცნობილია, მუსულმანებს ძაღლები სძაგთ. სულტანმა ბრძანა და ის უბედური ძაღლები მოაქუჩეს და იმ კუნძულზე გადასვეს. იქ მათ ერთმანეთი დახჭამეს, ბოლოს ამიტომაც დაერქვა პრინცების კუნძულს ძაღლების კუნძული.

იმ ჟამად საგარეო-საქმეთა სამინისტროში თანამშრომლობდა ჩემი მეგობარი ალექსანდრე აბაშელი. მე მას ჩავაბარე ორასი ათასი გირვანქა სტერლინგი, ორმოცი ვაგონი საქონლის ფაქტურები, შვიდასი ინგლისური კოსტიუმი და გზაში გაწეული ხარჯების ქვითრები. ბერლინური საელჩოს დაბნეულობა და უგულობა იმაშიც გამოიხატება, რომ მე და ჩემს თანამშრომლებს არ გვითხრეს რამდენი დაგვეხარჯა ამოდენა გზაზე. ამიტომაც მე დავუნიშნე ჩემს თავს ხულ თორმეტიოდე გირვანქა სტერლინგი, თანაშემწეებს ათ-ათი. სოუხემპტონში, მარსელში, გიბრალტარში, მალტაში, სტამბოლში ჩვენ ვიძენდით აუცილებელ სურსათს. ეს ფული მე ჯერ კიდევ სტამბოლში გამითავდა, ჩემი დანაზოგი დავხარჯე, დედაჩემს ერთი ინგლისური საკოსტიუმე ვუყიდე. არ დამავიწყდეს, ბარე ორი ათასი გირვანქა სტერლინგი ვარგუნე გემის კაპიტანს, ლოცმანს, რადისტს, რაზმელებს, სანიტარებსა და ღამის გუშაგებს. საელჩოს არც ის მოფიქრებია, თავისი წარმომადგენელი ჰამბურგს წარმოეგზავნა და ამ სახიფათო გზაზე მიმავალი უბედური ხალხისათვის გზა-მშვიდობისა მაინც ეთქვა.

ტფილისში დაბრუნებიდან ორიოდე კვირის შემდეგ ... ჩვენი სახელგანთქმული ... [illegible]

[illegible]



[illegible]

„ვარდს რომ ასე ჰქონდა ბედი, ზოგჯერ ... ეკლისა?

ვერცხლს ... ბრუნებს ...“[2]

[illegible]

1 ფუროლაინ — გაუთხოვარი ქალი

1 უაზრობა

2 შამ, რატომ გადახვეწეს ისინი ცოლით, წამდეილი მეფეები რომ ყოფილიყვნენ, უეჭველად დარჩებოდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ბელა შალვაშვილი

## თავისუფლება იბადება ამ ღელვის მერე

ღელავს, დგანდგარებს საქართველო, ფეხზე დგას ხალხი,
ადუღებულა ერთიანად ხნეცა და ბალღიც;
მიძინებული ანთებულა ქართული სული,
აუტანია სულიერი ერთადერთ სურვილს,
რომ თავი თვისი ეყუდვნოდეს მხოლოდ თავადვე,
იფურჩქნებოდეს ყოფა მისი თავისთავადი.
ღელავს, დგანდგარებს უძველესი იბერთა მხარე,
ეიმედება, საკადრისი, მზიანი ხვალე;
ქართული სულის გახელება არის ისეთი,
რომ გაითენებს დღეს შესაფერს თავის ღირსების;
ვერავის გულში უპოვია სიმშვიდეს ბინა,
იმათ გულშიც კი, ვისაც უკვე საფლავში სძინავს,
ვერ ნახავთ გულგრილს თვისი მიწის ბედისა გამო,
დღე აღარ დღეობს, რა ხანია, არც ღამე ღამობს;
ღელავს, დგანდგარებს საქართველო, ზღვა რაა მასთან,
თავისუფლების წყურვილი უჩანს სიცოცხლის არსად.
სამყაროს შეძრავს ახლა თითო ქართული გული,
ეს თითო ზვავი, ხოლო გულად — უბრალოდ თქმული;
ამ თითო გულის ღელვა შეძრავს თუგინდაც ხმელეთს,
თავისუფლება იბადება ამ ღელვის მერე;
ღელავს, დგანდგარებს საქართველო, ზღვა რაა მასთან,
თავისუფლება უჩანს თავის არსობის არსად!

## გაზაფხულის კეთილი ნება

ჩახჩახებს წითლად — გაზაფხული თავისას ჰყვება,
მჭვრეტელი მისი თავისსავე ნებაზე მიჰყავს,
ამ ყვავილს გარდა მე წითელი არცარა მიყვარს,
დგას ბროწეული, ეს ბრიალა, შიშველი გზნება.

ეს ყვავილობა — გაზაფხულის კეთილი ნება,
სიცოცხლისათვის ამაჩქვიფებს, სიმშვიდეს მრიყავს,
ამ ყვავილს გარდა მე წითელი არცარა მიყვარს,
სიწითლე ეგე ჰგავს საბრძოლოდ შემოკრულ ებანს.

ო, ბროწეულის ეს სიწითლე მენთება გზნებად,
და შთამაგონებს: სიმშვიდესთან მებრძოლი იყავ!
მეჩურჩულება: დროა, ხელი მახვილზე იკარ!

რაც დღესა ხდება, ყველაფერი დროულად ხდება...
უფლის ნებაა ერი ჩვენი საითაც მიჰყავს...
ბროწეულს გარდა სხვა წითელი არცარა მიყვარს.

## უფალი მართავს

ჩემი გოგონა დღენიადაგ დროშასა ხატავს,
შინდისფერია დროშა იგი, შავ-თეთრი ზოლით,
ხატვის დროს, ვხედავ — სიამაყით არა ჰყავს ტოლი,
ღაწვები უგავს საოცნებოდ გადაშლილ ატამს.

არავინ ქვეყნად არ ჰკარნახობს ამ დროშის ხატვას,
გარდა საკუთარ სურვილის და უწრფელეს ნების,
მისი ამ ნებით ვამაყობ და ჩუმჩუმად ვტკბები,
კიდეც მგონია, უდიდესი ამიხდა ნატვრა.

მე — თავი წყარო და გოგონა ამ წყაროს წილი
და თითქოს რაა გასაკვირი, — ჩემს ფიქრებს ამხელს;
ყოველ სანუკვარს არქმევს იგი საყვარელ სახელს;

საქართველოო, ქართველიო... უნათლეს დილის
ღიმილს ჰგავს მისი გაღიმება ასეთ დროს, მართლაც,
მის ამ წრფელ ნებას, ჭეშმარიტად, უფალი მართავს.

## პორტრეტის ჩანახატი

ძალზე უბრალო და ბუნებრივი,
კდემამოსილი, ცამდე ალალი...
ეს კაცი, თითქოს ჩვეულებრივი,
ჩვეულებრივი კაცი არ არის.
არადა, დადის ჩვეულებრივად, —
მცირე ზეობით, ზღვა სიმძიმილით...
ბედმა სხვაგვარად გაანებივრა, —
გასაოცარი იცის ღიმილი.
კაცი ასეთი ღიმილით იგრძნობა,
კაცი ამგვარი ღიმილით იცნობა,
კაცი იმგვარი ღიმილით იძმობა,
წულეისკირმა რომ იცის.
გზნებას უწვრთნიდა ბანძის მიდამო,
ფრთებს უსწორებდა ნოლას მინდორი,
სიტყვას უხვეწდა ტანჯვით მდიდარი —
ჰანგი, დიადი სევდის მზიდავი, —
„ნანა“ — ნათელი დარდის მთესავი,
„ჩელა“, — იდუმალ გზნებით მმართავი...
მისი სიმაღლის წყაროც ეს არის,
სათნო ღიმილის თავი-სათავეც;

...კაცი ასეთი ღიმილით იცნობა,
ასეთი ღიმილი აქვთ რჩეულებს,
კაცი ისეთი ღიმილით იცნობა,
ნოდარ წულეისკირს რომ სჩვევია.

## მოდი, ვისურვოთ!

შემოუმტვრია გაზაფხულმა ზამთარს კარები,
სრულად მიულეწ-მოულეწა ყინულის ბჭენი,
მოდის, მოღმუის მოტორტმანე ნიაღვარები,
ეს გახელება როგორ მიყვარს, ბუნებავ, შენი!
ზამთრის ძილ-ბურანს იორთქლებენ მინდორ-ველები,
თოვლშერჩენილი იზმორება მაღალი ქედი,
ხევები მიიწ-მოიწია ხველებ-ხველებით,
ცხოველმყოფელობს მზე, მარადი მშვიდობის მტრედი;
ჰა, სილაღისთვის შეისწორეს ფრთები ფრთოსნებმა,
სილაღისათვის მოუხმობენ ყველა მისიანს...
ფრთებს, ფრთებს ისწორებს, რა თქმა უნდა, ჩემი
ოცნებაც,
როდის და საით გამიტაცებს, ნება მისია.
ამოდის ია, მწველი, როგორც პირველი ტრფობა,
ჩანს ყოჩივარდა, ვით ალმური პირველი კოცნის,
ფრფვინავს ენძელა, გაზაფხულის გულღია ოდა
და ფურისულა, ვით დალალვა მხურვალე ლოცვით;
ფოფინებს, ფეთქავს, დაჰიატებს ნაირფერები,
ამიყოლიეს, ამამჩატეს ნაირფერებმა,
მოდი, დავლიოთ გაზაფხულის ამ გახელების,
მოდი, ვისურვოთ არდაცხრომა და გახელება!

## მაგრამ... ის არის

არ მიყვარს ჩემი ასაკის ქალი,
საცოდავია ჩემი ხნის ქალი,
იგი, ცხადია, არცაა ქალი,
არის კი უფრო ყოფილი ქალი.
ყოფილი ქალი, ყოფილი სატრფო,
ყოფილი სძალი, ყოფილი ცოლი...
შერიგებია გარემოს ნაცნობს, —
ჩამქრალი მზერით, ჩამცხრალი თრთოლით;
მაგრამ, ო, არა, მილეულ ძალით
ყველას ჰპატრონობს ქალი და დედა...
კი არის იგი ყოფილი ქალი,
მაგრამ ის არის, ჯერ ისევ დნება...

# ირინე უშვერიძე

●

სასაფლაოზე
გავივლი,
ოდეს,
ვათვალიერებ
საფლავის ლოდებს.
— აქ განისვენებს...
— აქ განისვენებს...
ვკითხულობ და თვალს
ცრემლი მისველებს.
მაინც მამხნევებს
ერთი რამ დღემდე:
ქართული ცოცხლობს, —
ქართველის შემდეგ.

## ყვავილწნული

თავსამკაულად გვირგვინს ვიკეთებ —
ყვავილით დაწნულს ნაირფერებად.
ავსებული ვარ ნათლის სიკეთით
და ბნელის ჩრდილი ვერ მომერევა.
მეკეცებიან თუმცა მუხლები,
ჩაუხრელად რომ ალმა უვლიათ.
ო, სული ჩემი,
ნელშეუხები,
უბევრეს კრძალვით
დალალულია.
თავსამკაულად გვირგვინს ვიკეთებ,
რომ მზის სხივები მე დამნათოდეს.
და ჩემს ყვავილწნულს ასე ავიტან
დაღლილ მუხლებით საალმართოზე.



მცხეთის ჯვარზე.
ზურაბ დათუაშვილის ფოტო

# გურამ მიროტიანი

## და მამის ზეცას...

— ო, მოგზაურო, სთქვი, რა დაინახე, რა მოგესმა, რა შეიგრძენი?
— მე დავინახე საქართველო კავკასიონის მწვერვალებიდან:
ლურჯ ხეობებში ვერცხლის ძეწკვებად გაწოლილი მდინარეები,
სამხრეთის მზეში მობანავე ოქროს ყანები,
ციცაბო მთებზე ალმართული ციხე-კოშკები,
თავზე ჩაჩქანად რომ ახურავთ თეთრი ღრუბლები
და მწვანე ტევრებში აგებული თეთრი ტაძრები,
რომელთა ჯვრები ლივლივებენ ცხრათვალა მზის ათინათებით
და ისწრაფვიან მაღლა, სულ მაღლა, ნაზ სილურჯეში.
ვიდექი ქიმზე, თეთრ ღრუბლების ქვეშ,
გადაშლილიყო ფერად ძაფებით ნაქარგი გობელენი.
მაგრამ უეცრად ჩამოწვა ღამე,
თვალშეუვლები დადგა უკუნი,
მერე ინათა, ცა შეიღება მეწამულ ფერად,
განათდა ჟამი
და დავინახე ქალღმერთის ქანდაკებები, სასახლეები,
აჰა წალკოტი — ჰეკატეს ბაღი,
სადაც ყვაოდა სამკურნალო ყვავილ-ბალახი...
კადრი კადრს ცვლიდა,
ცის ეკრანზე აშრიალდა ვეება მუხა,
რომლის ტოტზე ეკიდა ოქროს საწმისი...
და ეს იყო ძველი კოლხეთი!
დილით ვიხილე მზის ამოსვლა ყველაზე უწინ,
როცა მთებში პირველი ნისლი ფერდობებიდან იფანტებოდა.
და იმ ადგილზე მე შევნიშნე ჯაჭვის ნაწყვეტი,
სადაც სალ კლდეზე მიჯაჭვული იყო პრომეთე...
ოკეანეს აქვს თვისება მოქცევისა და უკუქცევის,
მაგრამ მრწამსი ერთადერთია,
რომელიც უძლებს ქარიშხლებსა და მეხთატეხებს
და საქართველოც მედგრად იბრძოდა ქრისტეს სჯულისთვის:
იყო დიდგორი, ბასიანი, მარაბდისა და შამქორის ველი...
და შენ, უცხო ტომის ნაშიერო, ტრამალის მკვიდრო,
შენს ტიალ ველზე რატომ ვერ ეტევი,
რას ემართლები ამ ამაყ მხარეს?!
ვით საკუთარ სახლში, ისე იქცევი,
ეპატიჟები მავანს და მავანს,
რომ ქართველმა, მისმა ჯიშმა, ვერ გაიხაროს.
მე დავინახე საქართველო კავკასიონის მწვერვალებიდან
და ერთ დროს, დიდი დავით მეფის ნაძერწი ქვეყნიდან —
ტორსიღა დარჩა,
შთამბეჭდავია მაინც იგი და მომხიბლავი,
ახლა კი მას დამსხვრევითაც ემუქრებიან,
მაგრამ ყველაფერს ბუნება ბადებს
და აქაურ, საოცარ ბავშვებს,
ჯანსაღი ერის უელავთ თვალი,
მზის საგალობლებს მღერიან კიდევ
და ესმის ზეცას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილი რედაქციას

წავიკითხეთ „ლიტერატურული საქართველოს" 5 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული თენგიზ გოგოლაძის „ლიტერატურულ საქართველოს" რედაქციას". წერილის პათოსი და ავტორის გულისტკივილი სამართლიანია. პრობლემა, რომელიც დადგა საგამომცემლო ორგანოების წინაშე, საგანგაშოა და დროულად უნდა გადაიჭრას.

ჩვენ მხოლოდ ერთ უზუსტობაზე, უფრო სწორად, ერთ მცდარ მოსაზრებაზე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება. კერძოდ, ერთგან იგი წერს: „ამას წინათ გამომცემლობა „მერანი" ყოფილ კომიტეტს, აწინდელ დეპარტამენტს გამოეყო და გადავიდა მწერალთა კავშირის გამგებლობაში.

ეს ფაქტი სიხარულით აღვიქვით. გამომცემლობის მუშაკებისა და მწერლების შეხვედრაც მოეწყო მწერალთა კავშირის კლუბში. მთლად უიმედოდ არ დავშლილვართ, მაგრამ არც სიხარული განგვიცდია... სულ მალე გამოირკვა, რომ საბეჭდი ქაღალდი ისევ დეპარტამენტმა უნდა მისცეს „მერანს", ქაღალდი, რომელიც დეპარტამენტს არ გააჩნია. სტამბებიც მან უნდა დაგვითმოს, სადაც კოოპერატივები ბეჭდავენ თავიანთ პროდუქციას.

საკითხავია, მაშ რისთვის გამოეყო „მერანი" დეპარტამენტს, თუკი მწერალთა კავშირი ვერ მოუვლიდა? (ხაზი ჩემია გ. ფ.).

ხედავთ, მეგობრებო, რა იოლად, ფაქტის შეუმოწმებლად გაგვწირა ავტორმა?!

კარგი იქნებოდა, რედაქციის სათანადო განყოფილებას, რომელმაც ამ წერილის დაბეჭდვას ვიზა მისცა, დაერეკა მწერალთა კავშირში, გაერკვია საქმის ნამდვილი არსი, გაეცნო იგი წერილის ავტორისათვის. ისიც, ვფიქრობთ, სათანადო კორექტივს შეიტანდა თავის პრინციპულად სწორ წერილში და აღარ გახდებოდა საჭირო ამ ახსნა-განმარტების გამოქვეყნება.

მაშინ ჩვენ ავუხსნიდით წერილის ავტორს, რომ მწერალთა კავშირის მოთხოვნა, რომელსაც რესპუბლიკის მესვეურები დიდი ყურადღებით მოეკიდნენ და ჩვენს მიერ დაყენებული საკითხები დადებითად გადაგვიჭრეს, უფრო ფართო მიზნებს ისახავს, ვიდრე მხოლოდ საგამომცემლო საქმეა. კერძოდ, მწერალთა კავშირმა ერთ მთლიან სისტემად გააერთიანა „მერანი", „ლიტერატურული საქართველო", „მნათობი", „ცისკარი", მხატვრული თარგმანის საგამომცემლო — საკოორდინაციო ცენტრი, „განთიადი", „კრიტიკა", „საუნჯე", „ლიტერატურნაია გრუზია".

თავის მხრი... ული მათგანი შეინარჩუნებს ...მოუკიდებლობას და მას ეყოლ... ...ოლოდ ერთი ხელმძღვანელი — მწერალთა კავშირი. ეს იქნება არა მხოლოდ ერთი მთლიანი შემოქმედებითი სისტემა, სადაც მწერალთა კავშირი და მწერლები თვითონ გაარკვევენ და გადაწყვეტენ შემოქმედებით მიმართულებებსა და კონკრეტულ საკითხებს, არამედ საბაზრო ეკონომიკისა და თვითდაფინანსების პირობებში, როცა აღარ იარსებებენ საბიუჯეტო ორგანიზაციები, ეს იქნება ერთი მთლიანი ფინანსური კავშირიც.

დღემდე „მერანი" ეკუთვნოდა როგორც მწერალთა კავშირს, ასევე ყოფილ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს. ფაქტობრივად, „მერანი" მხოლოდ ფორმალურად ეკუთვნოდა მწერალთა კავშირს. მოგეხსენებათ ორგანიზაცია იმისაა, ვისთანაც იგი ფინანსურად არის დაკავშირებული და დამოკიდებული. არცერთი კაპიკი მისი მოგებიდან მწერალთა კავშირს არ რჩებოდა.

ამჟამად „მერანის" მიერ მოგებული თანხა თვით გამომცემლობასა და მწერალთა კავშირს დარჩება. უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ჩვენი დაყენებული მოთხოვნით და მთავრობის მხარდაჭერით, მწერალთა კავშირის ორგანიზაციები გაანთავისუფლეს გადასახადებისგან, ხოლო „მერანს" აღარ გადაახდევინეს ის შვიდასი ათასი მანეთიც, რომელიც შარშან უნდა გადაეხადა, დიახ, ჩვენ გვინდა შევქმნათ მძლავრი ფინანსური სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გვქონდეს საკუთარი თანხები შემოქმედებითი მივლინებებისათვის, მწერალთა ერთდროული დახმარებებისათვის, მშენებლობებისათვის, საზღვარგარეთ მწერალთა მივლინებისათვის, უცხოელი სტუმრების მიღებისათვის, საიუბილეო საღამოების მოწყობისა და სხვა მრავალი ღონისძიებებისათვის.

ამ მიმართულებით სხვა ნაბიჯებიც გადაიდგა. კერძოდ, შევქმენით სამშენებლო სამმართველო, რომლის მთლიანი დატვირთვის შემდეგ მწერალთა კავშირს მნიშვნელოვანი შემოსავალი ექნება. ასევე, მწერალთა კავშირის პოლიკლინიკას ხელშეკრულებები დავადებინეთ თეატრალურ საზოგადოებასთან, მხატვართა, დიზაინერთა, კინომუშაკების შემოქმედებით კავშირებთან, რის საფუძველზეც მათი ხელფასი ორჯერ და მეტჯერ გავზარდეთ. მწერალთა კავშირი ხელშეკრულებებს დებს სხვა ასოციაციებთანაც, რომლის თაობაზეც, ალბათ, სხვა დროს ვისაუბრებთ.

საბეჭდი ქაღალდი „მერანს" ისევ დეპარტამენტმა უნდა მისცესო, — წერს თ. გოგოლაძე. საიდან გამოიტანა მან ასეთი დასკვნა? მთავრობის დადგენილებაში სწერია და ამაზე არც ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტს განუცხადებია უარი, რომ გამომცემლობა „მერანს" გადაეცა ყველა თავისი ფონდი და ლიმიტი. ისიც გვინდა დავძინოთ, რომ მომავალი წლისათვის მწერალთა კავშირმა „მერანისათვის" დამატებით 500 ტონა, ხოლო მხატვრული თარგმანის საგამომცემლო-საკოორდინაციო ცენტრისათვის 800 ტონა ქაღალდი მოითხოვა. მთავრობისგან დამაკმაყოფილებელი პასუხი მივიღეთ. მომავალი წლისათვის სათანადო განაცხადი უკვე გავაკეთე და ჩავაბარეთ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს.

გამომცემლობა „მერანის" მწერალთა კავშირში გადმოსვლა ჯერ კიდევ გაფორმების სტადიაშია და, ვფიქრობთ, ძალზე ნაადრევია თ. გოგოლაძის დასკვნა: „საკითხავია, მაშ რისთვის გამოეყო „მერანი" დეპარტამენტს, თუკი მწერალთა კავშირი ვერ მოუვლიდა?".

ბარემ სტამბაზეც ვიტყვით ორიოდე სიტყვას. საკუთარი სტამბა ჯერ არ გაგვაჩნია, თუმცა „მერანმა" უკვე შეიძინა კომპიუტერული ტექნიკა, რაც დიდად შეგვიწყობს ხელს წიგნების აწყობაში. მოგეხსენებათ, ეს ყველაზე ჩამორჩენილი უბანია ჩვენს პოლიგრაფიაში. ამავე დროს, ჩვენი თხოვნით, დეპარტამენტმა მოგვამაგრა № 1 სტამბა, აგრეთვე შეგვინარჩუნა ლიმიტები წიგნის ფაბრიკასა და სხვა სტამბებში.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მწერალთა კავშირი არ იბრძვის სტამბის მოსაპოვებლად. ჩვენ მოთხოვნილი გვქონდა კიდეც № 1 სტამბა, მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებით მის გადმოცემაზე დროებით უარი განვაცხადეთ. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი როდი აპირებდა სტამბის დათმობას.

ჩვენი უკან დახევის მიზეზი კი სულ სხვა რამ გახლავთ. იქ ჯერ არ იყო დამონტაჟებული საროტაციო მანქანა, ურომლისოდაც შეუძლებელია დიდტირაჟიანი წიგნების ბეჭდვა. ამჟამად პირველ სტამბაში მიმდინარეობს როტაციის დამონტაჟება. მწერალთა კავშირი კვლავ აახლებს თხოვნას საქართველოს მთავრობას, კვლავაც განვაახლებთ ბრძოლას № 1 სტამბის მოსაპოვებლად. იმედი გვაქვს, ამჯერად ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი გაგებით მოეკიდება ჩვენს კანონიერ მოთხოვნას.

ამჟამად ვაშენებთ „მერანის" საწყობის შენობას ლილოში, მწერალთა კავშირის მიერ ამ წლინახევრის უკან მოპოვებულ საქმიან ეზოში, რომლის ფართობი თითქმის ორი ჰექტარია.

თ. გოგოლაძე ერთ ადგილზე ბუნდოვნად წერს: „...ხოლო პენსიაზე მყოფნი თვეში ერთხელ ჩაითვლიან თავიანთ სამათხოვრო პენსიას (კომპენსაციით!), ლიტფონდის ასევე მათხოვრული დანამატითურთ (რომელსაც აწი მისცემენ თუ არ მისცემენ, ღმერთმა უწყის) და ამით დამთავრდება ქართველი მწერლების საქმე".

რომელ დანამატზეა აქ საუბარი? მკითხველს არ ეგონოს, რომ ამ დანამატს (100 მანეთს) საქართველოს ლიტფონდი იძლეოდა. იგი საკავშირო ლიტფონდიდან მოსდიოდა ჩვენს პენსიონერ მწერლებს.

როდესაც საკავშირო მწერალთა კავშირს გამოვეყავით, ჩვენ სათანადო ინფორმაცია მივაწოდეთ პენსიონერ მწერლებს და ვაცნობეთ, რომ საქართველოს ლიტფონდი მათ დასახმარებლად ჯერჯერობით ვერავითარ თანხას ვერ გაიღებდა. თან ისიც დავძინეთ, რომ ყოველ მათგანს ჰქონდა უფლება, დარჩენილიყო საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრად და კვლავ მიეღებდა საკავშირო ლიტფონდის დახმარებას. და თუ გამოყოფაზე თანხმობა განვაცხადეთ, დამეთანხმებით, აღარ ღირს ამ დახმარებაზე წუწუნი. ზემოჩამოთვლილ ღონისძიებებს კი იმიტომ ვატარებთ, რომ მომავალი წლიდან შევძლოთ ცოტა მეტი თუ არა, იგივე თანხით მაინც დავეხმაროთ ჩვენს პენსიონერ მწერლებს.

და ბოლოს უნდა მოგახსენოთ, რომ ამჟამად მწერალთა კავშირში მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა წყდება, რომელთა შესახებაც შემდგომ გვექნება საუბარი.

**გურამ ფანჯიკიძე**

# ჭეშმარიტად სახალხო შემოქმედი



მუსიკალური თეატრის ვეტერანი, სახალხო არტისტი, ყველასათვის საყვარელი ვახტანგ სალარიძე 80 წლისაა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ასაკის ადამიანის ცხოვრებაში გარკვეული და განსაკუთრებული ნიშანი აქვს, 80 წელი მსახიობისთვის, ბედნიერებასთან ერთად, ერთგვარი ნაღვლის მომგვრელიცაა, მაგრამ თუ გადავავლებთ თვალს განვლილ წლებში და დღესაც მის შესანიშნავ შემოქმედებას, მისგან შექმნილ სახეთა ვრცელ გალერეას, სიამაყით ივსები და ნაღველს საოცარი აღფრთოვანების გრძნობა ფარავს. საამაყოა ის, რომ თითქმის სამი ათეული წელი ასეთი შემოქმედის გვერდით იმყოფები — სცენაზეა ეს, თუ ცხოვრებაში — და ბევრი სასიკეთოს სწავლა შეგიძლია მისგან.

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი ამ შესანიშნავი ხელოვანის შემოქმედებაში?.. ჩვენი ჟანრის დიდი სირთულე ისაა, რომ მსახიობი ერთნაირად უნდა ფლობდეს მაღალ სამსახიობო ოსტატობას, ვოკალურ საშემსრულებლო ტექნიკასა და პლასტიკას, რაც ძალიან იშვიათია, ბატონი ვახტანგი კი სწორედ სინთეზური მსახიობია. სწორედ ამიტომაა, ყოველი მისი შექმნილი სცენური სახე უდიდესი სიმართლითა და საოცარი მიმზიდველობით რომ გამოირჩევა. დიდებული ოსტატია იქ, სადაც გმირის ხასიათია გამოსაკვეთი. ამის თვალსაჩინო მაგალითია ბოლო წლებში მისგან შექმნილი ძია შაქროს სახე „მეტეხის ჩრდილში". ამ სპექტაკლში მე მისი უშუალო პარტნიორი ვარ და, ვხედავ, რა დიდებული ოსტატობით მიჰყავს ყოველი სცენა და დიალოგი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მის მიერ შესრულებული არია, სადაც საშემსრულებლო ოსტატობა უმაღლეს დონეს აღწევს. როგორ გრძნობს ყოველ ფრაზას, ყოველ ნიუანსს, როგორ განიცდის და რა საოცარი შთაგონებით მოაქვს ეს განცდა მსმენელამდე.

ბატონი ვახტანგი თეატრის სინდისია... შეურიგებელია ყველასთან, ვინც კი ოდნავ მაინც არაჯანსაღ ნიუანსს შეიტანს თეატრის ცხოვრებაში, პირდაპირია და უკომპრომისო... ძნელია იმის გადმოცემა, თუ როგორ განიცდის თეატრის ყოველგვარ სატკივარს, განსაკუთრებით მაყურებლის ნაკლულობას საერთოდ თეატრებში და ჩვენთანაც. მოგეხსენებათ, მაყურებლის გარეშე თეატრი არ არსებობს. სულ ცოტა ხნის წინ არათუ პრემიერაზე, რიგით სპექტაკლებზეც ბილეთი ძნელად იშოვნებოდა, ახლა კი?! მართალია, ჩვენი თეატრის შენობა ახლად შენდება და წარმოდგენებს „სხვის მოედანზე" ვმართავთ, მაგრამ მაინც მთავარი მიზეზი ეს არ არის... მე მჯერა, ბატონო ვახტანგ, რომ თეატრი მალე აშენდება და ქართველი მადლიანი მაყურებელი, რომლის სულიერი ცხოვრება ყოველთვის თეატრთან იყო დაკავშირებული, კვლავ გაავსებს დარბაზებს. და თქვენს უბერებელ ნიჭიერებას ბევრი ახალი თაყვანისმცემელი გაუჩნდება.

მცირე მოგონებაც. ჩემი დებიუტი თეატრში კალმანის ოპერეტა „ცირკის პრინცესაში" მისტერ იქსის როლით დაიწყო. მახსოვს როგორ თბილად და გულწრფელად მომილოცა ბატონმა ვახტანგმა ახალ, დამწყებ მსახიობს გამარჯვება. და აი, მეორე, მომდევნო სპექტაკლი შოთა მილორავას მუსიკალური კომედია „სიმღერა თბილისზე", რომელიც 12 წლის მანძილზე უწყვეტი „ანშლაგებით" მიდიოდა და რომელშიც ბატონი ვახტანგი მთავარი როლის — გურამის ბრწყინვალე შემსრულებელი გახლდათ. ამ როლში ბატონი ვახტანგი უნდა შემეცვალა... მთელი ღამეები ძილი არ მეძინა. საოცარი შიში მიპყრობდა... პირველი გენერალური რეპეტიცია გვიან ღამით დამთავრდა. თბილისში იმ დროს საკმაოდ გრილი საღამოები იყო. რატომღაც პიჯაკი არ მეცვა. ბატონმა ვახტანგმა თეატრის ეზოში გარეთ გამოსული რომ დამინახა, თავისი პიჯაკი მომახურა და მისაყვედურა: „მალე პრემიერა გაქვს სათამაშო და გაცივდებიო".. ამ სიტყვებმა საოცარი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე... ყოველგვარი შიში მომხსნა.

ეს დღე დაუვიწყარია ჩემთვის...

ჩემო ბატონო ვახტანგ, კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადებიდან 80 წლის თავს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და თქვენი საყვარელი თეატრის სცენაზე, თქვენი, უბერებელი ნიჭიერებით კიდევ და კიდევ ბევრი როლის, საინტერესო სახეების შექმნას, რაც ასე დიდ სიამოვნებას გვანიჭებს ჩვენ ყველას.

**ნოდარ პიპინაშვილი**
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

# სცენაზე „თეთრი ტალღა"

საზეიმო განწყობილება სუფევდა სამი დღის განმავლობაში სოხუმის მასწავლებელთა სახლის ზღაპრულად მორთულ დარბაზში. ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ნორჩები ეპატიჟებოდნენ პრემიერაზე მოწვეულ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვახტანგ ყოლბაია, ქალაქის საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადა სოხუმის ბავშვებს ქალაქის მოსწავლეთა ქართულმა თეატრალურმა სტუდიამ „თეთრმა ტალღამ", რომელიც სულ ნახევარი წელიწადია რაც არსებობს, მაგრამ პოპულარობა უკვე მოიპოვა. „თეთრი ტალღა" შექმნილია აფხაზეთის სახალხო განათლების და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლთან, მისი ამჟამინდელი დირექტორის კ. კვინიკაძის ინიციატივით, მასწავლებელთა სახლთან ადრე არსებული თოჯინების თეატრის ბაზაზე. თეატრსტუდიის სულისჩამდგმელი და სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი რატიანი.

სულ ახლახანს თეატრი პრემიერით წარსდგა პატარა მაყურებლის წინაშე. ნორჩმა მსახიობებმა წარმოადგინეს იოზეფ კალაბის პიესა-ზღაპარი „ჩვენი ეზო". სპექტაკლი დადგა გიორგი რატიანმა. სცენოგრაფია ეკუთვნის აფხაზეთის დამსახურებულ მხატვარს თემურ ჟვანიას, მუსიკალურად გააფორმეს ლეილა მაჩიტიძემ და კუკური გოლუაძემ.

ნორჩმა მსახიობებმა მშვენივრად გაართვეს თავი პირველ გამოცდას, თითოეული მათგანი განუმეორებელი იყო თავის როლში. „ჩვენი ეზოს" გმირები — გოჭი, მელია, ყურშა, მამალი, კრუხი, ქათმები, წიწილა დიდხანს დარჩებიან სოხუმელი ბავშვების საყვარელ გმირებად.

„თეთრმა ტალღამ" სპექტაკლები გამართა აგრეთვე აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში.

სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი რატიანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ „თეთრი ტალღა" მუშაობს სინთეზური თეატრის პრინციპებით. აქ ბავშვები ეუფლებიან პლასტიკას, სიმღერას, სწავლობენ ესთეტიკას. სტუდიაში მეცადინეობს ქ. სოხუმის ქართული სკოლების ორმოცდაათამდე მოსწავლე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პირველი სპექტაკლები საქველმოქმედო იყო. შემოსავალი გადაირიცხა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.

გაიმართა ბავშვთა თეატრალური სტუდიის სპექტაკლის „ჩვენი ეზოს" განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუმრები თბილისიდან, თეატრმცოდნეები და დრამატურგები: მზია ხეთაგური, ნოდარ გურაბანიძე, ვაჟა ბრეგაძე, თემურ აბულაშვილი, ზურაბ ლავრელაშვილი, თამარ ბოკუჩავა, მამუკა დოლიძე.

განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე, აფხაზეთის სახალხო განათლების მინისტრი ეთერ კოლონია, მამა ანტონი, აფხაზეთის კულტურის მინისტრის მოადგილე შოთა აბუთიძე და სხვ.

მათ მაღალი შეფასება მისცეს თეატრ-სტუდიის მოღვაწეობას და თავიანთი მხარდაჭერაც აღუთქვეს პატარებს.

**მეგი გიგაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიხეილ ზადორნოვი

# დაბრუნება



### ვითომ ამერიკაში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებები

ამერიკის ტელევიზიით ხშირად გადასცემენ სასარგებლო რჩევა-დარიგებებს. მათ შორის ყველაზე ხშირად მეორდება ერთი რჩევა: თქვენ თუ ბანდიტები დაგესხმიან თავს, მიეცით მათ ყველაფერი, რასაც მოგთხოვენ. წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ! ქისას გამოეთხოვებით, მაგრამ სიცოცხლეს შეიძენთ.

და, აი, ერთხელ, ახალ ამბებში გადმოსცეს მოკლე ცნობა საბჭოთა ტურისტის გაბედულებასა და სიმარჯვეზე. ნარკომანი — ზანგი ცდილობდა მისთვის ქისა წაერთმია. უთვალტანადო ჩელიაბინსკელმა ტურისტმა უჩვეულო ძალა გამოავლინა და ქისა არა თუ არ დაუთმო, გიგანტური გადაბრუნებული ძეგლის მსგავსი ფიგურის ზანგი მიტყეპა კიდეც. მოულოდნელი წინააღმდეგობით შეცბუნებული ზანგი რუს ტურისტს გაექცა. მაგრამ რუსი დაეწია და თავში დაარტყა ურნა. რის შემდეგაც, ქისა წაართვა და იხევ რეკა ურნა. ხაწყალი ზანგი დიდხანს იდგა გაშტერებული, დიდი ხანია, შეეჩვია იმას, რომ ამერიკელები არასოდეს უწევენ წინააღმდეგობას. მით უფრო, ურნას არ იშველიებენ. ასეთი რჩევა ამერიკულ ტელევიზიას არასოდეს მიუცია. მაგრამ, მან ხომ იცოდა, რომ ეს იყო რუსი ტურისტი, რომელიც მხოლოდ ცხოურ ოცდაათ მანეთში გაცვალეს და რომელიც ამერიკაში მთელი დღეები იმას აკეთებდა, რომ ანგარიშობდა, ამ ფულით როგორ შემოსა თავისი ოჯახიც და თავისი თავიც და, კიდევ, საჩუქრებიც წაერთმია მათთვის, ვინც ის ტურისტულ მოგზაურობაში გააფორმა.

საბჭოთა ტურისტისთვის საზღვარგარეთ უქისოდ ცხოვრებას აზრი არა აქვს. ხოლო სახე ცოლისა შინ, ჩელიაბინსკში, რომელმაც გაიგო ქისის დაკარგვა, უფრო საშინელია, ვიდრე სახე ნებისმიერი მსგავსი ზანგისა ამერიკის ჩიხებში.

●

ყოფილი ამერიკელი აზნაური, რომელიც რუსეთიდან რევოლუციის მოზდენისთანავე გაემგზავრა, ბევრს უჩიჩინებდა თავის ამერიკაში დაბადებულ შვილს, რომ ყველაზე განსაცვიფრებელი ნადირობა ბრიანსკთან დათვებზე ნადირობაა. ვაჟი მამამისს დაემგვანა — თავგამოდებული მონადირე დადგა. არაერთხელ თხოვა მამას ეამბნა, თუ მაინც რითაა განსაცვიფრებელი დათვებზე ნადირობა ბრიანსკთან, რომ ასე ხშირად ახსენებს მას.

— როდესმე დრო შეიცვლება. — ბანზე უგდებდა სიტყვას მამა, — თავად ჩახვალ იქ, ინადირებ და გაიგებ.

დადგა გარდაქმნა. დრონი იცვალნენ. მამა ცოცხალი აღარ იყო. მდიდარმა შვილმა გადაწყვიტა, განეხორციელებინა თავისი ოცნება — გაეგო, თუ მაინც რითი იყო განსაცვიფრებელი ბრიანსკთან დათვებზე ნადირობა. საფასურის ვალუტით გადახდის სურვილი გამოთქვა და ეს საქმე მაშინვე მარჯვე კოოპერატივმა იკისრა. რასაკვირველია, იყო ერთი „მაგრამ“! ბრიანსკთან უკანასკნელი დათვი სამოქალაქო ომის დროს ნახეს. მაგრამ ვალუტის დაკარგვა დასანანი იყო. შორეული აღმოსავლეთის ტაიგიდან დათვის ჩამოყვანას დიდი დრო სჭირდებოდა და ძვირიც დაჯდებოდა. ამერიკელი უკვე მიემგზავრებოდა კავშირში, მიმართეს მეზობელი ქალაქის ცირკს. მართლაც, იქ აღმოჩნდა ერთი ბებერი დათვი, რომელიც დიდი ხანია, არ მონაწილეობდა პროგრამებში. თავიდან, ცირკის ხელმძღვანელობას არ უნდოდა მისი დათმობა — რაც არ უნდა იყოს, მათთვის მშობლიური ცხოველი გახლდათ. მაგრამ კოოპერატორებმა განაცხადეს, რომ მას ფოტოატელიესთვის თხოულობდნენ, კარგად მოვუვლითო, ალუთქვეს და არნახული ფულიც გადაიხადეს. და ხელმძღვანელობამ გადასცა მათ ეს დათვი.

ბრიანსკის ტყეებში ბებერი დათვის სატვირთო მატარებლით წაყვანა გადაწყვიტეს. ვალუტის მილებით წინასწარ მონეტარე, გახარებული კოოპერატორები მატარებელში გამოთვრნენ. ოპერაცია ზვალისთვის იყო დანიშნული. მილიონერი დილით უნდა გახულიყო სანადიროდ მშობლების ტყეებში. როგორც ჩანს, ჭკვიანმა ცხოველმა ადამიანებთან მრავალი წლის მანძილზე მუშაობით შეძენილი გამოცდილების წყალობით, რაღაც არასახიკეთო და უხეირო იგრძნო და, როგორც კი „ბადრაგამ“ დაიძინა, მატარებლის ცუდად დაკეტილი გალიიდან გაიქცა.

დილით დათვი სოფლის შარაგზაზე გავიდა. ამ დროს, ამ გზაზე, ველოსიპედით უდრტვინველად მისრიალებდა ადგილობრივი ფოსტალიონი. როცა მან ოცი წლის მუშაობის განმავლობაში მშობლიურ ტყეში დათვი პირველად ნახა, ველოსიპედიდან ჩამოხტა და ტყეში გაიქცა, ველოსიპედი გზაზე დარჩა. მაგრამ! დათვი ცირკის ბინადარი იყო! მას დიდი ხანია, არენაზე არ ემუშავნა — მოენატრა! ამიტომ, დიდხანს არ უფიქრია, დაჯდა ველოსიპედზე და გახარებულმა გააქროლა ამომავალი მზის შესახვედრად. სწორედ ამ დროს სოფლის შარაგზაზე გამოვიდა თოფიანი ამერიკელი მილიონერი. მონადირემ ველოსიპედზე მჯდარი დათვი რომ დაინახა, გაშტერდა, მაგრამ, რამდენადაც დათვი პირდაპირ მისკენ მოქროდა, შეშინებულმა იარაღი დააგდო. დათვმა ეს საცირკო ტრიუკის გაკეთების ნიშნად ჩათვალა და საჭეზე წინა თათებით დადგა.

ამ მომენტში თავგამოდებული მონადირე დარწმუნდა, რომ მამამისი მართალი იყო — ნამდვილად, რუსეთში დათვებზე ყველაზე განსაცვიფრებელი ნადირობა ბრიანსკთანაა!

●

განვითარებული ქვეყნები ჩვენ დაგვცინიან, დაგვცინიან ჩვენი ცხოვრების გამო, მათი მხრით, ეს უნამუსობაა. ისინი ჩვენ უნდა გვიმადლოდნენ. ჩვენ უდიდესი მისია ვიკისრეთ და ღირსეულადაც გავართვით მას თავი: მსოფლიოს ყველა ხალხი ისე დავაშინეთ ოქტომბრის რევოლუციით და ჩვენი ცხოვრებით, რომ ისინი განვითარების სხვა გზას დაადგნენ და შეშინებულებმა სოციალიზმი ააშენეს!.

●

ყველა უცხოელი ჩქარა ითვისებს ენას — ჩვენგან განსხვავებით. სტალინმა რკინის ფარდით დიდი ხნით დაასაპურისა უცხო ენების ათვისების ჩვენი უნარი. სხვა ხალხები ჩვენსავით ჩარაზულნი როდი ცხოვრობდნენ, ისინი ერთმანეთთან ურთიერთობდნენ, ვითარდებოდნენ. ამიტომ, ისინი ხშირად ადვილად ითვისებენ ისეთ რთულად მისაწვდომ გამოთქმებსაც კი, როგორიც რუსული გამოთქმებია.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში იაფფასიანი გაყიდვა გამოირჩევა რუსი მყიდველებისთვის პროცენტის აწევით. ჩვენს ცნობილ მსახიობ ქალთან ერთად ერთ-ერთ გაყიდვაზე დახლს საბანაო კოსტუმებით მივადექით. გამყიდველი არაბია. ესმის, რომ რუსულად ვლაპარაკობთ. ეტყობა, რომ მანამდე რომელიღაც ჩვენი ქალი მდგარა ამ დახლთან. იმიტომ, რომ ის დაჯერებულად ეუბნება ჩემს თანამგზავრს:

— ბერი, დურა, ზავტრა ნე ბუდეტ!

რამდენჯერ უნდა გაეგონა მას ეს გამოთქმა, რომ, თუმც არცერთი მასში შემავალი სიტყვა არ ესმოდა, მაგრამ დაიმახსოვრა და დარწმუნებულია, რომ მიღებულია რუსების ასე დაყაბულება, დაყოლიება. ჩემი თანამგზავრი ქალი შეძრწუნებული უყურებს გამყიდველს. და მაშინ გამყიდველი ისევ ისე გაღიმებული მომმართავს:

— ბერი, დურა, ზავტრა ნე ბუდეტ!

●

საშუალო შეძლების ამერიკელები ჩვენთვის მილიონერები არიან. სიტყვა „მილიონერს“ დღეს ის მნიშვნელობა აღარა აქვს, რომელსაც საბჭოთა ადამიანთა თაობები უწინ სდებდნენ მასში. კარგი სახლი, ბაღი, წყვილი მანქანა, აუზი, ბინა ქალაქში — ჩვენთვის ამეების პატრონი უკვე მილიონერია. ამერიკული სიმდიდრე ესაა ფულის მიმოქცევა წელიწადში, მისი საკუთრება, ესაა კრედიტის ბარათები და არა თანხა ბანკში.

და, აი, რა გვხვდება თვალში. იქ, მდიდრები, როგორც წესი, გამხდრები არიან, ღარიბები — სქელოები. მდიდარი ამერიკელის გარეგნობას ჩვენ ხომ ბავშვობიდანვე ჟურნალ „კროკოდილით“ წარმოვისახავთ: ესაა ზურგჩანთისმსგავსმუცლიანი პატარა კაცუნა, რომელსაც მთელი სახე აუცილებლად დამეჭეჭებული აქვს. დიდი გზის მთელი ეტაპების მანძილზე ჩვენ გულწრფელად ვხაროდით ამგვარი კარიკატურებით, აქაოდა, ჩვენ უკეთესნი ვართ, ჩვენ მეჭეჭიანები არ გახლავართო! თურმე, სწორედ პირიქით ყოფილა, ამერიკაში ღარიბი ადამიანები იაფი საკვებით კვების გამო სუქდებიან. თავიდან ის იაფი საკვები ძვირ საკვებზე უფრო გემრიელი გეჩვენებოდა იმიტომ, რომ მასში გემოს მიმცემი სინთეტური დანამატებია. ამ საკვებს ვერ მოწყდები. ამის შედეგად, ამერიკაში იმდენი მსუქანი ადამიანი გაჩნდა, რომ ამერიკელები მათით ამაყობენ კიდეც. ჩვენ თითოოროლა მსუქანი გვყავს. ჩვენ ყველანი დაახლოებით 52-ე ზომისა ვართ; ავტობუსში როგორც გინდა, ისე შეტრიალდები, მაგრამ ზედა ხარ მიკრული თანამგზავრებს.

●

მდიდარი ამერიკელები კი უმეტესწილად სპორტული აღნაგობისა არიან. ისინი სინთეტიკას არ გახლებიან, „მაკდონალდსის“ ტიპის სასაუზმეებში არ შედიან, ტენისს თამაშობენ, ვარჯიშობენ „ჯანმრთელობის კლუბებში“, რომლებსაც სპორტული იარაღები, აბანოები და აუზები აქვთ. ისინი თავიანთ ჯანმრთელობას ერთადერთი მიზეზით ადევნებენ თვალ-ყურს: როცა მათსავით ცხოვრობ, გინდა რაც შეიძლება დიდხანს იცოცხლო.

●

ამერიკელ ქმრებს თავიანთი ცოლები უყვართ. ისინი ცოლს „თაფლიანოს“ ეძახიან. მათ არა აქვთ საყვარელი ქალის მოსაფერებელი, ჩვენ რომ გვაქვს იმდენნაირი სიტყვები: „ჩემო კურდღელო“, „ჩემო ლიფსიტა“, „ჩემო ფისუნია“, „ჩემო ფინია“, „ჩემო ვირთაგვა“, „ჩემო ბეჰემოტუკა“ ამაშიც კი ჩანს სიმწირე ამერიკელთა ობივატელური ფანტაზიისა, რომელსაც მაკომპლექსებელი სიღარიბისთვის დამახასიათებელი დახვეწილი ლიტერატურა არ შეპხებია.

ჩვენცა და ამერიკელებიც ერთდროულად ღმერთსაც ვემსახურებით, და ეშმაკსაც. ღმერთს ერთნაირად ვემსახურებით — რწმენითა და სიმართლით, ეშმაკს — განსხვავებულად. თანაც, იმდენად განსხვავებულად, თითქოს ჩვენ სხვადასხვანაირი ეშმაკები გვყავდეს. მათმა ეშმაკმა ადამიანები დოლარით დაიმორჩილა. იმიტომაც შეესხა მათთან ხორცი ლოზუნგს: „ყველაფერი ადამიანისთვის!“, რომ ადამიანი იხდის იმის საფასურს, რაც მისთვის კეთდება. მათი ეშმაკი ეშმაკეულად მდიდარია, ასევე ლამაზია, მისი სახე რეკლამური ბედნიერებითაა განათებული... ჩვენთან ეშმაკიც კი რაღაცნაირად უბადრუკია. მან მთელ ქვეყანაში მიმოფანტა თავისი სამკერდე ნიშნები. ბიუსტები, პლაკატები, ლოზუნგები. კედლის გაზეთები, ორდენები. საპატიო სიგელები... ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ჩვენთან სტაჟირებისთვის ჯოჯოხეთიდან რომელიღაც სამოხანი ეშმაკი გამოგზავნეს!

თუმცა, შესაძლოა. ეს არც ისე ცუდი რამ იყოს. სამოხანს მაინც უფრო იოლად გაუმკლავდები, ვიდრე ისეთ ფრიად ნიჭიერ არსებას, როგორიცაა მათი დოლარული ეშმაკი.

კარგი ქცევის დასავლური წესები საზღვარგარეთ ჩვენი არცხვილის ჭამის საფუძველია. ისე არასოდეს მომჭრია თავი, როგორც იქ.

სასაუზმე აეროპორტში. მე და ვასილ ხემიონოვიჩ ლანოვოიმ დანაყრება გადავწყვიტეთ და სტენდებიდან კერძები ჩამოვიღეთ.

— შეხედეთ, ვასილ ხემიონოვიჩ, კერძს ცელოფანიც კი აქვს შემოხვეული, — ალბათ, იმისთვის, რომ ბუზები არ დაასხდნენ.

— ალბათ! — ამაყად მპასუხობს ლანოვოი და პირველი მიდის სალაროსთან.

მოლარე ქალი ჩვენ გვიყურებს და ყველა თანამშრომელს უხმობს, რომ ორ „მამონტს“ შემოგვხედონ.

— ეს საყურებლადაა! — გვიხსნის ის ჟესტით, — საყურებლადაა! საყურებლად!

ის ფართოდ აჭყეტს თვალებს, რითაც იმას გვიჩვენებს, თუ რა უნდა ვუყუროთ იმას, რაც ავიღეთ. დიახ, ომლეტის მულაჟი დიდხანს იდო სტენდებზე. მანამ იდო, ვიდრე დამშეულმა რუსებმა არ გადაწყვიტეს მისი გასინჯვა.

●

დიდხანს მეგონა, რომ ამერიკაში, ჩვენში რომაა, იმაზე უარესობა იყო. ახლავე დავძენ: ჩვენსავით ცუდად არა, სწორედ რომ უარესად ცხოვრობდნენ. და ჰივაგენი! ამერიკელებს უარესი იუმორის გრძნობა აქვთ. მათი იუმორი ერთუჯრედიანია... უყურეთ ამერიკულ კომედიებს. ადამიანი გუბეში ჩავარდა და შხეფები შეესხა დედაბერს, რომელსაც პენსნე ჩამოუვარდა და ფინია ძაღლს ჩამოეცვა ცხვირზე... ამგვარი ეპიზოდის მაყურებელი მთელი ამერიკული ოჯახი ძაღლთან ერთად გულიანად იხარხარებს.

მათი იუმორი, მცირე გამონაკლისის გარდა, მოკლებულია მეორე პლანს, ირონიას... ქვეყანა უცენზურო დემოკრატიის პირობებში ვითარდებოდა და ამან ამერიკელების უმრავლესობას ლიტერატურული გემოვნება წაუხდინა. მათთვის უცხოა ეზოპეს ენა, აგრეთვე დახვეწილი „შარვალში ბრაწის ჩვენება“. მათ ნორმალური, ჯანმრთელი ბრაწები ახარებთ...

ინგლისური და ამერიკული იუმორი ხუმრობების ამერიკული გაგების დონემდე „ვერ იჭაჩება“. მას გერმანული დონე უღუნავს მკლავს. მაგრამ როცა ისინი საბჭოთა იუმორს ისმენენ, საერთოდ ვერ ხვდებიან, რომ ეს იუმორია...

ერთხელ, რუსეთში გასტროლების დროს, ჩრდილოეთის ერთ-ერთ სასტუმროში მომცეს ნომერი, რომელშიც აბაზანის კარი მხოლოდ გარედან იკეტებოდა. როცა ამის თაობაზე სცენიდან ვყვები, ჩვენთან იცინიან. ამერიკელები კი არც იღიმებიან. ზოგიერთები ვიშვიშებენ და თანაგრძნობით აკანტურებენ თავს. მათთვის ეს ხუმრობა არაა — შპინგალეტი მეორე მხრიდან, — ეს ხომ ვაი და უბედურებაა! სან-ფრანცისკოელი რუსული ენის პროფესორი იმის შემდეგ, რაც ამ შპინგალეტზე მოვუყევი, დიდხანს მიყურებდა და შემდეგ სავსებით სერიოზულად მკითხა:

— შპინგალეტი მეორე მხრიდან რატომაა? მე ეს არ მესმის. ეს თუ ანეკდოტია, მაშინ ამიხსენი მისი აზრი!

როგორ შემეძლო ეს მისთვის ამეხსნა? 1917 წლით უნდა დამეწყო იმის მოყოლა, თუ რატომაა ჩვენთან შპინგალეტი მეორე მხრიდან.

ასევე შეუძლებელია აუხსნა ამერიკელებს, თუ რაშია იუმორი, როცა აბაზანაში საცობი ნახვრეტზე ორჯერ ნაკლებია. ან, აბაზანაში საწური წყდება შხაპს, რომელსაც იღებ და თავში გირტყამს. მათთვის ეს ხუმრობები კი არა, უსიამოვნებებია.

ამიტომ ამერიკელებთან ხუმრობა იოლი საქმე არ აღმოჩნდა. პირველი დღიდანვე მათმა მომღიმარობამ მხიარულ გუნებაზე დამაყენა. და მე მომეჩვენა, რომ ისინი ჩემგან ნაპერწკლებისმფრქვეველ სიტყვამახვილობას ელოდნენ.

— თქვენ ისეთი პრიმიტიული პატრიოტები ხართ, — განვაცხადე, როგორღაც ექიმების — იურას მეგობრების კომპანიაში, — რომ დროა აშშ-ს გლობუსი გამოუშვათ.

იმის მიუხედავად, რომ ყველანი ინტელიგენტური ადამიანები იყვნენ, სუფრაზე უხერხული პაუზა ჩამოწვა. მხოლოდ ერთმა ახალგაზრდა ექიმმა — ბიზნესმენმა მიყურა გამომცდელად, თითქოს მისი ტვინის კომპიუტერმა ამ წუთებში რაღაც გამოითვალაო. და ხუთიოდე წამში ძალზე სერიოზული კილოთი შემომთავაზა:

— მოდი, მე და შენ ეს ბიზნესი გავაკეთოთ.

კომპანიამ შთაგონებით დაიწყო იმის განსჯა, თუ ამ საქმით რა თანხის ამოგება შეიძლებოდა და რა სახით გამოეცათ აშშ-ის პატარა გლობუსი — ბრელოკზე ჩამოსაკიდებელი — სახუვენირო თუ დიდი, ნამდვილი კოლეჯის მოსწავლეების პატრიოტული გრძნობების განმავითარებელი.

ამერიკაში ხუმრობების ასე პირდაპირ ალქმასთან შეგუება გვმართებს. ჩვენთან რიღაც შემთხვევებში ინტელიგენტურად თუ შეიძლება იხუმრო ზოგ რამეზე, იქ ამან შეიძლება უხერხული ვითარება შექმნას.

კაფე მისისიპის ხანაპიროზე. კრეოლი ოფიციანტი ქალი ვერაფრით იგებს, რა ენაზე ვსაუბრობთ მე და იურკა. ის თან გვაყურადებს, თან ცდილობს, ნელ-ნელა ჩამოდგას თეფშები, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ იკავებს თავს:

— საიდანა ხართ, ბიჭებო?

მომბეზრდა არაემიგრანტულ ამერიკაში იმის ახსნა, რომ რუსი ვარ. ყველანი მაშინვე მეხვევიან და მიწყებენ ამ კითხვების დასმას: აბა, როგორაა საქმე ახლა რუსეთში? გორბაჩოვი როგორაა?

ჩვენზე, რუსებზე, ამერიკელმა

(დასასრული მე-14 გვ.).

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 27.

(დასასრული)

ობივატელმა თითქმის არაფერი იცის. მან ზუსტად მხოლოდ ის იცის, რომ ჩვენში ქუჩებში, დათვები დადიან და მათ გორბაჩოვი ხელმძღვანელობს. ჩვენი პრეზიდენტი ძალიან უყვართ. ეს მათ შეიძლება გავუგოთ. ხელისუფლების სათავეში გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ ყველა ქვეყანამ უკეთ იწყო ცხოვრება. მე ჩვენს ქვეყანას არ ვგულისხმობ. ამიტომ, შენი რუსობის შემტყობნი, გეხვევიან და გკოცნიან არა როგორც რუსს, არამედ შენი სახით გორბაჩოვს ეხვევიან და კოცნიან. მე მომბეზრდა ჩვენი პრეზიდენტის გამოისობით მუქთად კოცნაობა და მე და იურკამ მოვილაპარაკეთ, რომ ამას იქით, რათა ცოტას შეგვეშველებოდნენ, ჩინეთიდან ვართ-მეთქი, მიგვეგო ყველასთვის.

ასე რომ, ოფიციანტი ქალის კითხვაზე, საიდანა ხართო, გადავწყვიტე ხუმრობით მეპასუხნა:

— ჩვენ ჩინეთიდან ვართ.

ნებისმიერი ჩვენებური ასეთი ხუმრობის შემდეგ გაიცინებდა და მიხვდებოდა, რომ მასთან საუბრის განგრძობა არ სურთ, მაგრამ ამერიკელები ჩვენებურნი არ არიან! იმათ თუ უთხრეს, ჩინეთიდანა ვართო, ესე იგი, ჩინეთიდან ყოფილან.

— როგორ, შიგ ჩინეთიდან? — ვიშვიშებს კრეოლი ოფიციანტი ქალი.

— დიახ, შიგ ჩინეთიდან.

— და ეროვნებით ვინა ხართ?

— ჩინელები ვართ!

— სუფთა ჩინელები?

— არა, ჭუჭყიანები.

— ეს როგორ?

— ლატვიელებთან ვართ შერეული!

მესმის, რომ ამით ბალტიისპირელი ხალხების რისხვას ვიტეხ თავზე, მაგრამ პატიოსნად უნდა ვაღიარო, რომ დასავლეთში, თურმე, ცოტა ვინმემ იცის, ვინ არიან ლატვიელები, ლიტველები და ესტონელები. და თუ ისინი გამოგვეყოფიან, მათ ჯერ კიდევ დიდხანს დასჭირდებათ მთელი მსოფლიოსთვის იმის ახსნა, თუ ვინ არიან. თუ, რასაკვირველია, გორბაჩოვი არ ჩამოაგდებს მათზე სიტყვას...

ეტყობა, ამერიკელთა უმრავლესობა ცუდად სწავლობდა კოლეჯში. მათ ბევრი რამ არ იციან. მაგალითად, არცერთმა ამერიკელმა არ იცის, რას აკეთებდა ლენინი შუშენსკოეში.

— აი, ლატვიელები ვინ არიან? — არ მოშმინდება ოფიციანტი ქალი.

— არის ერთი ტომი, ჰიმალაიში ცხოვრობს.

— რა საინტერესოა! რამდენი რამაა ამქვეყნად საინტერესო! მე და ჩემი ქმარი კი აქ, მისისიპზე ვზვრებით. მაგრამ თქვენ რატომღაც არცერთი არ ჰგავხართ ჩინელს.

— ჩვენთან გარდაქმნაა და ამიტომ, ვიცვლებით. მთელი ჩვენი საზოგადოება ძალიან ღრმა პროცესმა მოიცვა.

კრეოლი ქალი შეფიქრიანებულ-მჭმუნავი სახით დაგვცილდა. წავიდა იმის საფიქრებლად, როგორ თუ ჩვენ, ჩინელები, ასე ვიცვლებით ჰიმალაებში ლატვიელების წყალობით.

უკანასკნელად გასუმრება ახალი საქონლის მაღაზიაში ვცადე. იმის შემდეგ, რაც იქ ვნახე მინისსაწმენდიანი სათვალე, უმი კვერცხის გასატეხი ხელსაწყო, სავარძელი ზურგის მასაჟითურთ, ელექტრონული კბილის ჯაგრისი, ყურებიდან თმის გამოსაპარსი მანქანა, რომელიც სიტყვას ზოჰყვა და, ზომითაც და კონსტრუქციითაც მკვეთრად განსხვავდება ცხვირიდან თმის გამოსაპარსი მანქანისაგან. თანაც, ყველა ამ სიახლის რეკლამა, მგონი, რაძიევსკიმ მოიფიქრა. როცა ამ რეკლამას კითხულობ, ის გაოცებს, თუ ყოველივე ამის გარეშე ადრე როგორ იყავი ცოცხალი.

რასაკვირველია, მე შინაგანად გავმხიარულდი, როცა წარმოვიდგინე, ჩვენთან თუ როგორ მანქანას გამოუშვებდნენ ყურიდან თმის გამოსაპარსად. ჯერ ერთი, ის ყურში ვერ შეეტეოდა, მეორეც, თმას აუცილებლად ტვინსაც გამოაყოლებდა. და, თანაც, ისე, როგორც, ანეკდოტშია, ოთხი ჩემოდნით მოგვიწევდა მისი ტარება...

— სათბური თუ გაქვთ ჰიპისთვის? — სერიოზული სახით ვეკითხები გამყიდველს.

ისიც სერიოზული სახით მიყურებს. ეტყობა, იხსენებს, აქვს თუ არა მას სათბური ჰიპისთვის. და მასაც შეიძლება გავუგოთ. მას თუ აქვს ყურიდან თმის გამოსაპარსი მანქანა, რატომ არ უნდა არსებობდეს სათბური ჰიპისთვის? ადამიანს სჭირდება სათბური ჰიპისთვის! იქ ხომ ყველაფერი ადამიანისთვისაა! ის თვალებში მატყობს, რომ არ შემიძლია ვიცოცხლო ჰიპის სათბურის გარეშე! მაშასადამე, უნდა დამეხმაროს.

— იცით, ჩვენ არა გვაქვს, — ბოდიშობს, — მაგრამ ერთ მაღაზიაშიც შეგიძლიათ მოიკითხოთ. აი, მისამართი.

— იქ უკვე ვიყავი, არა აქვთ...

— მაშინ, თუ გნებავთ, შეგიძლიათ დაკვეთა დაგვიტოვოთ.

საქმის ამგვარ შეტრიალებას, მართალი გითხრათ, არ მოველოდი. მაგრამ ჩქარა გავერკვიე ვითარებაში და დავწერე განცხადება: „გთხოვთ სასწრაფოდ დამიმზადოთ ჰიპისთვის სათბური დისტანციური სამართავითურთ".

— ქვემოთ თქვენი მისამართი მიაწერეთ, — მთხოვა გამყიდველმა, როცა განცხადება წაიკითხა...

რაძიევსკის მისამართი მივაწერე. ამ ბოლო დროს რაღაც არ მირეკავს. ეტყობა, მას გაუგზავნეს სათბური ჰიპისთვის. საიდან მართავს ის მას დისტანციურად, არ ვიცი. სამაგიეროდ, ვიცი მთავარი: რითაც სამუდამოდ გავახწარით ამერიკას, ეს ჩვენი უძლეველი იუმორის გრძნობაა!

## აკლიმატიზაცია

დაჯდომა გამოაცხადეს. თან გიხარია, თან გაღელვებს შინ დაბრუნება. ერთი მხრივ, ესაა შეხვედრა მეგობრებთან, ნათესავებთან... საჩუქრები, სალამ-ქალამი, საუბრები მანამდე უნახავ ზეთისხილებსა და უცნობ კეფირებზე. მეორე მხრივ, ყოველდღიური ბრძოლა საკუთარი ღირსებისთვის.

თვითმფრინავში ნამდვილად მხოლოდ უცხოელები ხარობენ. მათ შეიძლება გაუგო კაცმა. მათთვის ჩვენი თვითმფრინავი არის დროის მანქანა, რომელიც სულ რაღაც რვა საათში მთელი ორი საუკუნით უკან გწევს. ატრაქციონი. ლუნა-პარკი, დისნეილენდი. საოცრებათა ქვეყანა. ლუის კეროლი რომ ცოცხალი იყოს, ის ნამდვილად დაწერდა „ალისას"... გაგრძელებას და მას დაარქმევდა — „ალისა სსრკ-ში".

ოდესღაც, მინდოდა უცხოეთიდან დაბრუნებული საბჭოთა მოქალაქეებისთვის შემეთავაზებინა საგანგებო სააკლიმატიზაციო ცენტრის აშენება. მასში ორ-სამ დღეში მეთოდურად მოემზადებინათ ჩვენს ცხოვრებას დაბრუნებულნი: კვლავ გაეწვრთნათ ისინი ლაქლაქში, უხეშად ლაპარაკში, უღიმღამოდ ჩაცმაში.... ახლა მესმის, რომ ჩვენ ასეთი კომპლექსი არ გვჭირდება. მისი როლი ხალისით იკისრა „აეროფლოტმა". და ამისთვის გადაფრენის რვა საათი სავსებით ჰყოფნის. სტიუარდესასთვის თვალის შევლებაც კია საკმარისი იმის გასაგებად, რომ, სამშობლო სადღაც ახლოსაა!. და ეს სავსებით უეჭველი ხდება, როცა ორჯერ ისაუზმებ გაუპუტავი ქათმის ფრთებით. საინტერესოა, როგორ ახერხებს „აეროფლოტი" ყველა მგზავრისთვის ფრთების ჩამორიგებას? შევამჩნიე, რომ ჩემს გვერდით არცერთს არ ედო ქათმის ფეხები, სხვა ნაწილებზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩვენთან, თითქოს, ქათმების სპეციალური, ვერტმფრენის მსგავსი ჯიში გამოიყვანესო.

თუმცა, მართალი არა ვარ. აკლიმატიზაცია თვითმფრინავში არ იწყება. ადრე იწყება. უკვე დალასში, „აეროფლოტის" მოსაცდელთან გრძნობ, როგორ მოგენატრა მშობლიური, ნამდვილი, თითქმის მავზოლეუმური რიგები.

გასტროლების დროს ოცზე მეტჯერ მომიხდა გადაფრენა. მე და ჩემი იმპრესარიო აეროპორტში ყოველთვის თვითმფრინავის აფრენამდე თხუთმეტი-ოცი წუთით ადრე მივდიოდით. ამ დროში ზოგჯერ ბილეთების ყიდვასაც კი ვასწრებდით. თავიდან, ვნერვიულობდი, ჩემი იმპრესარიოს ამგვარი „უგნურების" გამო. მაგრამ შემდეგ შევეჩვიე, მივხვდი, რომ აეროპორტში უფრო ადრე მისვლა საჭირო არ იყო. ამერიკის აეროპორტებში ბარგის ჩასაბარებელი კამერები არაა. მანქანას გაჩერებაზე აყენებთ. გაჩერება ან აეროპორტის სახურავზეა, ან სარდაფში. ჩვეულებრივ, მანქანასთან, დაუყოვნებლივ მოირბენს ზანგი— მებარგული. იღებს თქვენს ბარგს, გეკითხება, თუ რომელი თვითმფრინავით და საით მიფრინავთ, მოხევს ქვითარს და... თქვენი ბარგი თვითმფრინავისაკენ მიაქვს. რა ვქნა, პირველად დავეწიე მებარგულს და ჩამოვართვი ჩემი ბარგი. შემდეგ ამგვარ სადისტურ წესრიგს მივეჩვიე. უფრო სწორად, თავს ისე ვიჭერდი, ვითომ მივეჩვიე.. სულერთია, გული მაინც რეჩხს მიშვრებოდა, როცა მებარგულს ჩემი ჩემოდნები მიჰქონდა და ყოველთვის ვეკითხებოდი ჩემს იმპრესარიოს, დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენი ბარგი სწორედ იმ ქალაქში აღმოჩნდება-მეთქი? და ის საეჭვო სახის მებარგული ჩემი ჩანთიდან ჩემს სპორტულ ტანსაცმელს ხომ არ დააძრობს მეთქი? იმპრესარიო ყოველთვის მამშვიდებდა, ჩვენ უბარგოდ ვეშვებოდით ლიფტით პირდაპირ აეროპორტის შენობაში და დერეფნის გავლით თვითმფრინავში ამოვყოფდით თავს. ზამთრის მიუხედავად, ბევრი ამერიკელი ქალაქიდან ქალაქში პიჯაკისამარა მიფრინავს, იმიტომ, რომ არსად უხდებათ ჩართული ძრავების ქვეშ ყინვაში ლოდინი.

სამაგიეროდ, როგორ შვებას გრძნობ, როგორი ბედნიერი ხარ, როცა ჩაფრენისთანავე იღებ შენს ბარგს, მაშინვე ხსნი და ხედავ, რომ შენი სპორტული ტანსაცმელი არ ამოუღიათ.

რასაკვირველია, მებარგულს ყოველი ჩემოდნისთვის დოლარი უნდა გადაუხადო. გადახდა თუ არ გინდა, კეთილი ინებე და შენი ბარგი თვითონ ატარე. მაგრამ ასეთი რამ რაღაც არ მინახავს. არ მინახავს საახალწლო ნაძვისხესავით რაღაც-რაღაცეებით დახუნძლული, ბარგის ჩასაბარებელი კამერებისკენ ქლოშინით მოჩქარე და გზად შემხვედრი ქალების წინდებს ბარგით წამოდებული მგზავრები. უკიდურეს შემთხვევაში, ვიღაცას თასმაზე მოუბამს თავისი ჩემოდანი, რომელიც, ბორბლებზე მდგარი, ავღანურ მწევარსავით მოსდევს კვალში. დიახ, და, აი, კიდევ რაა გასაოცარი! ვერსად ნახავთ შვიდი-რვა დღის შემდეგ უახლოესი რეისის მოლოდინში გაზეთებზე წამოწოლილ და მძინარე ფეხსაცმელგახდილ მგზავრებს.

ფეხსაცმელგახდილი პირველი მგზავრები მე დავინახე დალასში, „აეროფლოტის" მოსაცდელთან. კულტურის სამინისტროს დელეგაცია ალმა-ატიდან. ისინი აეროპორტში ჩვენი თვითმფრინავის გამოფრენამდე სამი საათით ადრე მოვიდნენ. სხვათა შორის, დანარჩენებიც დაახლოებით ასე ადრე მოქუჩდნენ. მათ შორის მეც. ესაა ჩვენებური კაცის ქრომოსომულ წყობაში ჩაბუდებული შიში იმისა, რომ, ვაითუ, მოცილე ორეული გამოუჩნდეს. ვფიქრობ, ამერიკელებმა თავიანთ შენობაში „აეროფლოტს" ყველაზე შორეული და მოფარებული ადგილი იმიტომ გამოუყვეს, რომ ცივილიზებული ადამიანები არ შეაცბუნონ მოყაყანე და სუნიანი ცივილიზებული რიგის ყურებით.

დიახ, მხოლოდ „აეროფლოტის" მოსაცდელთან იგებ, როგორ მოგნატრებია შენი სამშობლო:

— თქვენ აქ არ იდექით.

— ყველანი სიით მივდივართ.

— თქვენ სიაში არა ხართ.

— სად დგამთ ჩემოდანს, სად?

— თქვენ კიდევ უკან დადექით!!!

მშობლიური, ძვირფასი: „უკან დადექით!!!"

ვიღაც ქალი პირდაპირ რიგიდან კისრულობს მბრძანებლობას:

— ამხანაგებო, დავდგეთ ორ რიგად!

მას უკვე არ ჰყოფნის ერთი რიგი, ორი რიგი ნებავს. მოენატრა. ეტყობა, „ჰეცეესპეესიდანაა". თხელი, დაკომპლექსებული ტუჩები აქვს, იმიტომ, რომ ის საკოცნელად კი არა, ინსტრუქციების ჩასაკითხადაა გამიზნებული. მისი სამუშაო მის გარეგნობაშიც აღიბეჭდა — ფიგურა საჩვენებელ ჯოხს უგავს.

ჩემს უკან ინტელიგენტური კაცი დგას, ილიმება:

— უკვე რამდენი ხანია, არ გვსმენია ეს ყველაფერი, — მეუბნება. საჩვენებელი ჯოხი ჯიქურ მოუტრიალდება:

— თუ ეგრეა და, დარჩენილიყავით აქ! გამომივიდა ჭკუის კოლოფი!

რარიგ შესანიშნავი შეურაცხყოფაა: „ჭკუის კოლოფი!" ის მხოლოდ იდეალურად უფერულ საზოგადოებაში, უფერული კოსტიუმების, უფერული ფიქრების საუფლოში შეიძლებოდა შობილიყო.

„ჭკუის კოლოფო"! — უთხრა მომვლელმა ქალმა საავადმყოფოში ვასილ შუკშინს მისი სიკვდილის წინადღეს...

„ჭკუის კოლოფო!"... იმ დღეს დალასში ჯერ არ ვიცოდით, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი ანდრეი დიმიტრის ძე სახაროვი.

„ჭკუის კოლოფი"... აკლიმატიზაცია დაიწყო!

...როცა **სამშობლოში** მოფრინავ, ყველაზე აბსურდული აზრები გიტრიალებს თავში.

იმიტომ, რომ მარტო **სამშობლოსთან** კი არა, სახელმწიფოსთან შეხვედრაც გელის. რუსეთში ხომ უკვე ასე დადგინდა, რომ **სამშობლო** და სახელმწიფო არასოდეს ემთხვეოდნენ ერთმანეთს.

სახელმწიფო — ესაა საშიში მოულოდნელობა, რომელიც **სამშობლოში** ყოველ ნაბიჯზე მყავს ჩასაფრებული.

ესაა ანტიკვარული ტრაპი, რომელსაც თვითმფრინავის ვენტილაციაგამორთულ ტრაპში ოფლში გახვითქული ორმოც-ორმოცი წუთის ელოდები. ტრაპზეც არანაკლებ ანტიკვარულია საბაჟოს წესებიც.

ესაა მტვირთავები, რომლებიც თვითმფრინავიდან აეროვაგზლამდე ასწრებენ ფირმის ჩემოდნებისთვის პატარა ბორბლების მოსხვნას. ესაა ჩაის ტილოები, პირსახოცებად საზოგადოებრივ ტუალეტებში პირსაბანების თავზე.

ესაა ლიმიტით განწესებული მილიონერი. ესაა ტაქსისტი, რომელიც თავქარშეყრით მიერეკება მანქანას აეროპორტიდან ქალაქში. ოცდაათ წუთში მან სამჯერ გადაასწრო ერთსა და იმავე მშვიდად მოსრიალე „მერსედესს". ესაა სიმღერა, რომელიც ილვრება ჩვენი გზებივით გაფუჭებული, მისი მაგნიტოფონიდან, ესაა იმავე გზებზე მიმომავალ სატვირთოებსავით ცარიელ დეპუტატთა გამოსვლებით გაძეძგილი გაზეთები.

სახელმწიფო — ესაა პლაკატები, ლოზუნგები, გეგმები, სოცვალდებულებები. ესაა სკოლის ეზოს ფეხბურთის მოედანი, რომელიც პიონერული რაზმეულის მწკრივისთვის [illegible]. ესაა ჭუჭყიანი შპრიცები რაიონულ პოლიკლინიკებში, გაცვეთილსალათებიანი გადიები სამშობიაროებში. ესაა ქაღალდები, რომლებშიც ღვეზელებს ახვევენ სადგურებში. მატარებლების ფანჯრები, რომლებშიც უბერავს. სოდიანი ჩაი. კირიანი ნამცხვარი. სტიუარდესა, რომელიც ისე გამოიყურება, თითქოს ამერიკაში თვითმფრინავიდან ჩასვლის უფლების გარეშე მიფრინავდეს. გაზავებული ცემენტიჭუჭყიანი ბენზინისგან გამხეცებული მანქანები. ვარგისობის ვადაგადასული სამგზავრო ავტობუსები. საწყობები ეკლესიებში. პარკები დაბეკნილი სასაფლაოების თავზე. „ნახიმოვი". ჩერნობილი. ტაიგის გაყიდული ნაწილი.

სახელმწიფო რეპეტირებული „ვაშაა!"

სახელმწიფო — ესაა ის, რისგანაც თავდაცვის საშუალება არავისა აქვს. ის რისიც ამ სახელმწიფოს შემქმ[illegible] ხელმძღვანელებსაც კი [illegible].

სახელმწიფო დემოკრატია კი არა, დემოკრატიზაციაა. ესაა არალიტერატურა, არაფერწერა, არასალუტი. ესაა ახალი სახელებით მონათლული, მაგრამ ძველებურად დაფლეთილ-დაგლეჯილი ქუჩები, დაშლილი, ახლ[illegible] მონათლული დაწესებულ[illegible]. ესაა თალონები, რომლებიც ერთობლივ წარმოებათა პრეზიდენტის სავიზიტო ბარათები უდევთ ჯიბეში. ესაა ერთმანეთის გამომრიცხავი კანონები. პროგრესის გამომრიცხავი პროგრესული გადასახადები. სახელმწიფო — ესაა უვიცობასთან უსინდისობის ბრძოლა. სახალხო ფრონტების ანტისახალხო კარიერა. ესაა დეპუტატები, რომლებმაც მოსავალი ვერ მოიწიეს ერთმანეთთან ანგარიშსწორებით გართულებმა. ესაა სახელმწიფოს მეთაური, რომელიც ტელევიზორში გაოცებას გამოთქვამს, ქვეყანაში ნგრევის მასშტაბების გამო. დემოკრატები, რომლებმაც კონსერვატორებს ხელისუფლებასთან ერთად, პრივილეგიებიც წაართვეს.

სახელმწიფო — ესაა ერთადერთი მართალი „პლაკატი", რომელიც ჰკიდია მეტროს ყველა სადგურში: „გამოსავალი არაა!".

სახელმწიფო — ესაა **სამშობლოს** ბეღლის თვალი, ხარო.

ესაა იმის განუწყვეტელი ცდა, რომ აიხადოს კრამიტის სახურავი. მოგვსპოს სკოლის ეზოს, მამის ხელების, ნალუქის, უცნობი ჯარისკაცის საფლავის, ბოროდინოს, კულიკოვოს ველის რწმენა...

სახელმწიფო — ესაა მზიური გზაწვრილი ინდუსტრიალიზაციით მოწამლულ რიგის ყურის წყალზე...

ამიტომ, როცა თვითმფრინავის ბორბლები ეხება მიწას, იმათაც კი, ვისაც სამშობლოში დაბრუნება უხარია, — ნაღვლიანი თვალები აქვთ. ყველას, იმიტომ, რომ ჩვენ გვიყვარს ჩვენი **სამშობლო**. ჩვენი **სამშობლო** ყოველთვის ჩვენი ხალხის სული იყო. სახელმწიფო გალიაა.

ალბათ, გამოჩნდებიან მკითხველები, რომლებიც იტყვიან: გამოჩნდა ჭკუის კოლოფი! დარჩენილიყო იქ სამუდამოდ, თუკი ასე არ უყვარს ჩვენი სახელმწიფოო. და ისინი მართალნი არ იქნებიან. მე ჩემი **სახელმწიფო** მძულს, მე ჩემი **სამშობლო** მიყვარს.

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

# მცირე შენიშვნა

1990 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ" ხელმეორედ გამოაქვეყნა გიორგი ცოცანიძის ნაშრომი „გიორგობიდან გიორგობამდე" (ეთნოგრაფიული ექსკურსიები თუშეთის ახლო წარსულში). ეს წიგნი საინტერესოა და უთუოდ დადებითად უნდა შეფასდეს; ამავე დროს დაინტერესებულ მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს არაერთი კითხვა. ჩვენ მხოლოდ ერთ საკითხზე შევაჩერებთ ყურადღებას — როდის ჩამოსახლდნენ თუშები ბარში? ავტორი წერს, რომ თუშები ბარში „როგორც ბინადარი მოსახლენი დამკვიდრდნენ გასული საუკუნის მეორე ნახევარსა და ჩვენი საუკუნის პირველ ოცეულში". გიორგი ცოცანიძის ეს მოსაზრება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაწილობრივაა მართალი, და ჩვენი აზრით, შესწორებას საჭიროებს. კერძოდ: ჩაღმა — თუშები მართლაც ზემოაღნიშნულ დროს ჩამოსახლდნენ ბარში, ალვანში;წოვა-თუშები კი (რა თქმა უნდა მათი ნაწილი) ალვანში თუ უფრო ადრე არა, XIX საუკუნის ათიანი წლებიდან მაინც ჩანან დასახლებულნი. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები, სახელდობრ: ზემო ალვანის წმინდა სამების ეკლესიის ეზოში არსებულ საფლავის ქვებზე ამოკვეთილ ეპიტაფიებში მოხსენებულია წოვა-თუშური გვარები — ცისკაროვი (1807 წ.), ბაძოშვილი (1817 წ.), ბობლიაშვილი (1842 წ.), ლაგაზიძე (1846 წ.) და სხვა. მათგან უადრესია 1806 წლის ეპიტაფია; აი ისიც — „საფლავსა შინა მდებარე ვარ ჯიხოიძე გიორგი; მხილველნო შენდობა ბრძანეთ. ჩყე" (1806 წ.). ალვანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, როგორც მასზე მოთავსებული წარწერა გვამცნობს, 1834 წელს აუშენებიათ წოვა-თუშებს, დინგაშვილებს. წოვა-თუშების მიერვეა აშენებული მეორე, გურდაჭალაში მდგარი წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაც, რომელიც გადმოცემით ზემოხსენებული ღვთაების ეკლესიაზე ადრეა აშენებული. ამ ეკლესიასაც აქვს სამშენებლო წარწერა, რომლის დაზიანების გამო თარიღი აღარა ჩანს.

ამრიგად, როგორცა ჩანს, წოვა-თუშების ძირითადი ნაწილი ალვანში უნდა ჩამოსახლებულიყო გასული საუკუნის პირველ ნახევარში.

**ვასილ ცისკარიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახმეტელელთა დიდი წარმატება

შემოქმედებითი მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა 1990-1991 წლის სეზონი სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივისათვის. ჯერ იყო და საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის ყოველწლიურ კონკურსში „თეატრი და თანამედროვეობა“ გამარჯვება ხვდა წილად ზურაბ სამადაშვილის პიესის მიხედვით ალექსანდრე ქანთარიას მიერ განხორციელებულ სპექტაკლს „კარს იქით“ წლის საუკეთესო რეჟისორული და აქტიორული ნამუშევრისათვის. შემდგომ თეატრმა აპრილის თვეში უმასპინძლა ზაგრების სახელმწიფო თეატრ ИТД-ს კოლექტივს, ხოლო მაისში თვად გამართა საპასუხო გასტროლები ზაგრებში, სეზონის დასასრულს კი თბილისელ მაყურებელს შესთავაზა პ ო ლ ი კ ა რ პ ე კ ა კ ა ბ ა ძ ი ს „დ ე მ ე ტ რ ე მ ო რ ე ს“ საინტერესო სცენური ხორცშესხმა, რითაც სავარაუდოა, რომ თეატრმა გზა გაუხსნა ქართული თეატრის დაინტერესებას ამ პიესით, (შეიქმნა 1945-71 წლებში), რომელსაც აქამდე არ უხილავს რამპის შუქი. ამ დადგმის განხილვა ცალკე ვრცელი საუბრის თემაა, რადგან მასში თავს იყრის, ერთის მხრივ, ამ თეატრის დღევანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები, მეორის მხრივ, თავს იჩენს მისი განვითარების შემდგომი პერსპექტივები, და, ამავე დროს, დასაძლევი ამოცანები, რომელთა მიუხედავადაც საინტერესო სპექტაკლი მაინც შედგა და კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ამ სათეატრო კოლექტივის ერთი ნიშანდობლივი თვისება — ინტენსიური მუშაობის უნარი, შემოქმედებითი ძიებების უწყვეტობა, ყოველდღიური, დაუოკებელი სწრაფვა ხელოვნებაში საკუთარი სათქმელის, საკუთარი მეს წარმოსაჩენად და დასამკვიდრებლად, მუშაობა და კვლავ მუშაობა — თავისი შედეგებით ზოგჯერ სიხარულისა და ზოგჯერაც იმედგაცრუების მომტანი.

სწორედ თეატრში არსებულ ამ შემოქმედებით ატმოსფეროზე, ალექსანდრე ქანთარიას მიერ განხორციელებულ „დემეტრე მეორის“ მით უფრო ქვეყანაში, სადაც ნაკლებად იცნობენ საქართველოს ისტორიასა და კულტურას, ან იცნობენ თითო-ოროლა შედევრს. მაგალითად, ზაგრებში ქართულ თეატრს იცნობენ მხოლოდ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის „კავკასიური ცარცის წრით“ და ბევრი რამ სმენიათ რობერტ სტურუას ბრწყინვალე რეჟისურაზე, ქართულ ფილმს მეტწილად იცნობენ თენგიზ აბულაძის „მონანიებით“, სახვით ხელოვნებას კი ნიკო ფიროსმანის შემოქმედებით, ლიტერატორთა ვიწრო წრე იცნობს სერბიულ ენაზე თარგმნილ „ვეფხისტყაოსანსაც“, რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, იგი ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია, რადგან მიაჩნიათ, რომ ძალზე დიდია მსგავსება დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოსა და ხორვატიის მიზნებს შორის, აგრეთვე ამ ქვეყნების წინაშე ხელოვნურად შექმნილ წინააღმდეგობებს შორის.

მაისის დასაწყისში ხორვატიის ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლებულ სერბებსა და ხორვატებს შორის მოხდა რამდენიმე სისხლიანი შეტაკება. იუგოსლავიის ცენტრისტული ძალები აქტიურობდნენ ამ შეტაკებებში. ხორვატიის პრესა და ტელევიზია სისტემატურად აშუქებდა ამ შეტაკებათა მიზეზებსა და შედეგებს. ღამღამობით მოსახლეობა საცხოვრებელი სახლების ფანჯრებზე სანთლებს უნთებდა თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულთ, „ღმერთო იხსენი ხორვატია“ — ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებოდით ასეთ წარწერებს ქუჩებში — სტენდებზე, კედლებზე, ვიტრინებზე.... 8 მაისს ღამის სამ საათზე ხორვატიის პრეზიდენტმა ბ-მა ფრანიო ტუჯმანმა ტელევიზიით მიმართა თანამემამულეებს ცენტრის მიერ შესაძლო სამხედრო ჩარევის თაობაზე და სიფხიზლისაკენ, გონიერებისაკენ მოუხმო მათ. ასეთ რთულ ვითარებაში იწყებოდა ახმეტელის სახელობის თეატრის გასტროლები ზაგრებში

თავისებურებაზე და თეატრის მიერ ქალაქ ზაგრებში გამართული გასტროლების შთაბეჭდილებებზე წარიმართა საუბარი საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირში 20 მაისს გამართულ შეხვედრაზე, რომელიც მიჰყავდა კავშირის თავმჯდომარეს ბ-ნ გიგა ლორთქიფანიძეს.

ქართული თეატრის წარმატებული გასტროლები უცხოეთში, თითქოსდა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ეს არც არავის უკვირს, მაგრამ ვისაც ჰქონია შესაძლებლობა ამ წარმატების თვითმხილველი ყოფილიყო, იმან კარგად იცის თუ რა შრომის, მობილიზების, ბოლომდე უშურველი დახარჯვისა და უცნობი უცხოელი მაყურებლის ამ გზით „მოთვინიერების“ შედეგად მოდის ეს გამარჯვება, ლ ა შ ა თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი ს „ტ ა ძ რ ი თ“, მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ თბილისი-მოსკოვი-ბელგრადი-ზაგრების მიმართულებით გავლილი ორდღიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ თეატრს მხოლოდ 5-6 საათი ჰქონდა ახალი სცენის გასათავისებლად და მოსარგებად. აღსანიშნავია ისიც, რომ აუცილებელი შეიქნა სპექტაკლის ფინალის შეცვლა. სამუშაო განწყობილებას და სულს აფორიაქებდა ისიც, რომ გზაში შევიტყვეთ საქართველოში მომხდარი უბედურება — მიწისძვრა, რომლის შედეგებიც ჯერ კიდევ უცნობი იყო ჩვენთვის. ამავე დროს, ყველას კარგად ახსოვდა რა მაღალპროფესიულ დონეზე წარმოაჩინა თავისი ხელოვნება თეატრ იტდ-ს კოლექტივმა თბილისში სულ რაღაც ერთი თვის წინ გამართულ გასტროლებზე. და, ცხადია ახმეტელელთა საპასუხო გასტროლებს ერთგვარი შემოქმედებითი პასუხის მისიაც ჰქონდა; დასი ალექსანდრე ქანთარიას ხელმძღვანელობით თავდავიწყებით გადიოდა რეპეტიციებს თითქმის ყოველდღე, შედეგად კი ყოველ სპექტაკლს პირველქმნილის ხიბლი ჰქონდა, სულ თეატრ იტდ-ს სცენაზე წარმოადგინეს ოთხი სპექტაკლი: 3 და 4 მაისს ლაშა თაბუკაშვილის „ტაძარი“ და 5 და 6 მაისს ზურაბ სამადაშვილის „კარს იქით“ ალექსანდრე ქანთარიას დადგმით. ზაგრების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სისტემატურად უწევდნენ რეკლამას გასტროლებს და აშუქებდნენ მის მიმდინარეობას. ზაგრების პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიებიდან ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე ციტატა მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, თუ როგორ მიიღო ახმეტელელთა სპექტაკლები ზაგრებელმა მაყურებელმა და როგორი გამოხმაურება ჰპოვა მან სათეატრო ხელოვნების სპეციალისტებში:

„... მიუხედავად იმისა, რომ ენა აბსოლუტურად არ გვესმოდა, იმდენად შთამბეჭდავი და ძლიერი იყო მსახიობთა არსებობა სცენაზე (იგულისხმება სპექტაკლი „ტაძარი“ ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით — ი. გ.) დრამის ყველა ფაზაში, რომ საკმაოდ გრძელი სპექტაკლის მანძილზე მაყურებელთა ინტერესი არ განელებულა, ხოლო ფინალში სცენასა და დარბაზს შორის თანახმიერების დონემ მწვერვალს მიაღწია... რეჟისურა თანაბრად ეფექტურია როგორც მასობრივ, ასევე ცალკეული დრამატული ხაზების გამომხატველ სცენებში... ასეთი თვითმყოფადი გამომსახველობის სამსახიობო ანსამბლთან გაცნობა დიდად სასიხარულოა. იგი თანაბრად კარგია როგორც მასობრივ სცენებში, ასევე დრამის შინაგან ფორმირებაში, რომლის ინტენსივობაც მერყეობს ლირიკული მოვლენებიდან დრამატულის მწვერვალებისაკენ... განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დედის როლის შემსრულებელმა ნ. გაგნიძემ. იგი დასამახსოვრებელია თავისი სიფაქიზით, არათვალშისაცემი დიდი შინაგანი დატვირთვით, ხმით, მიმიკით, პლასტიკით — განსაკუთრებით სცენებში გ. გორგასანიძესთან, რომელიც ასევე წარმატებით ართმევს თავს პროტაგონისტის ფუნქციას“. (გაზეთი „ვეჩერნი ლისტ“, 6.V.91.

—ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა თეატრი-სრულქმნილება, რაც ჩვენთვის ნათელი გახდა მას შემდეგ, როდესაც ვიხილეთ „კარს იქით“ ზურაბ სამადაშვილის პიესის მიხედვით... სპექტაკლი ცხადყოფს, რომ ახმეტელის სახელობის თეატრს ჰყავს საშუალო და ახალგაზრდა თაობის მონოლითური და ძლიერი დასი, რომელშიც ყოველი პიროვნება საოცრად საინტერესოა, მათში პარტნიორობის გაწევის უნარი განვითარებულია სრულქმნილებამდე... სამხატვრო ხელმძღვანელის სახით წარმოგვიდგა რეჟისორი-მუსიკოსი, რომელიც ოსტატურად ფლობს სასცენო დროსა და სივრცეს, მარჯვედ და უნარიანად იყენებს ფეთქებადი მხიარულებისა თუ სიჩუმის, ყურადღების მაქსიმალურად დამძაბავი სცენების მონაცვლეობას, აგნებს ზუსტ გადაწყვეტებს, როგორც საზოგადოების, ასევე ცალკეული პერსონაჟის ინტიმური დრამის გადმოსაცემად... ძლიერი, — ცხოველი ტემპერამენტი, სულისა და სხეულის პლასტიკა, ვნებათა აფეთქებებისა და უნატიფესი სულიერი თრთოლვის გადმოცემის უნარი წარმოაჩინა მთავარი როლის შემსრულებელმა ნ. ყურაშვილმა. ასევე ბობოქარი შინაგანი სამყარო და განსაკუთრებული გამომსახველობის უნარი გამოავლინა ქალის მთავარი როლის შემსრულებელმა ნ. ბადალაშვილმა, ტოლფასოვანი და ძლიერი პიროვნებების დასში, მათმა თამაშმა ნამდვილი ტრიუმფი შვა იტდ-ს სცენაზე... საჭიროა ყველა მათგანის სახელების ჩამოთვლა, რამდენადაც უჩვეულოდ არ უნდა ულერდეს ისინი იმ გარემოში, რომელიც უკანასკნელი 15 წლის მანძილზე (რუსთაველის სახელობის თეატრის „კავკასიური ცარცის წრის“ შემდეგ) პირველად ისმენს ქართულ ენას. ...რაღა თქმა უნდა, ასეთი ორსაათიანი, უანტრაქტო სპექტაკლის შემდეგ მაყურებელთა ტაშისცემა არ ცხრებოდა“ (გაზეთი „ვეჩერნი ლისტ“, 7.05.91, „მსახიობთა ტრიუმფი“, მარია გრგიჩევიჩი). გამოქვეყნდა რეცენზიები გაზეთ „პანორამაშიც“ და „ვესტნიკშიც“, რომელთა სრულად გაცნობა დაინტერესებულ მკითხველს შეეძლება ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მეექვსე-მეშვიდე ნომრებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ თეატრ იტდ-ში შედგა პრესკონფერენცია, რომელზედაც მოწვეულმა ჟურნალისტებმა, კრიტიკოსებმა და დრამატურგებმა დიდი ინტერესი გამოავლინეს ქართული თეატრის ისტორიისა და დღევანდელობისადმი, სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის მუშაობის სპეციფიკისადმი. ქალაქის მერმა ბ-მა ბორის ბუზანჩიჩმა თავის რეზიდენციაში მიიწვია ... მიღებაზე თეატრ იტდ-ს კოლექტივთან ერთად. შედგა შეხვედრა ხორვატიის განათლებისა და კულტურის სამინისტროშიც, სადაც გამოითქვა სურვილი ამ ორ ქვეყანას შორის კონტაქტების განმტკიცებისა და განვითარების თაობაზე განათლებისა და კულტურის სფეროებში, ხოლო თეატრ იტდ-სა და ახმეტელის სახელობის თეატრებს შორის ყოველ ორ წელიწადში გაცვლითი გასტროლების ჩატარების თაობაზე. მეტად სასიამოვნო იყო ის ფაქტიც, რომ გასტროლების დასასრულს ალექსანდრე ქანთარიას შესთავაზეს დადგმები ხორვატიის ნაციონალურ თეატრში და ჰაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ხოლო ზაგრებში არსებული იტალიის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა ბ-მა რობერტო ხარციმ შუამდგომლობა გაუწია თეატრს იტალიაში, ქალაქ მანტუაში, ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორთან ბ-ნ ბერტოზინისთან მომავალი წლის ფესტივალში ახმეტელის სახელობის თეატრის მონაწილეობის თაობაზე სპექტაკლით „კარს იქით“.

მიუხედავად იმისა, რომ ხორვატიაში მწვავე პოლიტიკური ვითარება იყო და მთავრობის მიერ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშნული ახალი კადრები ძალზე დაკავებული იყვნენ, ქალაქის მერი ბ-ნი ბორის ბუზანჩიჩი, კულტურის მინისტრის მოადგილეები ბ-ნი ივო ზარაბალო, სტეპკო ტეჟაკი, ქ-ნი ნაიმა ბალიჩი, ხორვატიის თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე ბ-ნი ზვონკო ტორიანცი, სტუდენტური ცენტრის დირექტორი ბ-ნი ჰაბო პოულობდნენ დროსა და ენერგიას ქართული თეატრის სპექტაკლებზე დასასწრებლად, რაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსადმი პატივისცემის გამოხატულება იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი ოფიციალური შეხვედრის მაგიდას ამშვენებდა დამოუკიდებელი საქართველოსა და ხორვატიის დროშები.

დამთავრდა გასტროლები და დღეს უკვე არად ჩანს მთელი წლის მანძილზე კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი გაცვლითი გასტროლების ჩატარების საკითხი, რომელიც შესაძლოა ჩაშლილიყო ან გადავადებულიყო გაურკვეველი დროით რომელიმე ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური და ექსტრემალური პირობების გამო. სირთულეები დაძლეულ იქნა და საფუძველი ჩაეყარა ზაგრების თეატრ იტდ-სა და ახმეტელის სახელობის თეატრის შემოქმედებით მეგობრობას, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი შეიქმნა საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და თეატრის სპონსორის ფირმა „ორიონის“ შემწეობითა და თანადგომით.

**იამზე გვათუა**


GLUMAČKI TRIJUMF


Gostovanje kazališta »Sandro Ahmeteli« u Zagrebu, Teatar ITD

Gruzija iz legende


Modernitet i nostalgija

# ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

გრძელდება ხელისმოწერა გამომცემლობა „ოდაბადეს" მიერ მომზადებულ სერიალზე „ნობელის პრემიის ლაურეატები". აბონემენტის საცალო ღირებულება 25 მანეთია, მაგრამ მათ მფლობელს რიგითი მოქალაქისგან განსხვავებით წიგნი მიეყიდება ფასდათხობით, ასე რომ, სერიალის შეძენის შემდეგ სრულად აუნაზღაურდება ავანსად გადახდილი თანხა.

ნობელის პრემია ერთადერთი, ყველაზე პრესტიჟული პრემიაა დედამიწის ზურგზე და მისმა არეალმა უკვე მოიცვა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტი.

ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის ნობელის პრემიის ბევრი ლაურეატის შემოქმედებაა ცნობილი. მრავალი ავტორია მაღალპროფესიულ დონეზე თარგმნილი, მაგრამ მათი ერთ სერიალში თავმოყრა პირველად ხდება. ბიბლიოთეკის გამოცემის დამთავრება ნავარაუდევია 2002 წლისათვის.

გამოცემას ხელმძღვანელობს მაღალპროფესიული სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც არიან ცნობილი მთარგმნელები: ელზა აბულაძე, დალი ფანჯიკიძე, ჯემალ აჯიაშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, რევაზ თვარაძე, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი, კარლო ჯორჯანელი და სხვა.

მსურველებს აბონემენტების შეძენა შეუძლიათ მეტროპოლიტენის სადგურ „თავისუფლების მოედანთან", მაღაზია „თბილისში", პუშკინის ქუჩაზე მაღაზია „პლანეტაში", ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე, დავით გურამიშვილის ძეგლის პირდაპირ მაღაზია „სხივში", პრესის გავრცელების ჯიხურებში: ქაშუეთის ეკლესიასთან, მარჯანიშვილის მეტროპოლიტენის სადგურთან, რუსთაველის პროსპექტზე გამომცემლობა „მერანთან" ფირმა „ქალდეას" ჯიხურში;

რაც შეეხება ორგანიზაცია-დაწესებულებებს, მათ მომართვის საფუძველზე შეუძლიათ შეიძინონ სერიალის აბონემენტები, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. თბილისი, მრეწველმშენბანკის საოპერაციო სამმართველო, ანგარიში, № 000461675, მფო 521921, გამომცემლობა „ოდაბადე". ჩვენი მისამართია: ბაქრაძის მეორე შესახვევი № 5 (რუსთაველზე, ფილარმონიის მოპირდაპირე გაჩერებასთან, თაღის გავლით).

იჩქარეთ, სერიალის აბონემენტის ასიათასიანი ტირაჟის ნახევარი უკვე გავრცელებულია!

# იოლი არაა

დღეს საქართველო ხომალდსა ჰგავს, რომელიც უკიდეგანო ბობოქარ ოკეანეში მიცურავს და რომლის გადარჩენაზე უნდა ფიქრობდეს თითოეული მეზღვაური, ანუ თითოეული ჩვენთაგანი. ერთი ადამიანის შეცდომამაც კი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. ასეთ პირობებში საჭიროა ერთ მუშტად შეკვრა და არა ისეთი საქციელი, რაც ამჟამად ხდება. ბევრს ვერ გაურჩევია ოპოზიცია მტრობისაგან. შეიძლება ადამიანმა კეთილი ზრახვებით მიუთითო ნაკლზე, მაგრამ შეცდომაზე ნიშნის მოგებით ლაპარაკი აშკარა მტრობაა. თანაც ვის მტრობ? არც მეტი, არც ნაკლები — საქართველოს. რაში გვჭირდება ჩვენი სამშობლოს საქმეების მოგვარება გერმანიიდან „თავისუფლების" ან მოსკოვიდან „ვრემიას" საშუალებით. მე გაოცებული ვარ სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტის გია ფოფხაძისა და უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტ თავხელიძის საქციელით. რას უნდა მივაწეროთ, რომ ხსენი რადიოსადგურ „თავისუფლებას" მცდარ ინფორმაციებს აწვდიან. თითქოს პრეზიდენტის არჩევნების დროს მოსახლეობაზე ძალდატანება აღინიშნებოდა. არა, მეგობრებო, არა ხართ მართალი. მე პირადად შემოვიარე 15 საარჩევნო ოლქი, ვაკვირდებოდი და მსგავსი რამ არსად არაფერი შემინიშნავს. მაშ, რისთვის გჭირდებათ ცრუ განცხადებები. ჩემი აზრით, გსურთ როგორმე უმტროთ პიროვნებას, ხოლო ამით რომ სამშობლო! მტრობთ, ამას ველარ ამჩნევთ.

ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია უცხოეთში მცხოვრები ზოგიერთი ქართველის პოზიციაც. დასანანია, რომ დახმარების მაგივრად მან შეიძლება ვნება მოუტანოს სამშობლოს.

საბჭოთა იმპერიასთან ბრძოლა ვინმეს იოლი საქმე არ ეგონოს. ჩვენ განსაცდელის ჟამს მოგვიწია ცხოვრებამ და სჯობს ერთად ვიყოთ და ერთად შევასრულოთ ის კეთილშობილური მისია, რასაც საქართველოს განთავისუფლება ჰქვია.

**ზურამ ხუციშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1991 წლის 17 ივლისს საღამოს 7 საათზე საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართება **საქართველო-ფინეთის საზოგადოების დამფუძნებელი საზოგადოების კონფერენცია.**

**საინიციატივო ჯგუფი.**





თბილისური აივნები

ზურაბ დათუაშვილის ფოტოები.

# გივი ვარდოსანიძე



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი გივი დიმიტრის ძე ვარდოსანიძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა თავმდაბალი ლიტერატორი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა მშობლიურ ლიტერატურას.

გივი ვარდოსანიძე დაიბადა 1924 წლის 25 იანვარს ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში. საშუალო განათლება შორაპნის რკინიგზის სკოლაში მიიღო, ხოლო უმაღლესი — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1947 წელს დაამთავრა ინჟინერ-მშენებლის დიპლომით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გივი ვარდოსანიძემ მუშაობა დაიწყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში, სადაც განვლო გზა რიგითი ლიტმუშაკიდან გაზეთის მთავარ რედაქტორამდე. მას შემდეგ გივი ვარდოსანიძე მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა და ყველგან პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი სამეცნიერო-ტექნიკური თარგმნის ცენტრის დირექტორის მოადგილე იყო.

ლიტერატურულ მოღვაწეობას გივი ვარდოსანიძე 1945 წლიდან ეწეოდა. რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი კრიტიკული წერილები და თეორიული სტატიები ლიტერატურის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე. გივი ვარდოსანიძემ კრიტიკული გამოკვლევები მიუძღვნა პოლიკარპე კაკაბაძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილის, ალიო მირცხულავას, ირაკლი აბაშიძისა და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებას.

გივი ვარდოსანიძის კალამს ეკუთვნოდა მოთხრობებისა და ლექსების კრებულები.

იგი აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, იყო მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი, მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, მთავრობის ჯილდოები...

ქართველ მწერლებს და ჟურნალისტებს დიდხანს ემახსოვრებათ გივი ვარდოსანიძე, კარგი ლიტერატორი, დახვეწილი ინტელიგენტი, ღირსეული თანამოკალმე.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.**

**საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.**

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, დათო მაღრაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, ზურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-88; 99-08-65. 95-88-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
გაზეთის ქართულ ენაზე

ИНДЕКС 68436 1 2 3 4 5 6 7-8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „საქართველოს" სტამბა, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14.